ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 13 იანვარი 2000 №3 (1025) | ფასი 50 თეთრი


**3** ოთარ კორღალიძე: დინამოში გვარ-სახელები კი არა, ფეხბურთელები ითამაშებენ

**7** უიღბლო ანელკა

უძვირფასესი მადრიდელი კლუბს 3 თვით დააკლდება

**11** ალტერნატივა: სპორტის სიკვდილი ქვეყნის სიკვდილთან ერთად

მართლა ყველაფერი წყალში გვეყრება?

**13** ქართველთა პრიორიტეტები და ფრანგის ამბიცია

რატომ ვერ უნდა მოვუგოთ რუმინეთს? კითხულობს საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელი

## სიკვდილი პორშეთიც დადის



გუშინ ვარჯიშიდან შინ მოჩქარე „შარლოტ ჰორნეტსის" კალათბურთელი ბობი ფილზი ავტოკატასტროფაში მოჰყვა. მისი „პორშე" ერთდროულად ორ მანქანას შეეჯახა და ამ უმძიმესმა ავარიამ ნბაში უკვე ცხრა სეზონს მოთამაშე ბობი ფილზი სიცოცხლეს გამოასალმა. ტრაგედიის მიზეზად პოლიცია გადაჭარბებულ სიჩქარეს ასახელებს.



REUTERS ლონდონიდან

# ჩელსი იბერიელისთვის იბრძვის

გუშინ, 12 იანვარს „ჩელსის" ოფისიდან თბილისში დარეკეს. სატელეფონო საუბარმა, არც მეტი, არც ნაკლები, 45 წუთი გასტანა და ეს დრო მთლიანად რატი ალექსიძის „დინამოდან" „ჩელსიში" შესაძლო ტრანსფერის თაობაზე ლაპარაკს დაეთმო. სატელეფონო საუბარში ქართულ მხარეს თბილისის „დინამოს" ყოფილი და ახლანდელი მწვრთნელები, მურთაზ ხურცილავა (ის ახალგაზრდულ ნაკრებშიც წვრთნიდა ალექსიძეს) და ოთარ კორღალიძე წარმოადგენდნენ, რომელთაც ინგლისელებმა რატი ალექსიძის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის გადაცემა სთხოვეს. როგორც ოთარ კორღალიძემ „სარბიელს" უთხრა, ინგლისელებს მათთან საუბარი საგანგებო დახასიათების შესადგენად დასჭირვებიათ — 21 იანვარს ამ საბუთს ისინი საპელაციო კომისიას წარუდგენენ და...

ზედმეტი არც ერთი ამასწინანდელი ამბის გახსენება იქნება. გიორგი ქინქლაძისთვის ბრიტანეთის დასაქმების სამინისტროს მუშაობის უფლება რომ მიეცა, საქმეში 1966 წლის მსოფლიოს



რატი ალექსიძე

ბაჩო კორძაიას ფოტო

# ლიბერიელი ჩელსისთვის



ჩელსი — ტოტენჰემი 1:0. ჩელსის ახალწვეულმა ჟორჟ ვეამ სტუმრებს გოლი გაუტანა

REUTERS ლონდონიდან

ჩემპიონ ინგლისის ნაკრების ლამის ნახევარი შემადგენლობა ჩაერია. ქინქლაძეს თავდებობა სერ ჯეფ ჰერსტმა და „სიტის" ყოფილმა მენეჯერმა ალან ბოლმა გაუწიეს. ამათ სიტყვას ფასი აქვს და გაჭრა კიდეც. ვერ გეტყვით ვინ დაუჭერს მხარს რატი ალექსიძეს, რომელსაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების საჭირო რაოდენობა არ უგროვდება, მაგრამ „ჩელსი" რისი „ჩელსია", თავისი ვერ გაიტანოს...

...აკი გაიტანა კიდეც. იბერიელისთვის მებრძოლმა „ჩელსიმ" ორი დღის წინ ჯერ კიდევ მილანელოში მოვარჯიშე 1995 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, ლიბერიელი ჟორჟ ვეა ლონდონში წაიყვანა და წუხელ „ტოტენჰემთან" ათამაშა კიდეც. თვითმფრინავის ტრაპიდან პირდაპირ „სტემფორდ ბრიჯზე" მოხვედრილმა ვეამ მეორე ტაიმის მეათე წუთზე შეცვალა ნორვეგიელი თავდამსხმელი ტორე ანდრე ფლო, თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე დენის უაიზის ჩაწოდებულ ბურთს მარჯვედ აუხტა და „ტოტენჰემს" თავური გაუტანა.

— ასეთ დებიუტს ალბათ ვერც თავად ვეა და ვერც ჩვენ ვინატრებდით. ის ძალიან დიდი ფეხბურთელია, სურს დაამტკიცოს, რომ კვლავაც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია და „მილანში" უსამართლოდ უწევდა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა. ვეას ჩამოსვლა „ჩელსის" საბრძოლო სულისკვეთებას უეჭველად აამაღლებს — თქვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ლონდონელთა იტალიელმა თავკაცმა ჯანლუკა ვიალიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ბასტიიდან



ბასტია — მარსელი 0:0. მარსელელი სტეფან დალმა ბასტიელი იან ლაშეს ჩამოტოვებას ცდილობს

# მსაჯო, შენი ვაჟკაცობა თებერვალში გამოჩნდება

ვინ თქვა, რომ ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მარტო ფეხბურთელები ემზადებიან? მსაჯებიც თავისებურ სამზადისში არიან. ორიოდ დღეში პირველი ლიგის გუნდები საკონტროლო მატჩებით აატალახებენ თოვლ-ჭყაპის გარეშეც გვარიანად დამძიმებულ ქართულ სარბიელებს და შავოსნებსაც საქმე მიეცემათ. 14 თებერვლიდან კი ქართველ მსაჯთა თემიდას დიდი გამოცდა ელის. როგორი ამბავია, ამ დღიდან პირველი ლიგის მსაჯ-ასისტენტები აუცილებელი ნორმატივების ჩაბარების რთულ გზას შეუყვებიან.

ანატოლი მილჩენკო, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის უფროსი: „შეკრების პირველ დღეს 22 თბილისელი მსაჯ-ასისტენტი ჩააბარებს ნორმატივებს. მომდევნო დღეს მათ რაიონებიდან ჩამოსული 18 კოლეგაც შეუერთდება და შემდეგ თეორიულ კურსზეც გადავალთ. ვინც ნორმატივებს ვერ ჩააბარებს, საწვრთნელი ციკლიდან დავითხოვთ. მეცადინეობას 27 თებერვლამდე განვაგრძობთ. 25-ში, თასის ნახევარფინალურ მატჩებზეც დავაკვირდებით მსაჯებს და შემაჯამებელ მეორე ტესტირებას მომდევნო დღეს ჩავატარებთ. უფრო მკაცრნი ვიქნებით და მსაჯებს მაქსიმალურად მოვთხოვთ, რათა 26 თებერვალს მათ მიერ ნაჩვენები შედეგები უეფაში წარვადგინოთ."

როგორც ჩანს, მსაჯთა ტესტირების მნიშვნელობას სფფ-ს ჩინოვნიკებიც იზიარებენ. მილჩენკოს თქმით, მათ ტესტირების მეორე ტურზე დასწრების სურვილი გამოუთქვამთ, ასე რომ, მსაჯებს ჟურნალისტებზე უფრო სოლიდური შემფასებლები ეყოლებათ და გამძლეობისა და ვაჟკაცობის გამოჩენაც ორმაგად მართებთ.

იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი მსაჯასისტენტები შარშანდელ ტესტირებას დაივიწყებენ (მაშინ იყო თუ იყო... გულისწასვლები, აჩქარებული პულსი, ვენაში გარჭობილი შპრიცი), თავს არ შეირცხვენენ და ქვემოთ ჩამოთვლილ ტესტებს სანიმუშოდ (ფიფასთვის) დაძლევენ.

პირველი ლიგის ასისტენტმა 12 წუთში 2400 მეტრის გარბენა უნდა შეძლოს, ამავე დროში უნდა გაირბინოს მსაჯმა 2700 მეტრი. მსაჯმაც და ასისტენტმაც 200-მეტრიანი დისტანცია 32 წამში, ხოლო 50-მეტრიანი — 7,5 წამში უნდა დაძლიოს.

პაატა ძვანტალიანი

## ესპანეთი

თასის მეთერთმეტედფინალი

II წრე

სელტა 4:2 სპორტინგი (3:0)

მალაგა 2:1 დეპორტივო (0:1)

ატლეტიკო 1:0 ლას პალმასი (2:2)

ვალენსია 2:0 ოსასუნა (0:3)

რასინგი 1:4 სარაგოსა (1:2)

რაიო ვალეკანო 0:0 ბილბაო (1:0)

ოვიედო 2:1 ლოგრონიესი (2:3)

ესპანიოლი 2:0 ალბასეტე (0:0)

ბეტისი 0:1 მერიდა (0:1)

ეიბარი 1:1 დ.დ. ლეიდა (0:0)

კომპოსტელა 2:0 ტენერიფე (2:2)

ბარსელონა 2:0 ალმერია (0:0)

მალიორკა 1:2 ორენსე (2:2)

ალავესი 2:1 რეალ უნიონი (0:1)

## იტალია

თასის მეოთხედფინალი.

I წრე

მილანი 2:3 ინტერი

რომა 0:1 კალიარი

## ინგლისი

გადადებული მატჩი

ჩელსი 1:0 ტოტენჰემი

1:0 ვეა (86)

ლიგის თასი. მეოთხედფინალი

ლესტერი 3:3 (3:0 პენ) ფულემი

ნახევარფინალი. I წრე

ბოლტონი 0:1 ტრანმერი

## საფრანგეთი

XXI ტური

ლანსი 0:1 ნანსი

0:1 ბოტელინი (43)

სენტ ეტიენი 2:3 სედანი

0:1 ფრიგარდი (20), 0:2 დებლოკი (45), 0:3 კუინტი (72), 1:3 პედრონი (73), 2:3 საბლე (78)

რენი 2:1 სტრასბური

1:0 ლე რუ (45), 2:0 ბარდონი (63), 2:1 ეშუაფნი (84)

ტრუა 1:4 მონაკო

0:1 სიმონე (5), 0:2 გალიარდო (9), 0:3 ჟიული (11), 0:4 გალიარდო (71), 1:4 საიფი (80)

მონპელიე 3:0 ნანტი

1:0 დელაიე (24), 2:0 მაუვე (52), 3:0 გარნი (87)

ბასტია 0:0 მარსელი

ლე ავრი 0:0 ოსერი

## ბელგია

XVIII ტური

სენტ ტრუიდენი 0:1 ბრიუგე

გენკი 1:1 ვესტერლო

მეხელენი 2:4 სტანდარდი

ჰარელბეკე 4:1 შარლერუა

აალსტი 2:4 ბევერენი

ბეერსხოტი 1:1 ლიერსი

ლოკერენი 2:1 ლომელი

გენტი 1:1 გეელი

## პორტუგალია

თასის

მეთერთმეტედფინალი

პორტუ 4:1 ბრაგა

სპორტინგი 1:0 ლეირია

სალგეირუში 2:0 კამპომაიორენსე



გაზაფხულზე ზოგ მსაჯს ნიშადურით ასულიერებდნენ

REUTERS ბარსელონიდან



ბარსელონა — ალმერია 2:0. ასე ზეიმობდნენ ბარსელონელები ალმერიას კარში გატანილ პირველ გოლს

# გიორგი ქინქლაძემ მანინგერს გაუტანა

## ქართველმა დერბიში პირველი შეაგდო.

გიორგი ქინქლაძემ თავისი პირველი გოლი გაიტანა „დერბის" რიგებში, ოღონდ სარეზერვო გუნდში. „პრაიდ პარკზე" ლონდონის „არსენალის" სტუმრობამ აქამდე არნახული ინტერესი გამოიწვია — 2743 ფანი მოვიდა. ამ სეზონში „დერბის" დუბლებს ასეთი დასწრება არ ჰქონიათ, მიუხედავად იმისა, რომ ლიდერებში არიან.

„არსენალის" დუბლებს პირველ წრეში „დერბის" რეზერვებისთვის 3:0 მოეგოთ. ლონდონელებმა ძირითადის რამდენიმე კაცი იახლეს. მათ შორის ავსტრიელი კიპერი ალექს მანინგერი, არგენტინელი ვივასი, პარლოუ, გარეტი და ახალგაზრდა გრეი.

„დერბიც" საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა: ქინქლაძე, ნიმნი, შნური, ბეკი, ბარტონი, ბოჰინენი.

გიომ ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და უკვე მე-12 წუთზე გაამწარა მანინგერი. შემდეგ ბარტონმა ივარგა. 51-ე წუთზე მას ქინქლაძის მსგავსად ნიმნიმ გაიტანა. ქინქლაძეს კიდევ შეეძლო გატანა, საგოლე პასებიც არიგა, მაგრამ ანგარიში ლონდონელებმა შეცვალეს. საბოლოოდ — 2:1 „დერბის" სასარგებლოდ.

სიმონ მენაბდე

# ოთარ კორღალიძე:
# დინამოში გვარ-სახელები კი არა, ფეხბურთელები თამაშობენ

*სულ ნახევარი სეზონი გავიდა მას შემდეგ, რაც ოთარ კორღალიძე თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი გახდა და უკვე სრულად ახალი გუნდის შეთამაშება მოუწევს. ამაზე ადრეც არაერთხელ დაწერილა. დასაჩივლიც დაუჩივლიათ და საქმისთვისაც ისე შემოუვლიათ, ვერავის, წაურთმევია თბილისის „დინამოსთვის" ჩემპიონის ტიტული. წლევანდელი სეზონი მაინც სხვანაირი და გამორჩეული იყო. მისი დასაწყისი ზუსტად დაემთხვა „დინამოდან" ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის წასვლას. ევროპელს თავისი გეგმა ჰქონდა, დინამოელები სულ სხვა ტიპის ვარჯიშებს იყვნენ მიჩვეულები და ბოსკამპის წასვლისთანავე აირ-დაირია გუნდი: ფეხბურთელები წუხდნენ, „გადამწვრები" ვართო, ჩემპიონთა ლიგას ვინ ჩივის, მარადი ჩემპიონი უეფას თასზეც ვერ გადაერთო და... აი, ასეთი გუნდის თავკაცობამ მოუწია ოთარ კორღალიძეს. იგი მანამდეც „დინამოში" იყო, როგორ არა, მაგრამ სხვაა ასისტენტობა და სულ სხვა პირველკაცობა. ამ და სხვა საინტერესო ამბებზე „დინამოს" მთავარი მწვრთნელი თავად ესაუბრა „სარბიელს".*



ბადრი კეთილაძის ფოტო

— მე არ მინდა იმ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებზე საუბარი, რომელთაც დაღი დააჩნიეს სეზონის დასაწყისში „დინამოს" გამოსვლას. რომ ჩამოვყვეთ, თქმა არ უნდა, მოზრდილი ნუსხა გამოგვივა, მაგრამ არა ღირს. მთავარი ისაა, რომ „დინამო" ძველებურად ძლიერი გუნდია და მის შიგნით სიტუაციაც იმგვარადაა დაყენებული, ნებისმიერი ქართული კლუბი რომ ისურვებდა.

**— XI ეროვნული ჩემპიონატი არაერთგვაროვანი იყო მარადი ჩემპიონისთვის, როგორ შეაფასებდით „ა" ზონაში გუნდის გამოსვლას?**

— დამაკმაყოფილებლად გამოვედით. ისე, როგორც ჩემპიონს და „დინამოს" ეკადრება. მართალია სტარტზე წავიფორხილეთ, მაგრამ დაახლოებით პირველი წრის ბოლოსთვის ყველაფერი დარეგულირდა.

**— წელან სუბიექტური და ობიექტური მიზეზები ახსენეთ. გასაგებია, რომ არ გინდათ წარსულ ამბებზე საუბარი, მაგრამ მაინც საინტერესოა, როგორც მწვრთნელმა როდის შეძელით სიტუაციის გამოსწორება?**

— დაახლოებით თვე-ნახევარი, ორი თვის შემდეგ ჩემპიონატის დაწყებიდან. სტარტზე „დინამოს" გამოსვლას ძალიან ცუდ შეფასებას ვაძლევ. მერე და მერე ბიჭები შეთამაშდნენ, სასურველ სათამაშო ფორმას მიაღწიეს და შედეგიც მოვიდა. შეტევის ხაზით თავიდანვე კმაყოფილი ვიყავი, შემდეგ უკანა ხაზის ფეხბურთელებიც ათამაშდნენ და ამან მთლიანად გუნდის სტაბილურ თამაშზე იქონია გავლენა.

**— თავად თქვით სათამაშო რგოლებზე. ცალ-ცალკე ხომ არ დაასახელებდით მათ?**

— არა, მე არასდროს ვყოფ-ხოლმე გუნდს დაცვა-ნახევარდაცვა-თავდასხმად. წელან შეტევის ხაზი იმად ვახსენე, რომ მიუხედავად ცუდი სტარტისა, „დინამოს" თავდამსხმელებს მაინც გაჰქონდათ საკმარისი გოლები და მათი მზადყოფნით ასე თუ ისე კმაყოფილი ვიყავი, რასაც ვერ ვიტყვი უკანახაზელებზე. შუა სეზონისთვის ცალკეული ფეხბურთელების თავგამოდებამ ნაყოფი გამოიღო და მთლიანად გუნდიც მაშინ ათამაშდა.

**— მაშინ მოდით, იმ ცალკეულ ფეხბურთელებზე ვთქვათ...**

— ისედაც ყველასთვის გასაგებია. პირველ რიგში გიორგი ანჩაბაძის მეტად ძლიერ თამაშს გამოვყოფ. ამ ფეხბურთელის მოსვლით „დინამო" ერთიორად გაძლიერდა. გიორგიმ, შეიძლება ითქვას, შეკრა გუნდი. რა თქმა უნდა, აშვეთია-ალექსიძე-წიტაიშვილის სამეულს დავასახელებ, მათ ხომ „დინამოს" გოლების 80 პროცენტი გაჰქონდათ.

საუბარი „დინამოს" ლიდერებზე ჩამოვარდა და ბარემ ერთსაც ვიტყვი. ამას წინათ მითხრეს — ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს დაცვითი ფეხბურთის მიმდევარი იყოთო. ვინც XI ეროვნულის პირველ სტადიაზე „დინამოს" გამოსვლას უცქერდა, ხედავდა, როგორი შემადგენლობით ვთამაშობდით-ხოლმე მატჩებს — გუნდში ხომ ფაქტობრივად ოთხი თავდამსხმელი თამაშობდა ყოველთვის — ფრთებზე ალექსიძე და შენგელია, წინ — წიტაიშვილი და აშვეთია. ამათ აშკარად შემტევი სტილის ნახევარმცველი ანჩაბაძეც მიუმატეთ და იმ კითხვაზე პასუხიც მზადაა — ოთხი თავდამსხმელით მოთამაშე გუნდი შემტევი სტილის მიმდევარია.

**— თქვენ არცთუ სახარბიელო პერიოდში ჩაიბარეთ „დინამო". გუნდი ათამაშდა და ის ფეხბურთელები, ვინც ლიდერებად მიგაჩნდათ, უკვე ტოვებენ მას. ფაქტობრივად ხელახლა გიწევთ გუნდის შენება და ეს სეზონის შუაგულში. თქვენი კომენტარი ამ საკითხზე...**

— რა თქმა უნდა, ცუდია, რომ ამგვარი რამ ხდება, მაგრამ ფეხბურთელებს ვერავინ ვერაფერს დააბრალებს. არ შეიძლება, ამგვარი პირობები არსებობდეს ქვეყანაში და მოთამაშეს აქ თამაში დააძალო. იგი მიდის იქ, სადაც უკეთესი პირობებია, სადაც მეტად აიმაღლებს კლასს. აი, „დინამო" დატოვა აშვეთიამ, დღე-დღეზე მოსალოდნელია ალექსიძის „ჩელსიში" გადაბარგება. ეს ცუდია „დინამოსთვის". ჩვენ იქნებ მოვიძიოთ აშვეთიას შემცვლელი, მაგრამ რატი ალექსიძე ნამდვილად შეუცვლელი ფეხბურთელია გუნდისთვის. და რახან ასეა, რა, „ჩელსიში" გადასვლა დავუშალოთ? არასდიდებით! ალექსიძის მომავლისთვის სწორედ ინგლისურ კლუბში გამოსვლაა უპრიანი.

რაც შეეხება ფეხბურთელთა გადინების ფაქტებს, სანამ ადგილზე ოდნავ ნორმალური პირობები მაინც არ შეიქმნება, ასე გაგრძელდება.

**— ახლა ახალწვეულებზეც შეგეკითხებით. რატომღაც აქცენტი ვეტერანებზე აიღეთ. ეს თქვენი ინიციატივა იყო, თუ თავად ფეხბურთელებმა მოგმართეს?**

— მე თვითონ შევეხმიანე ყველას — შელიაც, კერძევაძეც, ლობჟანიძეც, გოგიჩაიშვილიც, ნემსაძეც ჩემი მოწვევით არიან გუნდში და სხვათა შორის, სრულიად სერიოზული მიზნებიც გვაქვს.

**— ზემოთ ჩამოთვლილთაგან სათამაშო პრაქტიკა აქვსო ნემსაძეზე და ნაწილობრივ გოგიჩაიშვილზე თუ ითქმის. დაგვეთანხმებით, რისკი გასწიეთ...**

— ეგ არაფერს ნიშნავს. მე პატივს ვცემ ამ ფეხბურთელთა წარსულს და გამოცდილებას, მაგრამ არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ — ფეხბურთს გვარ-სახელები არა, ფეხბურთელები თამაშობენ. როდესაც ამ ხუთ ფეხბურთელს ვიწვევდი გუნდში, ჩემი მიზანი მათი გამოცდილებისა და ოსტატობის ახალგაზრდების მონდომებასთან შერწყმა გახლდათ. თუ ამას მივაღწიე, გარწმუნებთ, „დინამოს" წინ ვერავინ დაუდგება ჩემპიონობისთვის ბრძოლაში.

ასე რომ, ნურავინ იფიქრებს, თითქოს ნახსენები ფეხბურთელებიდან რომელიმეს გარანტირებული ჰქონდეს „დინამოს" ძირითადში მოხვედრა. გუნდში ითამაშებს ის, ვინც საუკეთესო ფორმაში იქნება.

**— მოდით, ეროვნულ ჩემპიონატსაც შევეხოთ. ვინ მიგაჩნიათ კონკურენტად ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში და თუ იხილეთ მათი თამაში წლეულს?**

— „ტორპედოა" ჩვენი უპირველესი კონკურენტი. ორი თამაში ვნახე წლეულს ქუთაისელთა მონაწილეობით. ეს გუნდი უდავოდ ორი რამითაა ძლიერი: პირველი — ქუთაისელთა შემადგენლობის ბირთვი დაახლოებით ხუთი წელია, ერთად თამაშობს და მეორე — გუნდის თავკაცია ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი დავით ყიფიანი. მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ფეხბურთში ეს კოზირები. შეთამაშებული ფეხბურთელები უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს და კარგი მწვრთნელის ხელში კარგი გუნდი გაცილებით უკეთესი ხდება.

**— შეგეკითხებით ნაკრებზეც. ამას წინათ ძოძუაშვილმა თქვა, რომ ნაკრებს საბაზო გუნდი სჭირდება. მერე მანაც და ყიფიანმაც „დინამო" იქნება ასეთი გუნდიო. თქვენ შეგიყვანეს მწვრთნელთა საბჭოში. ეს ყველაფერი ცოტას არ ნიშნავს...**

— რევაზ ძოძუაშვილი თითქმის ყოველ მეორე დღეს ბაზაზე მოდის, აკვირდება ვარჯიშებს და მესაუბრება ნაკრების კანდიდატებზე. როდესაც მწვრთნელთა საბჭოს შემადგენლობაში შემიყვანეს, რა თქმა უნდა, გარკვეული მისია რომ დამეკისრებოდა, ვიცოდი, მაგრამ თუ მის სხდომებზე ამგვარი საქმიანი საუბრები და პოლემიკა წარიმართებოდა, ნამდვილად არ მეგონა. მჯერა, რომ ნაკრებში საქმე გაკეთდება. „დინამოც", როგორც ყოველთვის, თავის სიტყვას იტყვის.

**— „დინამოს" მოსამზადებელ პერიოდზე რას იტყვით?**

— სამწუხაროა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ათი დღე გაგვიცდა. ბაზაზე ტექნიკური ავარია მოხდა და იანვრამდე ვერ შევიკრიბეთ. სავარჯიშო პროცესი 4 იანვარს დავიწყეთ. ერთი კვირა (10 იანვრამდე) ერთჯერად ვარჯიშებს ვატარებდით. აქცენტი ძირითადად კროსებზე და უბურთო ვარჯიშებზე გვქონდა გადატანილი. ორი დღეა, ორჯერად წვრთნაზე გადავედით და 20 იანვრამდე ასე გაგრძელდება. დილის ვარჯიში კვლავ სირბილს, ტრენაჟორებს და უბურთო მოძრაობებს დაეთმობა, საღამოს კი ინტენსიურად და კომპლექსურად დავტვირთავთ ფეხბურთელებს. დიდ ყურადღებას ვუთმობთ საკოორდინაციო და ბურთის ართმევაზე მუშაობას. რა თქმა უნდა, არც ტექნიკურ-ტაქტიკური ნიუანსების დახვეწა დაგვავიწყდება. 20 იანვრამდე საკონტროლო შეხვედრებსაც გავმართავთ — 13-ში „თბილისთან" და „ვიტ ჯორჯიასთან" ორი შემადგენლობით, 16-ში „ლოკომოტივთან", ჩვენც და რკინიგზელებიც ორ-ორ გუნდს გამოვიყვანთ, 20-ში კი მურთაზ ხურცილავას ახალგაზრდულ ნაკრებს შევხვდებით იმ შემადგენლობით, რომელიც 21-ში დსთ-ს თასზე სათამაშოდ გაემგზავრება. მოსკოვში თვრამეტ ფეხბურთელს წავიყვანთ. მოსკოვიდან დაბრუნებულები პირველიდან ხუთ თებერვლამდე მიხეილ მესხის სახელობის მინი-ფეხბურთის ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას, მერე კი კუნძულ კიპროსზეც მოვაწყობთ უცხოურ შეკრებას. იქ ჩვენს გარდა თბილისის „ლოკომოტივი" და ვლადიკავკაზის „ალანიაც" იქნებიან. მათ აუცილებლად ვეთამაშებით, კიპროსზევე გავეჯიბრებით ორიოდე უცხოურ კლუბსაც. მათთან მატჩების მერე კი კვლავ საქართველოში დავბრუნდებით. ასე რომ, „დინამოს" სერიოზული გეგმები აქვს.

**— რომელთაც სერიოზული ფინანსები სჭირდებათ...**

— გუნდს ფეხბურთელების დავალიანება არა აქვს. წლევანდელი ტრანსფერები ულრუბლო მომავლის გარანტიასაც იძლევა. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ფანჯარა სუპერთასს!



ბადრი კეთილაძის ფოტო

**გუშინ** ცნობილი გახდა, რომ სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტის გადაწყვეტილებით საფეხბურთო სეზონი ოფიციალურად 25 თებერვალს განახლდება. ამ დღეს საქართველოს თასის მერვედფინალის ორი შეხვედრა გაიმართება. „ტორპედო" „აკადემიას" უმასპინძლებს, ათგზის ჩემპიონი კი „გურიას" დაუხვდება, მეოთხედფინალის საგზურისთვის მებრძოლი დანარჩენი გუნდები 29 თებერვალს ითამაშებენ.

აი, ასე გადაწყვიტეს სფფ-ში და ამაში უჩვეულო თითქოს არაფერია, რომ არა ერთი გარემოება. „დინამოს" და „ტორპედოს" მტრები ოთხი დღით ადრე იმიტომ გადმოწიეს, რომ ეს გუნდები 29 თებერვალს სუპერთასის მატჩში უნდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, სწორედ იმ დღეს, როცა მერვედფინალის დარჩენილი ექვსი შეხვედრა უნდა გაიმართოს. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული კლუბები თავბრუდამხვევი ევროპული კალენდარის მადლს მოკლებულნი არიან, საშეჯიბრო კომიტეტს გარჯას ნამდვილად ვერ მოვუწონებთ. რა თქმა უნდა, საქართველოს თასის მერვედფინალებზე დასასწრებად გულშემატკივარი მაინცდამაინც თავს არ შეიწუხებს, მაგრამ ეს როდია მთავარი. საქმე სუპერთასშია. ჩვენც საფეხბურთო ქვეყანა გვქვია (ვაი, ჩვენს საფეხბურთო ყოფას) და იქნებ ამ ქვეყნის სუპერთასის გათამაშებას ცალკე „ფანჯარა" მოვუნახოთ „დატვირთულ" ქართულ საფეხბურთო კალენდარში.

**ბაატა კვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის დარჩება დათუაძე?

2000 წელს ორივე სტილით (ძველით და ახალით) შევხვდებით და სამეორეეტაპო სამზადისსაც ამის შემდეგ შევუდგებითო — როგორც ჩანს, ამას წინათ ნათქვამს არ ღალატობს ბოლნისის „სიონის" მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე და XI ეროვნულის გამლამაზებელი პროვინციელებიც წლეულს პირველად 15 იანვარს შეიკრიბებიან ბოლნისში. მანამდე კი კლუბის ხელმძღვანელობას საფიქრალ-გადასაწყვეტი ბევრი რამ აქვს და ამ მიზნით დღეს გუნდის მწვრთნელები რაიონის გამგებელს და „სიონის" არაოფიციალურ პრეზიდენტს ზურაბ ჯაფარიძეს შეხვდებიან.

„სიონის" საფიქრალი პირველ რიგში დავით დათუაძეა. ადრეც ვიუწყებოდით, რომ ამ ნიჭიერმა გამთამაშებელმა კარიერის გასაგრძელებლად „დინამოს" მიაშურა. დათუაძე ჩემპიონის რიგებში ამას წინათ „ბენდელას თასის" გათამაშებაშიც მონაწილეობდა და ახალ კლუბთან ერთად რეგულარულად ემზადებოდა ჩემპიონატის მეორე წრისთვის. სპარტაკ არჩვაძემ კი გუშინ გვითხრა:

— დათუაძე გუნდიდან არ გაგვიშვია, მისი „სიონში" დარჩენა-არდარჩენის საკითხი ზურაბ ჯაფარიძესთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდება. გამოგიტყდებით, ეს ფეხბურთელი დიდი ძალაა „სიონისთვის" და თუკი ისე მოხერხდა, რომ დათუაძე კვლავაც ჩვენთან დარჩა, უზომოდ ბედნიერი ვიქნები.

გუშინვე დავუკავშირდით ზურაბ ჯაფარიძესაც, მისი კომენტარი ასეთია:

— დათუაძე ჯერაც „სიონს" ეკუთვნის. უბრალოდ, „დინამომ" მისი გადაბირების სურვილი გამოთქვა და ამასთან დაკავშირებით ორ კლუბს შორის ერთგვარი შეთანხმებაც მოხდა. გადაწყდა, რომ საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე დათუაძე „დინამოში" ივარჯიშებდა. რა თქმა უნდა, ამ ფეხბურთელს დიდი წვლილი მიუძღვის „სიონის" აღზევებაში და ბუნებრივია, ხელს ყველანაირად შევუწყობთ, რადგან ერთგვარი მორალური მხარეც გასათვალისწინებელია, მაგრამ ამასთან ერთად „დინამომაც" უნდა შეასრულოს შეთანხმების პირობები, სხვაგვარად... თუკი დათუაძე „სიონში" დარჩა, მას ყველანაირ პირობას შევუქმნით.

ასე რომ, „ბოლნისელი მარგალიტი" ჯერაც სიონელია, ასეთ შემთხვევაში კი გამოდის, რომ პირველი ეტაპის შემადგენლობიდან ბოლნისური კლუბის რიგები არც ერთ ფეხბურთელს არ დაუტოვებია, ექსტორპედოელი მაზანიშვილი და ლოკომოტიველი კახა დაუშვილი კი შეიმატა. სპარტაკ არჩვაძის ინიციატივით კლუბში ადგილობრივი და თბილისელი ახალგაზრდა ფეხბურთელებიც მიუღიათ გასასინჯად.



დავით დათუაძე

25 იანვრამდე „სიონი" ბოლნისში მოემზადება, შემდეგ კი თბილისში გადმოინაცვლებს „მანეჟში" და პერიოდულად ამხანაგურ მატჩებსაც გამართავს. თებერვლის შუა რიცხვებიდან კლუბის მესვეურთ საწვრთნელი შეკრების მოწყობა აქვთ ნავარუდევი დასავლეთ საქართველოში.

**პაატა ქვანტალიანი**

# ცოტა დრო, ბევრი კანდიდატი

თუ გინახავთ სადმე, ორიოდ კვირაში შეკრებილ გუნდს დიდი წარმატებებისთვის მიეღწიოს? სხვისი არ ვიცი და მსგავსი არაფერი გამიგონია. თუმც კაცი საქართველოში რას არ ნახავ. გუნდის შეკრებაზე ადვილი რაღაა, აი, წარმატებისა კი რა მოგახსენოთ. ვნახოთ, რა გამოვა ნაჩქარევად გაკეთებული საქმიდან.

ახალი წლის დადგომამდე საქართველოს სხვადასხვა დასახელების ნაკრებებს ახალი თავკაცები დაუნიშნეს. მერე იყო ახალი წელი, შობა, ქეიფი და დროსტარება. აბა, ამ დროს ფეხბურთისთვის ვინ მოიცლიდა.

დღეს 13 იანვარია, 23-ში კი საქართველოს თოთხმეტწლამდელთა ნაკრებს ყოფილი საბჭოთა კავშირის კიდევ შვიდი ქვეყნის გუნდთან ერთად პირველობისთვის მოუწევს პაექრობა.

მოსკოვში, ხელოვნურსაფრიან მოედნებზე რუსები ორ გუნდს დაგვახვედრებენ. მოსკოვისა და რუსეთის ნაკრებებს ქართველები, უკრაინელები, ლიტვა-ლატვიელები, სომხები და აზერბაიჯანელები დაემატებიან. მერე ტურნირის ორგანიზატორები ამათ ორ ჯგუფში გადაანაწილებენ და ერთკვირიანი მარათონიც დაიწყება.

მანამდე კი საქართველოს თოთხმეტწლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი და მისი თანაშემწეები სასურველ მოთამაშეთა შერჩევით არიან დაკავებულნი. მდგომარეობა ისეთია, მწვრთნელებისა ნამდვილად არ შეგშურდება: სამუშაო აურაცხელი და მეტად დამღლელია, თან გვარიანადაც სანერვიულო, მაგრამ სხვა გზაც არაა და მწვრთნელ-თანაშემწეები იხტიბარს არ იტეხენ.

გუშინ დიღმის საწვრთნელი ბაზის ხელოვნურსაფრიან მინდორზე ნაკრების მესვეურებმა 48 მოთამაშეს მოუწყვეს მინი-გამოცდა, რომელსაც საფუძვლიანს ნამდვილად ვერ დაარქმევენ.

მოზარდები გუნდებად დაყვეს და ორკარა ათამაშეს. კანდიდატები მონდომებულები კი იყვნენ, მაგრამ ისიც ეტყობოდათ, რომ ბევრ მათგანს სინთეტიკურ მინდორზე პირველად უწევდა ბურთაობა და უჭირდა.

ერთი შეხედვითაც ჩანდა, ზოგიერთი მართლაც ნიჭიერი და იმედისმომცემია, ზოგიც საშუალო დონის, სხვებისგან რომ არ გამოარჩევ. დრო რომ ჟორჟიკაშვილისა და კომპანიის სასარგებლოდ მუშაობდეს, კარგი გუნდის შეკრება არ გაჭირდებოდა, მაგრამ...

სწორად დროის სიმცირის გამო, 48 კანდიდატის მეტი რომ არ გამოჩენილა საწვრთნელ ბაზაზე. საქართველოში მობურთალ ბავშვებს რა დალევს, მაგრამ მათი აღმოჩენა და შემოწმება, ბუნებრივია, სამომავლოდ გადაიდო.

რამდენიმე დღე ნაკრების ძირითადი ბირთვის შერჩევას დასჭირდება, რამდენიმე დღე შეკრებას გაივლიან და მოსკოვში გამგზავრების დროც მოვა. დაგვეთანხმებით, მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში არიან ქართველი თოთხმეტწლამდელები.

**მამუკა ქვანტალიანი**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I-VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ტორპედო<br>*დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი(სიონი),ჩხაბერიძე(თავისუფალიაგენტი), კ.ჯანაშია(თავისუფალიაგენტი) | | |
| დინამო<br>*ოთარ კორღალიძე* | აშვეთია(ალანია,რუსეთი),ალექსიძე(ჩელსი,ინგლისი),ლომაია(ლოკომოტივი),ზირაქიშვილი(სპარტაკი,ვარნა,ბულგარეთი),თ.კობიაშვილი(?) | გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე,რუხაძე,მიქაძე,ა.ჩიხრაძე,(თბილისი),დათუაძე(სიონი),შელია(მანჩესტერსიტი,ინგლისი), ლობჟანიძე(უგუნდოდ) | |
| ბათუმი<br>*ჯანი კარნეველი* | | ჩლაიძე,თარგამაძე(არსენალი) | |
| კოლხეთი<br>*გია ტყებუჩავა* | ქოხონელიძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი) | |
| ვიტ ჯორჯია<br>*სერგო კუტრიკაძე* | | ი.ხაჭაპურიძე,ძოძუაშვილი(სამგურალი) | |
| სიონი<br>*სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე(დინამო) | მაზანიშვილი(ტორპედო),ისიანი(თბილისი),დაუშვილი(არსენალი) | |
| დილა<br>*მურაზ კოჭლაშვილი* | | | |
| იბერია<br>*სოსო ფრუიძე* | | | |

| IX-XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი<br>*რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი(დინამო),მ.ქობულაძე,შავგულიძე(კოლხეთი) | ლომაია(დინამო),კვარაცხელია(თბილისი),ხუროძე(სკონტო,ლატვია),ჯულელი(?) | |
| გორდა<br>*იასონ ალადაშვილი* | | | |
| თსუ<br>*თენგიზ კაცია* | | | |
| მერანი<br>*უმწვრთნელოდ* | | | |
| თბილისი<br>*რამაზ მუმლაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი(ლოკომოტივი),აბრამიძე(ტორპედო,მოსკოვი,რუსეთი),ისიანი(სიონი),ლ.მელქაძე, ა.ჩიხრაძე(?),ვ.გაგუა(სკონტო,ლატვია) | გონჩაროვი(არსენალი) | |
| სამგურალი<br>*იასონ ბზიკაძე* | ი.ხაჭაპურიძე,ძოძუაშვილი(ვიტ ჯორჯია) | | |
| ხობი<br>*ფრიდონ გოცირიძე* | | | |
| არსენალი<br>*მამუკა გუგუჭკორი* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), ლაცაბიძე (სპარტაკი, ვარნა, ბულგარეთი), დაუშვილი(სიონი) | | |

**შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის**

# ჯიბეში ფული თუ გიჩხრიალებს
## ნუ წახვალთ პორტუგალიაში!

ქართულმა კლუბებმა ავად თუ კარგად საშეღავათო სამზადისი დაიწყეს. მართალია, ზოგიერთ მათგანს ყური არ გამოუბერტყავს და საახალწლო მეჯლისს იხანგრძლივებს, მაგრამ ამას თავისი სუბიექტურ-ობიექტური მიზეზები აქვს. ფინანსებია ყველაფრის თავიდათავი და მის გარეშე ვერაფერს გახდები. მხოლოდ ენთუზიაზმის წყალობით ჰა-ჰა საკუთარ ბაზაზე (თუ გაგაჩნია, რა თქმა უნდა) ერთჯერად ვარჯიშებს გამორჩე და თუ შინ შუქი ან გაზი გაქვს, იქნებ ცხელი საჭმელი აგემო დაღლილ სხეულს. ასე თუ მივყევი და დაბეჩავებულ ქართულ საფეხბურთო მეურნეობას ვუტრიალე, ანა ფრანკის დღიურის ტყუპისცალივით მსგავსი ჩანახატების წერა მომიწევს და მეშინია, მწვრთნელ-ფეხბურთელობას საახალწლო განწყობილება არ ჩავუმწარო. ხალხს რაღაც იმედი კიდევ დარჩენია და სულაც არ მინდა, ყვავივით დავჩხავლო. კი, ბატონო, მათ ჯიბეში სულ ფულის ჭყავილი გაგვეგონოს და ისე შეეწუხებინოს ამ ამბავს, მადლივით ქვაზე დადების სურვილი გასჩენოდეთ.

მართლაც ძალიან უჭირთ ქართულ გუნდებს. თითო-ოროლას თუ აქვს უცხოური შეკრების მოწყობის საშუალება. ისინიც ცდილობენ, დანახარჯების რაოდენობა მინიმუმამდე დაიყვანონ და ისეთ ქვეყნებს მიაშურონ, სადაც შედარებით იაფი დაუჯდებათ ცხოვრება და სამწვრთნელო პროცესის წარმოება. ერთი სიტყვით, ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა ჩვენში და სრულფასოვან მომზადებაზე ლაპარაკი მეწისქვილის მოსაწყენ ნაუბარს წააგავს. მაინც რა არის ის სრულფასოვანი მზადება, რომელიც უმთავრესად განაპირობებს გუნდის წარმატებულ გამოსვლას მომავალ სეზონში.

### აუცილებელი სამი ეტაპი

ყველა მწვრთნელს გუნდის მოსამზადებელი საკუთარი მეთოდიკა აქვს. ზოგიერთი თავიდანვე დიდი დატვირთვებით ავარჯიშებს მოთამაშეებს, ზოგი კი ნელ-ნელა აჩვევს ფეხბურთელებს სამწვრთნელო რეჟიმს. მიუხედავად საქმისადმი განსხვავებული მიდგომებისა, ადვილი შესაძლებელია, იმ მთავარი კანონზომიერების დანახვა, რაც უცილოდ ახასიათებს ყოველ სპეციალისტს მოსამზადებელ პერიოდში გუნდთან მუშაობისას.

როგორც წესი, წინასასეზონო სამზადისი სამი ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე წინა პლანზე აშკარად იკვეთება სასელექციო მუშაობის პრიორიტეტი. სწორედ მაშინ მიმდინარეობს იმ ახალწვეულთა გასინჯვა, რომელთა საკუთარ გუნდში ხილვა სურს მწვრთნელს. ამასაც თავისი ნიუანსები ახასიათებს. თუ კლუბი ათეულზე მეტ ფეხბურთელს მიიწვევს, მაშინ დაკვირვების პროცესი შედარებით დიდხანს გრძელდება და ეტაპიც ჭიანურდება. სხვა საქმეა, თუ ახალწვეულთა ამქარიდან მწვრთნელს პერსპექტიული ბიჭების გამოვლენა დაუსახავს მიზნად და აქცენტს მათ ძირითად შემადგენლობაში სასწრაფოდ ადგილის გამოძებნაზე არ აკეთებს. არის ისეთი შემთხვევაც, როცა თავკაცი მიწვეულს კონკრეტულ ადგილას სათამაშოდ სინჯავს. ასეთ დროს სასელექციო პროცესი შესამჩნევად მცირდება. საერთოდ პირველ ეტაპზე ვარჯიშები მსუბუქ ხასიათს ატარებს და ფეხბურთელებსაც საშუალება ეძლევათ, თანდათანობით ჩაებან სამწვრთნელო რიტმში.

მეორე ეტაპი მოთამაშეთა ფიზიკურად მომზადებისთვისაა განკუთვნილი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი დროის მონაკვეთია მთლიან პროცესში. აუცილებელია, ზედმიწევნით ზუსტად განაწილდეს დატვირთვები, ყველაფერი ისეთი სიზუსტით უნდა გაითვალოს, რომ გუნდის მომზადების პიკი სეზონის დასაწყისს არ დაემთხვას. მრავალი მაგალითი გვახსოვს იმისა, რომ ფეხბურთელებს ბრწყინვალე სტარტის შემდგომ ჩავარდნის პერიოდი უდგებათ და მწვრთნელები ძნელად ახერხებდნენ საქმის გამოსწორებას. დაახლოებით ამგვარი რამ დაემართა ჯემალ ხერხაძის „ტორპედოს“ მეათე ეროვნულის მეორე წრეში. გუნდმა მზადება 1998 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში დაიწყო.



თემურ ჯავახაძის ფოტო

ქუთაისის „ტორპედოს“ ერთ-ერთი ვარჯიში ანთალიაში შარშანდელი შეკრებისას

ფეხბურთელებს მძლეოსნობის ცნობილი სპეციალისტი ავარჯიშებდა. მოთამაშეებმა კარგი ფიზიკური მომზადება მიიღეს. 1999 წლის იანვარში „ტორპედო“ თურქეთში ანთალიაში გაემგზავრა შეკრებაზე. მიუხედავად საკონტროლო მატჩებში ნაჩვენები არაშთამბეჭდავი შედეგებისა მწვრთნელი ძლიერ კმაყოფილი დარჩენილა ბიჭების თამაშით. მეორე წრის მიწურულს კი გუნდს აშკარა ჩავარდნა დაეწყო და თითქმის განაღდებული ვერცხლის მედლებისთვის ბრძოლა ძალიან გაირთულა. ჯემალ ხერხაძეს თავადაც დანანებით უთქვამს — თურქეთში „ტორპედო“ საუცხოო ფორმაში იყო...

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც სპეციალისტები შეგნებულად ცდილობენ, გუნდმა სეზონში ორჯერ მიაღწიოს პიკს. ასეთი რამ ძირითადად ისეთი ქვეყნების კლუბებში კეთდება, სადაც ჩემპიონატი შემოდგომაზე იწყება და გაზაფხულზე მთავრდება. ეს გუნდების ევროსარბიელზე გამოსვლითაა გამოწვეული. შემოდგომა-გაზაფხულის კალენდრის დროს კლუბებს ევროტურნირებზე გასვლა ძირითადად გადალღილებს უხდებათ. თუ საქართველოს დაბალ საკლუბო რეიტინგს გავითვალისწინებთ, ძლიერ უცხოურ გუნდებთან თავიდანვე გვიწევს მეტოქეობა. იდეალური ვარიანტისას მომზადების მეორე ეტაპზე უნდა დასრულდეს ყოველგვარი სასელექციო მუშაობა. ყველა მწვრთნელი ხომ დაინტერესებულია იმით, რომ მისი ფეხბურთელები ფიზიკურად თანაბრად იყვნენ მომზადებულნი. სამწუხაროდ, ჩვენში გუნდების უმრავლესობამ არ იცის, თუ როგორ ყოფაში ჩავარდება თუნდაც ერთი თვის მერე. ამიტომ რაიმე მიზანმიმართულ სელექციასა და მკაცრად განსაზღვრულ დროის ფაქტორებზე ლაპარაკი ძალიან რთულია. არადა, სწორედ ამ ეტაპზეა ხშირი ფეხბურთელთა ტრავმები, რომლებიც კუნთების გაჭიმვებსა და სხვა ამგვარ შემთხვევებს უკავშირდება. მოთამაშეები ვერ უძლებენ ზედმეტ დატვირთვებს. თუ ფეხბურთელი პირველ ეტაპზე სრულად არ მოემზადა, მაშინ შემდგომ პერიოდში ტრავმათა მიღების ალბათობა შესამჩნევად იზრდება.

მომზადების მესამე, ანუ ბოლო ეტაპი შემოქმედებითი ხასიათისაა. მოთამაშეთა თითოეული რგოლის, რგოლების, მთლიანად გუნდის შეწყობა და მოედანზე სრული სათამაშო დისციპლინის დამკვიდრება. სწორედ ამ დროს სინჯავენ მწვრთნელები სხვადასხვა ტაქტიკურ სქემებს. დიდ ყურადღებას უთმობენ სტანდარტული მდგომარეობის გათამაშების, კომბინაციური სტილის დამუშავებასა და დახვეწას.

მესამე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპარინგ-პარტნიორთა მოძებნას, შესაფერის მეტოქესთან თამაშს. სავსებით არაა აუცილებელი, რომ ყველა გუნდი, რომელთანაც საკონტროლო შეხვედრა მოუწევს კლუბს, გინდა თუ არა მაღალი კლასისა იყოს. საშუალო სიძლიერის მეტოქესთან პაექრობაც ისევე აუცილებელია, როგორც გაცილებით ძლიერთან. მოსამზადებელი პერიოდის ამ ბოლო ფაზაში მწვრთნელს საშუალება ეძლევა, სიახლეები დანერგოს გუნდის თამაშში, შექმნას რამდენიმე მოდელი. ასეთი შეკრების დროსაც ხშირია ფეხბურთელთა ტრავმები. ამის მიზეზად მოედნის ერთი ტიპის საფარიდან მეორეზე გადასვლა გვევლინება. ძირითადად კლუბები მზადების პროცესს სამხრეთის თბილ ქვეყნებში ამთავრებენ და კარგად მოვლილ გაზონებზე უხდებათ ბურთაობა. მერე კი უჭირთ ცუდ კლიმატურ პირობებსა და მოედნებთან შეჩვევა. მართალია, ბუნება საქართველოს ამგვარ საფრთხეს არ უქმნის, მაგრამ ჩვენში ყოვლად უვარგისი გაზონებია და ეს თითქმის გვათანაბრებს იგივე, ვთქვათ, რუსეთის კლუბების არასახარბიელო კლიმატურ პირობებთან.

ყოველივეს გათვალისწინებით კი ტენდენცია იმისა, რომ ქართულმა გუნდებმა შინაურ სარბიელზე დაასრულონ მოსამზადებელი პერიოდი, იძულებითი, მაგრამ ყოვლად მისაღები ვარიანტია. მწვრთნელები ამით საშუალებას აძლევენ ფეხბურთელებს, შეეჩვიონ იმ პირობებს, რომელშიც მოუხდებათ სეზონის დაწყება.

### ფული, ფული და ფული

ჩვენი და არამარტო ჩვენი კლუბებისთვის ფინანსებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. ვინც მოახერხებს საზღვრებს გარეთ მოაწყოს შეკრება თუ შეკრებები, კარგად უნდა გადახედოს საკუთარ ხაზინას, თითოეული ცენტი მიზანმიმართულად დახარჯოს. დიახაც ცენტი, რადგან უცხოურ შეკრებებზე ქართულ ვალუტას ვერსად გამოიყენებ.

სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ფასებია. იგივე კანონები მოქმედებს, როგორც ჩვეულებრივ ტურიზმში. დასავლეთ ევროპაში სტუმრობა ძვირი ჯდება, თურქეთში, კვიპროსსა თუ ბულგარეთში შეკრება შედარებით იაფი. თუმცა ამ უკანასკნელში პირველ ორთან აშკარად უკეთესი პირობებია სავარჯიშო მოედნების მხრივ. ისე, თურქეთშიც მოიძებნება მაღალი დონის მოსამზადებელი ადგილები, მაგრამ იგი, როგორც წესი, კარგა ხნით ადრე აქვთ ხოლმე დაჯავშნული ევროპის სოლიდურ კლუბებს. ფული არა მარტო სასტუმროებში ცხოვრებისა თუ მოედნების დაკავებისთვისაა გადასახდელი. ამერიკული „მწვანეების“ გარეშე ნორმალურ გუნდთან საკონტროლო მატჩის გამართვაც თითქმის წარმოუდგენელია. აქ შავი ბაზრის კანონები მოქმედებს და იგი განსაკუთრებით ჩვენი და ჩვენნაირი ქვეყნების კლუბებს ავიწროებს. სხვა საქმეა, როცა ძლიერი ტექნიკური დირექტორი გყავს და იგი ჯერ კიდევ შეკრებამდე რამდენიმე კვირით ადრე მოიპოვებს ინფორმაციას, თუ რომელი გუნდები იქნებიან იმ პერიოდისთვის იქ და დროულად აწარმოებს მათთან მოლაპარაკებებს შესაძლო პაექრობების თაობაზე.

თურქეთში ადგილობრივი კლუბები, თავს არიდებენ ჩასულებთან თამაშს. მათ მწირი წარმოდგენა აქვთ დაუპატიჟებელ სტუმრებზე და შესაძლო მარცხისგან თავს იზღვევენ. იქ საკონტროლო შეხვედრებსაც უამრავი გულშემატკივარი ესწრება და არ სურთ, მათ თვალში გაუფასურდნენ. გამონაკლისებს მხოლოდ დაბალი ლიგის მობინადრეები უშვებენ.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სტუმრობა უფრო მიმზიდველია. იქ სოლიდური გუნდები იყრიან თავს, პირობებიც საუცხოოა, მაგრამ ფასები...

მაინც რა თანხებზეა ლაპარაკი უცხოური შეკრებების მოწყობისას. ცხოვრების, კვების, მოედნის, ტრენაჟორებიანი დარბაზის ქირის ხარჯი საშუალოდ დღეში ერთ ფეხბურთელზე 60-70 დოლარს შეადგენს. 22 მოთამაშის შენახვა დღეში 1430 დოლარი ჯდება. ამას დავამატოთ 300 დოლარი — მწვრთნელებისა და დელეგაციის სხვა წევრებისთვის განკუთვნილი მინიმალური დღიური დანახარჯი და მივიღებთ 1730 დოლარს. ეს ციფრი გავამრავლოთ 14-ზე (ორკვირიანი შეკრება) — 14220 დოლარი. აქ გათვალისწინებული არ არის მგზავრობისა და ვიზებისთვის საჭირო ფული. დავუშვათ, სულ 20 ათასი დოლარი გამოდის. ეს თანხა ხომ მხოლოდ მეათედია იმის, რისი ფლობის საგარანტიო წერილიც უნდა წარადგინოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის ბინადარმა ფედერაციაში სეზონის წინ. ეჰ, ქაღალდებით და ქაღალდზე დაწერილებით რომ საქმე კეთდებოდეს, ახლა კომუნიზმში ვიქნებოდით 14 „მოძმე“ რესპუბლიკასთან ერთად.

ახლა კი არ იქნება ურიგო, თუ ქვემოთ მოყვანილ ჩამონათვალსაც გადაავლებთ თვალს.

უცხოური შეკრებების ფასები:

დღიური ხარჯი (დოლარებში) ერთ კაცზე სხვადასხვა ქვეყნებში:

პორტუგალია 110, ბელგია 75, გერმანია 75, ჰოლანდია 75, ისრაელი 75, ესპანეთი 75, იტალია 70, ემირატები 70, კვიპროსი 60, ბულგარეთი 60, თურქეთი 50.



თემურ ჯავახაძის ფოტო

ჯემალ ხერხაძე სპარინგ-მატჩის შესვენებისას ტორპედოელებს მითითებებს აძლევს

**ხვიჩა სანიკიძე**

| სახელი გვარი | კლუბი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | შ | ტოტენჰემი 6:1 | 14 | შეცვლაზე ითამაშა, საგოლე პასი |
| | | შ | ლივერპული 2:2 | 1 | შეცვლაზე ითამაშა |
| | | ს | ლესტერი 2:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| | | შ | ვესტ ჰემი 2:2 | 12 | შეცვლაზე ითამაშა |
| | | შ | შეფილდი 4:1 | 8 | შეცვლაზე ითამაშა |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ასტონ ვილა 0:2 | 0 | ტრავმა |
| | | ს | ვესტ ჰემი 1:1 | 0 | ტრავმა |
| | | შ | უოტფორდი 2:0 | 0 | ტრავმა |
| კახი ცხადაძე | მანჩესტერ სიტი | ს | ვესტ ბრომვიჩი 2:0 | 0 | ტრავმა |
| | მანჩესტერ სიტი | შ | გრიმსბი 2:1 | 0 | ტრავმა |
| | მანჩესტერ სიტი | ს | ქრიუ 1:1 | 0 | ტრავმა |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | კიკერსი 0:1 | 0 | ტრავმა |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | კიკერსი 0:1 | 90 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | კიკერსი 0:1 | 0 | ტრავმა |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | ბეერსხოტი 1:1 | ? | |
| ლაშა ჯაკობია | ვეზეტი | ს | მაასლანდი | | მატჩი გადაიდო |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | ს | პანათინაიკოსი 1:7 | 64 | შეცვალეს |
| | | შ | ეთნიკოსი 2:0 | 90 | |
| გიორგი დარასელია | ჰაპოელი (ქფარ სავა) | ს | ჰაპოელი (ჰ) 0:3 | 90 | |
| გიორგი გახოკიძე | მაკაბი (ჰაიფა) | ს | ჰაპოელი (ი) 3:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა |

# ცუდი არდადეგები: ქეცბაიამ ადგილი დაკარგა

2000 წელს ქართველ ლეგიონერთა მონაგარის „სარბიელისეულმა“ პირველმა ცხრილმა სახე ასე იმიტომ იცვალა, რომ საახალწლო და საშობაო არდადეგებისას ჩატარებული არც ერთი მატჩი არ გამოგრჩენოდათ მხედველობიდან.

იმ დროს, როცა საქართველოში გამუდმებული სმა-ჭამა იყო გაჩაღებული, თემურ ქეცბაიას „ნიუკასლმა“ ერთბაშად 4 მატჩი გამართა. აქედან ორი ასოციაციის თასზე. ყველაზე მეტად რობსონის შეგირდებმა სწორედ ამ ფრონტზე ივარგეს. ჯერ „ტოტენჰემი“ გაანადგურეს — 6:1, შემდეგ „შეფილდს“ 4:1 მოუგეს და მერვედფინალში „ბლექბერნს“ ეთამაშებიან. „ნიუკასლმა“ გამოასწორა ვითარება ჩემპიონატშიც და სახიფათო ზონას გასცდა. სამწუხაროდ, კლუბის წარმატებების დარად ვერ განვითარდა ჩვენი თემურ ქეცბაიას საქმეები. ფორმასთან ერთად ძირითადში ადგილი დაიბრუნა და უნდა ვაღიაროთ, რომ მშვენივრად გამოიყურება შოტლანდიელი დანკან ფერგიუსონი. მასში ამ სამიოდე წლის წინ „ნიუკასლმა“ უზარმაზარი ფული გადაიხადა, ფერგიუსონი კი წლის ყველაზე დიდ იმედგაცრუებად დაასახელეს. შოტლანდიელი ვერ აათამაშა გულიტმა, სამაგიეროდ, მეორე სული შთაბერა რობსონმა. ქეცბაია სწორედ ფერგიუსონის შემცვლელად იქცა. იმედი გვაქვს, რომ დროებით.

არც ქინქლაძეს „დერბიში“ და არც ცხადაძეს „სიტიში“ არდადეგებზე არ უასპარეზიათ. ცხადაძე კვლავ დამტვრეულია და დუბლებშიც ვერ თამაშობს. ქინქლაძე კი ნისლიან ალბიონზე აფეთქებულმა გრიპის ეპიდემიამ წააქცია. „სიტი“ ნაახალწლევს ლიდერად კი დარჩა ინგლისის პირველ დივიზიონში (52 ქულა), მაგრამ ერთობ ახლოს მოუშვა მდევრები „ჩალტონი“ (50) და „იფსვიჩი“ — „ბარნლი“ (49-49). რაც შეეხება „დერბის“, მან ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ბელგიელ-ხორვატ შტრუპარის დუბლით როგორც იქნა, გაიმარჯვა.

დეკემბერში გერმანიის თასის მეოთხედფინალიდან გამოვარდა „ფრაიბურგი“ — მან მეორებუნდესლიგელ „შტუტგარტ კიკერთან“ მეტად დასანანად წააგო.

ისრაელში ლიდერია გახოკიძის „მაკაბი“, დარასელიას „ქფარ-სავამ“ კი მცირედით დააღწია თავი აუტსაიდერებს. საბერძნეთში ნატროშვილის „პანაჰაიკმა“ „პანათინაიკოსთან“ შერცხვენის შემდეგ „ეთნიკოსს“ 2:0 აჯობა.

**სიმონ მენაბდე**



თემურ ქეცბაიას „ნიუკასლში“ შეცვლებზეღა ათამაშებენ

# იოჰან ბოსკამპი: რა ხდება?! ზაზა ჯანაშია: ახალი წელია!



ზაზა ჯანაშია



იოჰან ბოსკამპი

გახსოვთ, ზაზა ჯანაშია მოსკოვიდან თბილისში „ჯიპით“ რომ გამოემგზავრა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მაშინდელი „სარბიელი“ წერდა — „ჯიპი“ კი კარგი მანქანაა, მაგრამ თვითმფრინავზე სწრაფი ვერაა და ჩვენი ზაზაც ნაკრების შეკრებაზე მთელი სამი დღით დააგვიანა. ისიც გეხსომებათ, ჰოლანდიელმა ბოსკამპმა მგზავრობით გათანგულ ფეხბურთელს ნორვეგიაში წაყვანაზე უარი რომ უთხრა — თბილისში დარჩები და ინდივიდუალურად ივარჯიშებო. მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, გაიფიქრა მაშინ ზაზამ, მეგობრებთან მიაშურა და ნორვეგიიდან დაბრუნებულ ნაკრებს საბერძნეთის სამასპინძლო სამზადისში შეუერთდა.

მერე იოჰანის ძმადნაფიცის, მორბენალ ფრანსუა დე იონგის კროსებს ველარ გაუძლო და ბოსკამპს შესჩივლა — ასე ერთბაშად ნუ დამტვირთავთ, ველარ ვუძლებო... გოუ, გოუო! ისე უღრიალა მაშინ მყვირალა ჰოლანდიელმა ზაზას მთელი დილმის მასივის მოსახლეობა გამოეფინა ფანჯრებში და თავის თვალით ნახა, როგორ დატოვა ჯანაშიამ ნაკრები და ბაზის ტერიტორია. არადა, ჩვენს ეროვნულ გუნდს ძალიან სჭირდებოდა „სარბიელის“ გამოკითხვით 1998-99 წლების სეზონის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი, ზაზა ჯანაშია, ისევე როგორც დისციპლინა...

მე ჩემი თავის მტერი ვარ, განუცხადა მაშინ ჯანაშიამ „სარბიელს“. ისიც თქვა — ნეტა, ყველა მწვრთნელი მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავკაც იური სიომინივით მიგებდესო. ამ ისტორიისა და ზაზას სიტყვების გახსენება კი შემდეგისთვის დამჭირდა:

3 იანვარს ჯანაშიას „ლოკომოტივმა“ მზადება დაიწყო. როგორც გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტი იუწყება, სიომინმა დასვენებული ფეხბურთელების გამოცოცხლება ფიზიკური ვარჯიშებით სცადა და ბიჭები ტრენაჟორებსა და შტანგებს ჩააზუტა. ყველაზე მეტად ჩვენებურს გასჭირვებია სიმძიმეების აწევ-დაწევა. სუნთქვა უძნელდებოდაო ქართველს, წერს რუსი ჟურნალისტი. როცა თანაგუნდელები გაეხუმრნენ, ზაზას ხუმრობითვე უპასუხია — „მე ხომ შტანგისტი არა ვარ. ეს დღეები მხოლოდ „რიუმკების“ (სირჩა) აწევა მიხდებოდაო“. ყველაზე უფრო ინგლისელი პოლ გესქოინი გაუგებდა ალბათ ჯანაშიას მდგომარეობას და იოლად წარმოიდგენდა, თუ როგორ თავის ნებაზე შეათამაშებდა საახალწლოდ ზაზა სირჩებს, მასში მოთავსებულ სითხეს კი თავის გზას მისცემდა.

იური სიომინი ყველაფერს ხედავდა და ხედავს კიდეც, მაგრამ ფაქტი ერთია — „ლოკომოტივის“ დამრიგებელმა იცის, ზაზა ჯანაშიასთან მიმართებაში როდის რა და როგორ მოიმოქმედოს, ბოლომდე შესწავლილი აქვს მისი ხასიათი და შესაძლებლობები. იგი თავისებურად ფსიქოლოგის როლსაც თამაშობს ქართველი ჯანაშიას საფეხბურთო და არა მარტო საფეხბურთო ცხოვრებაში. ზაზაც უმართლებს მწვრთნელს. მოედანზე ბოლომდე იხარჯება. აგერ უკვე სამი წელია, ერთგულობს მის გუნდს და „ლოკომოტივის“ ლიდერად გვევლინება. ახლა იტალიაშია, ჩოკოს ბაზაზე იმყოფება შეკრებაზე და ნელ-ნელა შედის ფორმაში. გუნდიდან თითქმის არავინ წასულა. პირიქით, რკინიგზელები კიდევ უფრო გაძლიერდნენ და კვლავ შეეცდებიან „სპარტაკის“ ჰეგემონიის დამხობას.

ისევ ის „გოუ, გოუ“ და ბოსკამპი მახსენდება. იოჰან მრისხანე კიდევ კარგა ხანს რომ დარჩენილიყო საქართველოში და ბოლომდე ჩასწვდომოდა ქართულ არასაფეხბურთო მენტალიტეტს, ალბათ შეეკითხებოდა შტანგისგან შეწუხებულ ზაზას — რა ხდება?! ჯანაშიაც გაღიმებული უპასუხებდა — ახალი წელია! პიროვნული ურთიერთობები ბევრს წყვეტენ საქმეში და საერთოდ ცხოვრებაში, მის ჩამოყალიბებას კი საკმაო დრო სჭირდება...

... და როცა ბოსკამპისა და ჯანაშიას კონფლიქტის თაობაზე გულშემატკივრები გვეკითხებოდნენ ჟურნალისტებს, თქვენ ვის მხარეზე ხართო, მთავარია გაგება — ასეთი გახლდათ პასუხი. ფეხბურთელს, მწვრთნელს, ფედერაციას, გულშემატკივარსა თუ მედიის წარმომადგენელს ერთმანეთის უნდა ესმოდეთ. სხვა შემთხვევაში საქმე არც სამ თვეში გაკეთდება და არც სამ წელიწადში. ისე, მთავარია, პირველმა სამეულმა პროფესიულად გაუგოს ერთმანეთს და წინსვლაც იქნება. ჩვენ კი...

თუ ჩვენ გვკითხავენ ქომაგები, რა ხდება, ვეტყვით — ახალი წელია ქართულ ფეხბურთში, ძველზე უკეთესი...

**ხვიჩა სანიკიძე**

# მარადონას საქმე

არგენტინული ფეხბურთის ლეგენდა დიეგო მარადონა თავის ცნობილ ფეხებზე დგას და სარეაბილიტაციო კლინიკის დერეფნებში დაიარება. მოგეხსენებათ, იგი, როგორც ამბობენ კოკაინით მოწამვლის გამო, ერთი ხნის წინ გულშეღონებული გახლდათ.

„გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ მისი მდგომარეობა უმჯობესდება, გულის ფუნქცია სრული აღდგენისკენ მიდის. სამშაბათს მან უკვე წამოდგომა და დერეფნებში გასეირნება ითხოვა". — განაცხადა ბუენოს აირესის „ფლენის" კლინიკის დირექტორმა რამონ ლეიგუარდამ.

პლანეტის ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ფეხბურთელად შერაცხულმა მარადონამ თავი ცუდად ურუგვაიში ყოფნისას იგრძნო და პუნტა დელ ესტეს საავადმყოფოში ამოჰყო თავი, სადაც გადატვირთვისა და არითმიის დიაგნოზი დაუსვეს. საქმეში ხელად ჩაერია ამ ქვეყნის პოლიციაც, რომელმაც განაცხადა, რომ სახელგატეხილ ნარკომანს შარდში ამჯერადაც კოკაინის კვალი აღმოუჩინეს. იგივე აჩვენა სისხლის ანალიზმაც. როგორც ამბობენ ექიმებმა მარადონას სიცოცხლის საფრთხეზე ჩამოუგდეს სიტყვა და გააფრთხილეს, რომ ქიმიკატებისადმი ასეთი დამოკიდებულება მისთვის შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს.

„მიზეზი შეიძლება მართლა ნარკოტიკები იყოს, თუმცა, მინდა განვაცხადო, რომ დღეს იგი დამაწყნარებლებს მცირე დოზით სვამს და ერთობ მშვიდადაც არის. მისი ტვინის სკანირებამ გვაჩვენა, რომ ამ მხრივ პრობლემა არ არის. გარკვეული გამოკვლევები ჯერ კიდევ ჩასატარებელია, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი ნორმალურად მიდის" — დასძინა ლეიგუარდამ.

არ არის გამორიცხული, რომ სუპერვარსკვლავი უახლოეს დღეებში მორიგ კლინიკაში გადაიყვანონ.



დიეგო მარადონა სასწრაფო დახმარების მანქანიდან ექიმებს გადმოჰყავთ

მარადონა ნარკოტიკებს 1983 წელს „ბარსელონაში" თამაშის დროს მიეჩვია, ხოლო 1991-ში როდესაც „ნაპოლიში" გამოდიოდა, კოკაინის ყნოსვის გამო 15 თვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ამის შემდეგ, საფეხბურთო მოედანზე დაბრუნებულს, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ორგანიზმში კვლავ ქიმიკატი აღმოუჩინეს და ისევ 15 თვიანი სასჯელი არგუნეს. მისი კარიერის ერთ-ერთი სკანდალური ფურცელი გახლდათ ჟურნალისტისთვის საჰაერო პისტოლეტის სროლა და ამისათვის სასამართლოებში სირბილიც, რაც სამწლიანი პირობითი პატიმრობით დასრულდა.

მარადონა და გამოძიება თითქოს განუყრელ ცნებებად იქცა. სამართალდამცავები ამჯერადაც მუშაობენ და თემად არგენტინელის ურუგვაიში ცუდად გახდომა აქვთ. იძიებენ მიზეზებს, რომელთა გამოც იგი კლინიკაში მოხვდა და საამისოდ მისი აგენტი, ადრე ნარკოტიკებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი გილერმო კოპოლა დაკითხეს. კოპოლას, შემდეგ, ყალბი ჩვენების მიცემაში დასდეს ბრალი და მას არგენტინაში დასაბრუნებლად 15 ათასი დოლარის გადახდა მოუხდა.

„ძალიან მინდა კოპოლა ბუენოს აირესში რაც შეიძლება მალე ჩამოვიდეს, რადგან იგი დიეგოზე ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვაწვდის" — განაცხადა მარადონას პირადმა ექიმმა, ალფრედო კაემ, .ხოლო ურუგვაის პოლიციამ საქმეში ინტერპოლი ჩართო — ეძებენ მავან არგენტინელ პუბლიცისტ კარლო ფერო ვიერას, რომელიც ცუდად გახდომის დღეს დიეგოსთან ერთად ყოფილა სასტუმროს ნომერში. პუბლიცისტის ბრალი ჯერ დამტკიცებული არ გახლავთ, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ურუგვაიდან სასწრაფოდ და საეჭვოდ გაქრა.

**რობერტ ეს. ელიოტი,**
**როიტერი**

# უიღბლო დებიუტი

## უძვირფასესი მადრიდელი კლუბს სამი თვით დააკლდება

მსოფლიოს ნომერ მეორე ძვირადღირებული ფეხბურთელის, ფრანგი ნიკოლა ანელკას ბრაზილიაში მსოფლიოს პირველ საკლუბო ჩემპიონატზე გამოსვლას იღბლიანიც შეიძლება ვუწოდოთ, მაგრამ ალაბთ უფრო მეტად ბედმა არ გაულიმა. კარგი და გამოსარჩევი ის გახლდათ, რომ ნიკოლამ როგორც იქნა, დაიმკვიდრა ადგილი მადრიდის „რეალის" სასტარტო შემადგენლობაში და ერთობ წარმატებულადაც, რადგან ორ შეხვედრაში სამი გოლის გატანა მოახერხა და გათამაშების ბომბარდირთა სიას სათავეში ერთპიროვნულად ჩაუდგა. აი, მესამე მატჩი კი ფრანგისთვის ნამდვილად ავადმოსაგონარი შეიქნა, რადგან მაროკოს „რაჯა კასაბლანკას" წინაალმდეგ შეხვედრის 37-ე წუთზე საკმაოდ სერიოზულად დაშავდა და შესაცვლელ გახდა. როგორც შემდგომში ექიმებმა დაასკვნეს, ნიკოლა დიდ ფეხბურთს მომავალი სამი თვის მანძილზე დააკლდება. ფრანგს მარჯვენა მუხლი დაუზიანებია და მკურნალობას საჭიროებს, რათა ტრავმა უფრო მეტად არ გაუმიზეზდეს.

ანელკას ტრავმამ მადრიდის „რეალის" ხელმძვანელობა ძალიან შეაშფოთა. თავად განსაჯეთ, კლუბის უძვირფასესი ფეხბურთელი დაშავდა და მინიმუმ სამი თვე ველარ ითამაშებს. გარდა ამისა, სამეფო კლუბი ხომ გათამაშების ფინალის მიღმა დარჩა. ერთი სიტყვით, ესპანელთა დებიუტი მსოფლიოს პირველ საკლუბო ჩემპიონატზე ნამდვილად უღბლო გამოდგა.



დაშავებული ნიკოლა ანელკა (შუაში)

## ესპანეთი

თასის მეთექვსმეტედფინალი
II წრე
*ვილიარეალი 1:0 ბარაკალდო (0:0)*

## ინგლისი

ასოციაციის თასი
მეთექვსმეტედფინალი

***ჯილინგემი* 3:1 ბრედფორდი**
1:0 ტომსონი (39), 2:0 ეშბი (54), 2:1 სონდერსი (77), 3:1 ჰოდჯი (78)
*მერვედფინალში „ჯილინგემი" შეხვდება „შეფილდ უენსდეის" და „ვულვერჰემპტონს" შორის გამარჯვებულს.*

ლიგის თასი
მეოთხედფინალი

**ვესტ ჰემი 1:3 დ.დ. (1:1) *ასტონ ვილა***
1:0 ლამპარდი (47), 1:1 ტეილორი (80), 1:2 ჯოაკიმი (94), 1:3 ტეილორი (118)
*ნახევარფინალში „ასტონ ვილა" შეხვდება „ლესტერსა" და „ფულემს" შორის გამარჯვებულს.*

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

**ვულვერჰემპტონი 2:3 ჩარლტონი**
1:0 ი. ფლო (18), 1:1 რუფუსი (41), 1:2 პრინგლი (45), 1:3 რობინსონი (71), 2:3 პრინგლი (76ს.კ.)

# საკადრო რეფორმა ბულგარულ ფეხბურთში

ბულგარულ ფეხბურთში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მთავარ მწვრთნელად სტოიჩო მლადენოვი დანიშნა. ეს უკანასკნელი აქამდე 21-წლამდელთა ნაკრებს ავარჯიშებდა. მლადენოვმა დიმიტრ დიმიტროვი შეცვალა, რომელმაც ეროვნული გუნდი გასული წლის დეკემბერში დატოვა და ბულგარეთის ჩემპიონატის ლიდერ სოფიის „ლევსკის" ჩაუდგა სათავეში. ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებს კი პირველდივიზიონელი „ბელასიცას" თავკაცი დიმიტარ ალექსიევი გაწვრთნის, რომელმაც კონტრაქტი 2002 წლამდე გააფორმა.

ბულგარელმა ვარსკვლავმა, 33 წლის ხრისტო სტოიჩკოვმა, რომელმაც დიდი ფეხბურთის თამაშს თავი ერთი წლის წინ დაანება, ნაკრების დირექტორის თანამდებობა დაიკავა.

მასმედიისთვის მიცემულ ინტერვიუში მლადენოვმა განაცხადა, რომ ყოფილი თავკაცის, დიმიტროვის არჩეულ კურსს გააგრძელებს და გუნდს ახალგაზრდა ფეხბურთელებით დააკომპლექტებს. იგი ყოველ მხრივ შეეცდება მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარმატების მიღწევას და კორეა — იაპონიის საგურის მოპოვებას. შეგახსენებთ, რომ ბულგარეთის ეროვნული გუნდი შესარჩევ ჯგუფში ჩეხეთის, დანიის, ისლანდიის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და მალტის ნაკრებებთან მოხდვა.

მლადენოვი, რომელიც ამჟამად 43 წლისაა, ბულგაერთის საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. ქვეყნის პირველ დივიზიონში ჩატარებულ 210 შეხვედრაში მას 107 გოლი დაუგროვებია, ნაკრებში კი 65 შეხვედრაში 24 ბურთი გაუტანია. 1982 წელს სოფიის ცსკ-ში მოასპარეზე მლადენოვმა იმჟამად ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს — ინგლისურ „ლივერპულს" ორი გოლი შეუგდო და ევროთასებიდან ასპარეზობას გამოთიშა.

ცსკა იმ წელს ნახევარფინალში მოხვდა. ფორვარდმა კი სამართლიანი თამაშის — „**FAIRPLAY**"-ს ჯილდო მოიპოვა. ერთი წლის შემდეგ, 1983 წელს, იგი ბულგარეთის საუკეთესო ფეხბურთელად დასახ[illegible]ა.

მლადენოვვის სამწვრთნელო კარიერას სათავე 1993 წელს დაედო, როდესაც პორტუგალიურ „ბელენენსესში" მოთამაშე-მწვრთნელად დაიწყო მოღვაწეობა, ხოლო ამის შემდეგ, 1996-დან 1999 წლამდე, სოფიის ცსკა-ს დამხმარე მწვრთნელად მუშაობდა და ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებს წვრთნიდა.

# უძვირესი იაპონელი



იტალიური „პერუჯას" სალაროს შევსების ხელსაყრელი შესაძლებლობა მიეცა. გუნდმა 18 თვის წინ იაპონიის ჯეი ლიგიდან აზიური ფეხბურთის ვარსკვლავი ჰიდეტოში ნაკატა გადაიყვანა. ეს შენაძენი „პერუჯას" 3,3 მილიონი დოლარი დაუჯდა. დღეს ნაკატას ფასი საგრძნობლად გაზრდილა. „რომა" პერუჯელებს იაპონელის სანაცვლოდ 16 მილიონს სთავაზობს. როგორც ჩანს, ფაბიო კაპელოსთვის ეს ფეხბურთელი მეტად საჭიროა და აღნიშნულ თანხასთან ერთად „პერუჯას" რუსი ალენიჩევის დათმობაზეც თანახმაა.

ეს ინფორმაცია „გაძეტა დელო სპორტს" შეუტყვია. რომაელები კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

# ზემანის თურქული ოდისეა დასრულდა



სამთვიანი მოღვაწეობის შემდეგ თურქული „ფენერბაჰჩეს" ჩეხი თავკაცი ზემანი გაათავისუფლეს. კლუბის ხელმძღვანელობამ მისი შედეგები წარუმატებლად მიიჩნია. ზამთრის შესვენების შემდეგ თურქეთის ჩემპიონატის მორიგი ტური გასულ უქმეებზე გაიმართა. „ფენერბაჰჩემ" ვერაფრით მოახერხა „გენჩლერბირლიგის" დამარცხება და შეხვედრა ფრედ დაასრულა — 2:2. შედეგად იგი ცხრილში მე-4 პოზიციაზე დამკვიდრდა და ლიდერ „გალათასარაის" 13 ქულით ჩამორჩა. მომდევნო ტურში გუნდს თანაქალაქელ „ბეშიქთაშთან" მეტად პრინციპული დერბი ელის.

შეგახსენებთ, რომ ზდენეკ ზემანი თურქეთში სამი თვის წინ ჩავიდა, მანამდე იგი იტალიის სერია A-ს ერთ-ერთ ამჟამინდელ ლიდერ — „რომას" თავკაცობდა. „მიუხედავად სამთვიანი შრომისა, გუნდი სასურველ დონეზე ვერ აიყვანე, ამიტომ ვთვლი, რომ გადადგომა ყველაზე შესაფერისი გადაწყვეტილებაა" — განაცხადა ფეხბურთის ჩეხმა სპეციალისტმა, რომელიც კონტრაქტის პირობით თურქეთში ოქტომბრამდე უნდა დარჩენილიყო.

# დენილსონმა ბეტისზე გული აიყარა

უიღბლო ბრაზილიელი თავდამსხმელი დენილსონი, რომელიც ესპანური „რეალ ბეტისის“ ღირსებას იცავს, მიმდინარე სეზონში საკუთარი ასპარეზობით აშკარად უკმაყოფილოა და კლუბის დატოვებას გეგმავს. „ისეთ ადგილას მსურს ყოფნა, სადაც ბედნიერი ვიქნები და საკუთარ მოვალეობას თავს წარმატებით გავართმევ. გასული სეზონი „ბეტისის“ რიგებში მეტ-ნაკლებად ძლიერად ჩავატარე, წლეულს კი ნამდვილად ვერაფრით დავიკვეხნი. არ დავმალავ, რომ მიმდინარე სეზონში აშკარა უიღბლობას ვუჩივი, თუმც ჯერჯერობით, სანამ „ბეტისში“ ვარ, კლუბს ყოველმხრივ დავეხმარები“ — აცხადებს 22 წლის დენილსონი, ფეხბურთელი, რომელიც 1998 წელს მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე გახლდათ. „ბეტისმა“ იგი იმ დროისთვის სარეკორდო თანხად, 35 მილიონ დოლარად შეიძინა, თუმც დღევანდელი გადასახედიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ ესპანურ კლუბს აშკარად არ გაუმართლა.

ჯერჯერობით არც ერთ კლუბს დენილსონის შეძენის ოფიციალური სურვილი არ გამოუთქვამს, თუმც ბრაზილიელი გუნდიდან წასვლაზე დაუფარავად საუბრობს: „როგორც კი რაიმე რეალური შესაძლებლობა გამოჩნდება, არა მგონია, კლუბის ხელმძღვანელობამ წინააღმდეგობა გამიწიოს (არაოფიციალური ინფორმაციით, „ბეტისი“ დენილსონის საფასურად 7 მილიარდ პესეტას, ანუ დაახლოებით 43,2 მილიონ დოლარს ითხოვს. ასე, რომ, სერიოზული წინადადების შემთხვევაში მეც და ჩემი კლუბიც კმაყოფილნი დავრჩებით“.

**ნიკა შუბლაძე**



დენილსონი

# ფიორენტინას ჩაგრავენო

ამ ბოლო დროს იტალიაში მოდად იქცა მსაჯთა შეცდომებსა და ფეხბურთელთა არაკორექტულ ქცევებზე საუბარი. ამჯერად თავისი მოსაზრება „ფიორენტინას“ პრეზიდენტმა ვიტორიო ჩეკი გორიმ გამოთქვა. მისი თავდასხმის ობიექტი მსაჯების გარდა იტალიის საფეხბურთო ლიგაც გახდა, რომელიც იტალიის ჩემპიონატების გამართვას უწევს ორგანიზებას. ჩეკი გორის ინტერვიუ მეტად უჩვეულოდ წარიმართა. „ინტერის“ დამარცხების შემდეგ ერთ-ერთ რესტორანში მყოფი პრეზიდენტი ადგილობრივ ტელერადიოკომპანიაში შესულ გულშემატკივართა კითხვებს პირდაპირ რადიოეთერში მობილური ტელეფონით პასუხობდა. შეგახსენებთ, რომ ამას წინ იტალიურ ფეხბურთში მომხდარი ორი მნიშვნელოვანი ამბავი უსწრებდა. საშობაოდ საფეხბურთო კლუბმა „რომამ“ სერია A-ს მომსახურე მსაჯებს მეფური საჩუქრები — „როლექსის“ ოქროს საათები უძღვნა. ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკებმა ეს ფაქტი მოქრთამვის ცდად მიიჩნიეს და არბიტრებს ძვირფასი ნივთების უკან დაბრუნება მოსთხოვეს, რაც შავფორმიანებმა მეტად უხალისოდ გააკეთეს. ცხადია, ამ ფაქტმა არა მარტო რომაელთა, არამედ მსაჯთა მიმართაც უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია. ამ ამბიდან რამდენიმე დღე იყო გასული, როდესაც არბიტრის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პარმელმა დინო ბაჯომ მსაჯს ხელით უხამსი რამ უჩვენა. ფეხბურთის ფედერაციამ ფეხბურთელი ნაკრებიდან ერთი მატჩით მოკვეთა. აქ მთავარი ის არის, რომ მსგავსი საქციელისთვის აქამდე არავინ დასჯილა.

აი, ყოველივე ამას მოჰყვა ფლორენციელთა პრეზიდენტის ინტერვიუ. იმ დღეს „ფიორენტინამ“ „ინტერს“ 91-ე წუთზე აღანის გატანილი გოლით 2:1 მოუგო. მიუხედავად ამისა, არბიტრი ალფრედო ტრენტალანჯე ჩეკი გორის რისხვას ვერ გადაურჩა. „ტრენტალანჯეს ქმედებები პროვოკაციული იყო და ეს პირველად არ ხდება. ის რატომღაც მხოლოდ ჩვენს ფეხბურთელებს უფრიალებდა ბარათებს და არარსებულ თამაშგარე მდგომარეობებს იგონებდა“ — ამბობს გორი.

ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ „ფიორენტინას“ პრეზიდენტი ოდნავ ცდება. ფლორენციელთა „მონაგარი“ ორი ყვითელი და ერთი წითელი ბარათია. ამავე დროს სტუმრებმა ერთით მეტი გაფრთხილება მიიღეს. ჩეკი გორის, ალბათ, იმის თქმა სურდა, რომ რეპკა და დი ლივიო უსამართლოდ დაისაჯნენ, ფრეზი, იუგოვიჩი, ბლანი და ვიერი კი — სამართლიანად. „იტალიაში მუდამ ასე ხდებოდა და ხდება — განაგრძობს პრეზიდენტი — მსაჯებს თავიანთი ფავორიტები ჰყავთ. ეს უპირველესად „იუვენტუსია“. ალბათ იმიტომ, რომ ამ კლუბის მეპატრონე ქვეყნის უდიდესი ინდუსტრიული გიგანტი „ფიატია“.

როგორც ზემოთ ვთქვით, ჩეკი გორის კრიტიკა იტალიის საფეხბურთო ლიგასაც შეეხო. ლიგის შტაბბინა მილანში მდებარეობს და ფლორენციელი (ვერ გეტყვით, რატომ) ამის წინააღმდეგია.

მისი აზრით, ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ოფისი ყოველ ექვს თვეში ერთხელ უნდა იცვალონ. ამგვარი სქემა სერია A-ს მესვეურთა მხრივ რომელიმე გუნდის მიმართ სიმპათიების არქონის საფუძველი გახდება. „საფეხბურთო ლიგის ჩინოვნიკთა ამგვარი მიკერძოება, საბოლოოდ გულშემატკივარს გულს აუცრუებს და მატჩების გამართვა ცარიელი ტრიბუნების წინ მოგვიწევს“ — დაუმატა ჩეკი გორიმ.

თავის მხრივ, არც იტალიის საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელებს ეხატებათ გულზე „ფიორენტინას“ ბატონპატრონი. ცნობილია, რომ ფლორენციელთა ყოველ გატანილ გოლს პირად ლოჟაში მჯდომი მათი პრეზიდენტი დიდი ამბით ზეიმობს. ლიგის წარმომადგენლები ჩეკი გორის ემოციებს ზღვარგადასულად მიიჩნევენ და მისი დაჯარიმება განუზრახავთ. პრეზიდენტი ჩივის, მათ სურთ, რომ საერთოდ აღარ ვიარო სტადიონზეო. ჩეკი გორის საქმეს საფეხბურთო ლიგა საგანგებო სხდომას მიუძღვნის, რომელიც სავარაუდოდ 4 თებერვლის შემდეგ გაიმართება.

დაბოლოს, მტყუან-მართალს იტალიელები თავადვე გაარჩევენ, ჩვენ კი კარგი ფეხბურთით ვისიამოვნოთ.

**გიორგი დარჯანია**



„ფიორენტინას“ პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი

## ფეხბურთის რუკასთან



ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ სერია A-ს ლიდერი, რომის „ლაციო“ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ 13,3 ათასი დოლარით დააჯარიმა. ამის მიზეზი კლუბის ერთ-ერთი ფანი შეიქნა, რომელიც ბოლო ტურის მატჩის დროს რომის „ოლიმპიური“ სტადიონის ტრიბუნიდან გადახტა და ტელევიზიის ოპერატორს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. დაზარალებულს ექიმთა დახმარება დასჭირდა. იმავე ტურის შეხვედრაში „პერუჯას“ და „უდინეზეს“ შორის საკმაოდ უცნაური რამ მოხდა — უდინელმა გულშემატკივარმა ანთებული მაშხალის ხელიდან გაგდება ვერ მოახერხა და მსუბუქი დამწვრობა მიიღო.

**ᲚᲘᲑᲘᲘᲡ ოლიმპიური კომიტეტი მსოფლიოს 2006 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატთაგან მხარს მაროკოს უჭერს. ამის შესახებ ქვეყნის ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო „JANA“ იუწყება. ლიბიური სპორტის თავკაცთა განცხადებით, აფრიკული სახელმწიფო დიდი ტურნირის მასპინძლობისთვის ყოველმხრივ მზადაა. შეგახსენებთ, რომ მაროკოს ამ უფლებას თანაკონტინენტელი სამხრეთ აფრიკის გარდა ინგლისი, გერმანია და ბრაზილია ეცილებიან. წამყვანმა ბუქმეიკერებმა მაროკოს გამარჯვების შანსი 33:1-თან შეაფასეს, გადაწყვეტილებას კი ფიფა ივლისში მიიღებს.**

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ პრემიერლიგაში მოასპარეზე „უოტფორდმა“ მისთვის სარეკორდო თანხად — 2,46 მილიონ დოლარად ისლანდიელი ფორვარდი ჰეიდარ ჰელგუსონი შეიძინა. 22 წლის თავდამსხმელი ნორვეგიულ „ლილესტრიომში“ თამაშობდა და გასულ სეზონში ჩატარებულ 21 შეხვედრაში 16 გოლის გატანა მოახერხა. „მართალია, დღევანდელ საფეხბურთო ბაზარზე 2,5 მილიონი დოლარი არცთუ დიდი ფულია, მაგრამ კლუბისთვის ეს ცოტა არ არის. დღემდე „უოტფორდს“ ფეხბურთელში 1,5 მილიონზე მეტი არ გადაუხდია. მჯერა, რომ ჰელგუსონი იმედს გაამართლებს და თავის პოტენციალს გამოავლენს“ — განაცხადა „უოტფორდის“ მთავარმა მწვრთნელმა გრემ ტეილორმა, სპეციალისტმა, რომელიც ერთი ხანობა ინგლისის ნაკრებს თავკაცობდა.

**ᲠᲣᲛᲘᲜᲣᲚᲛᲐ „ნაციონალმა“, რომელიც ქვეყნის პირველ დივიზიონში ასპარეზობს, ესპანეთის მეორედივიზიონელ „ვილიარეალიდან“ მცველი მარიუშ იორდაჩე, ხოლო პრიმერადივიზიონელ „ვალენსიადან“ ფორვარდი საბინ ილიე წლინახევრით ითხოვა. ორივე ფეხბურთელი დროებით მეორე რუმინულ გუნდში, ბუქარესტის „სტიაუაში“ იყო განათხოვრებული, თუმც კლუბის ახალმა თავკაცმა ვიქტორ პიცურკამ ზამთრის არდადეგების შემდეგ მათზე უარი განაცხადა და მოთამაშეთა პირად აგენტს, ვიქტორ ბეჩალის ახალი კლუბის მოძებნა მოუხდა. „ფეხბურთელები წელიწადნახევრის განმავლობაში „ნაციონალში“ ითამაშებენ“ — განაცხადა ბეჩალიმ. შეგახსენებთ, რომ რუმინეთის ჩემპიონატში „ნაციონალი“ ამჟამად მე-12 ადგილზეა.**

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲛᲐ „ნიუკასლ იუნაიტედმა“ სატელევიზიო კომპანია „NTL PREMIUM“-თან ახალი შეთანხმება გააფორმა. კონტრაქტის თანახმად, ტელეკომპანიას კლუბის აგენტის სახელით სარგებლობის უფლება აქვს. NTL-ი გააკონტროლებს „ნიუკასლის“ შეხვედრათა სატელევიზიო ტრანსლაციებსა და ინტერნეტის ქსელთან დაკავშირებულ პროგრამებს. სანაცვლოდ „ნიუკასლ იუნაიტედი“ 25 მილიონ გირვანქას (დაახლოებით 41 მილიონ დოლარს) მიიღებს. „კაჭკაჭები“ უახლოეს მომავალში ახალი აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნასაც აპირებენ, რომელიც კონკრეტულად ახალ პარტნიორულ შეთანხმებაზე, ბიზნეს-გამოცემებსა და მასმედიასთან ურთიერთობაზე იმუშავებს.

**ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ მადრიდის „ატლეტიკოს“ მთავარმა მწვრთნელმა, იტალიელმა კლაუდიო რანიერიმ განაცხადა, რომ კლუბს სეზონის ბოლომდე უთავკაცებს და შეეცდება, იგი კრიზისიდან გამოიყვანოს. კითხვაზე, აპირებს თუ არა ივნისის, ანუ კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ კლუბში დარჩენას, რანიერიმ უპასუხა: „ახლა გუნდს დიდი ბრძოლა ელის, ამიტომ ვთვლი, რომ ახალ ხელშეკრულებაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია“. მადრიდის „ატლეტიკო“ წლეულს მართლაც რომ წარუმატებლად ასპარეზობს, პრიმერადივიზიონის გათამაშების ცხრილში მე-14 ადგილზეა და გასავარდნ ზონას მხოლოდ ორი ქულა აშორებს. ამას ისიც ემატება, რომ სასამართლომ გუნდის პრეზიდენტ ხესუს ხილისა და დირექტორთა საბჭოს ფინანსური მაქინაციის ბრალდებით 22 დეკემბრიდან მარტის ბოლომდე კლუბის მართვა აუკრძალა.**

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ „ლე ავრის“ ფორვარდმა სირილ პუჟემ შესაძლოა მარსელის „ოლიმპიკთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმოს. შეთანხმების პირობები ჯერჯერობით არ გაცხადებულა. 27 წლის პუჟე „ლე ავრამდე“ „მეცის“, შვეიცარიული „სერვეტისა“ და პსჟ-ს ღირსებას იცავდა. მარსელის „ოლიმპიკმა“ ზამთრის შესვენების პერიოდში ორი ფორვარდი, იტალიელი ფაბრიციო რავანელი და კრისტოფ დიუგარი გაყიდა და ამჟამად ახალი თავდამსხმელების შეძენას აპირებს.

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ „უიმბლდონის“ მცველი ბენ ტეტჩერი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. სადისციპლინო კომიტეტმა ვიდეოჩანაწერის ხილვის შემდეგ დაადგინა, რომ 3 იანვარს გამართულ პრემიერლიგის მორიგი ტურის შეხვედრაში მცველი ერთ-ერთ სანდერლენდელ მეტოქეს ეუხეშა. მატჩის არბიტრ გრემ პოლსა და თანამსაჯ გრანტ ჰელის მაშინ ეს გამოეპარათ და დამნაშავე არ დაუსჯიათ.**

# დორტმუნდელთა გასაჭირი

ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘᲡ „ბორუსიას“ და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი ანდრეას მიოლერი ვარჯიშისას დაშავდა. მას მყესები აქვს დაზიანებული. ექიმთა დასკვნით, 32 წლის ვეტერანი ექვსი კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს. ზამთრის არდადეგების შემდეგ დორტმუნდელებს პირველი შეხვედრა „კაიზერსლაუტერნთან“ ელით. ეს მატჩი 4 თებერვალს გაიმართება. მიოლერი სავარაუდოდ „ვოლფსბურგთან“ და „ულმთანაც“ ვერ გამოვა.

„ბორუსია“ 2 მარტს უეფას თასის მერვედფინალში შინ თურქულ „გალათასარაის“ მასპინძლობს და კლუბის ხელმძღვანელობას ამ დროისთვის მიოლერის სათამაშო ფორმის აღდგენის იმედი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი მეტად რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება.

ჩემპიონთა ლიგის 1997 წლის გამარჯვებულებს სხვა თავსატეხიც გასჩენიათ — ნიგერიელი ვიქტორ იკპება და განელი ოტო ადო სამშობლოში მიემგზავრებიან. 22 იანვარს აფრიკის თასის გათამაშება აიღებს სტარტს. ეს ფეხბურთელები თავიანთი ქვეყნების ეროვნულ ნაკრებებში არიან გამოძახებულნი.

# ბრაზილიური ფინალი ბრაზილიაში

## მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. B ჯგუფი. III ტური

**ნეკაქსა (მექსიკა) 1:2 ვასკუ და გამა (ბრაზილია)**

1:0 აგინაგა (5), 1:1 ოდვანი (14), 1:2 რომარიო (69)

ნეკაქსა: პინედა, კაბრერა, ალმაგერი, აგინაგა, პერესი, დელგადო, მარკუს ლოპესი, ვინა, მილიანი (ვასკესი 84), მონტესინიოსი (ამბრისი 72), იგარედა

ვასკუ და გამა: ელტონი, მაურო გალვაო, ამარალი, ფელიპე, რამონი, ჟუნიორ ბაიანო (ოდვანი 9), პაულო მირანდა, ჟუნინიო, ჟილბერტო, დონიზეტი (ედმუნდო 70), რომარიო

გაფრთხილება: იგარედა, მარკუს ლოპესი, ამარალი

მსაჯი: ო. რუის აკოსტა

**მანჩესტერი (ინგლისი) 2:0 საუთ მელბურნი (ავსტრალია)**

1:0, 2:0 ფორჩუნი (8, 20)

მანჩესტერი: ვან დერ გოუ (რაჩუბკა 83), ჰიგინბოთემი, ბერგი, უოლვორკი, ფ. ნევილი, გრინინგი, უილსონი (ბექემი 77), კრუიფი, კოული, ფორჩუნი, სოლსკიაერი

საუთ მელბურნი: ჯონსი, იოსიფიდისი, დე ამიკისი, ბლატსისი, კლარკსონი (ცეკინისი 71), პანოპულოსი, ტრიმბოლი, კურჩია, ანასტასიადისი (კოვენი 66), ლოზანოვსკი, ლიპაროტი (გუტცულისი 31)

გაფრთხილება: ტრიმბოლი

მსაჯი: ს. ბრაში




რომარიომ კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე გოლი გაიტანა, რომელიც „ვასკუ და გამასთვის" ერთობ მნიშვნელოვანი გამოდგა — რიო დე ჟანეიროს კლუბი ფინალში გავიდა, სადაც ხვალ სან პაულუს „კორინთიანსს" უნდა შეხვდეს. ამრიგად, ნათელია, ფიფას შეჯიბრების პირველი ჯილდო ბრაზილიაში რჩება.

2:1, ასეთი გახლდათ ანგარიში, რომლითაც „ვასკუმ" მექსიკურ „ნეკაქსას" სძლია, თუმცა ანგარიში შეიძლებოდა მეტიც ყოფილიყო, იმავე რომარიოს ორჯერ ჩინებული შესაძლებლობა რომ არ გაეშვა ხელიდან. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონმა თავისას 69-ე წუთზე მიაღწია, როდესაც საკმაოდ მაღალი დონის, დრამატულ შეხვედრაში გადამწყვეტი გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ გოლის გატანის შესაძლებლობები მექსიკელებსაც ჰქონდათ.

„ნეკაქსა" მიუხედავად იმისა, რომ ფინალში ვერ გავიდა ბრაზილიურ საზოგადოებას კარგად დაამახსოვრდება და საყოველთაო აზრით მაღალი კლასის გუნდის სახელსაც დაიმკვიდრებს.

„ვასკუსა" და „ნეკაქსას" შეხვედრაში ბრაზილიელებს ფინალში გასასვლელად ფრეც ჰყოფნიდათ, მაგრამ ალექს აგინაგას მიერ მათ კარში მეხუთე წუთზევე გატანილმა გოლმა განწყობილება და თამაშის სურათი შეცვალა. ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის წარმატებას რიო დე ჟანეიროელებმა ოდვანის გოლით მალევე უპასუხეს, ხოლო შემდეგ, როგორც მოგახსენეთ, რომარიომ თქვა თავისი სიტყვა.

საბოლოოდ „ვასკუ და გამამ" B ჯგუფში 9 ქულა მოაგროვა, ხოლო „ნეკაქსა" მეორე ადგილს დასჯერდა და ახლა, მესამე ადგილისთვის მადრიდის „რეალს" უნდა შეხვდეს.

„ნეკაქსას" მსგავსად 4 ქულა მოაგროვა ბოლო ტურში „საუთ მელბურნის" მძლეველმა „მანჩესტერ იუნაიტედმაც", მაგრამ მექსიკელებს გატანილ-გაშვებულთა უკეთესი მაჩვენებელი აქვთ.

„ვასკუ და გამამ" „ნეკაქსასთან" შეხვედრაში ერთი სიურპრიზიც შესთავაზა მაყურებელს: ედმუნდო მოედანზე მხოლოდ 70-ე წუთზე გამოჩნდა.

როგორც მოგახსენეთ, ანგარიში მექსიკელებმა გახსნეს. ეკვადორელმა ნახევარმცველმა აგინაგამ თანაგუნდელებთან პასთა სწრაფი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ზუსტი დარტყმით დაადუმა ტრიბუნები, მაგრამ მექსიკელების სიხარული მხოლოდ ცხრაწუთიანი გამოდგა, შემდეგ კი დაშავებული ჟუნიორ ბაიანოს ნაცვლად მოთამაშე ოდვანმა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავური ჰკრა და ანგარიში გაათანაბრა.

ზემოთ რომარიოს ვერგამოყენებული მომენტებიც ვახსენეთ. პირველი 23-ე წუთზე გახლდათ, როდესაც მან ახლოდან ხარიხას გადააცილა ბურთი. ამ ეპიზოდში რომარიომ დონიზეტისგან მიიღო ჩინებული პასი. 30-ე წუთზე მანვე მეკარის საჯარიმო ბაქნიდან პაულო მირანდას ჩაწოდებულს უზუსტოდ დაარტყა თავი.

„ნეკაქსას" ვეტერანმა მეკარემ, უგო პინედამ ჟუნინიოსა და რამონის საჯარიმო დარტყმებსაც გაართვა თავი, თუმცა, როგორც ვთქვით, შანსები მექსიკელებსაც ჰქონდათ. ისინი სამჯერ ძალიან ახლოს იყვნენ მიზანთან, ხოლო ამ ეპიზოდებისგან საგანგებოდ მაინც ეკვადორელი თავდამსხმელის, აგუსტინ დელგადოსი გახლავთ აღსანიშნავი. დელგადოს ხოსე იგარედამ ჩინებულად ჩააწოდა ბურთი, მაგრამ ეკვადორელი მას ვერ შეწვდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში იმავე დელგადოსა და აგინაგას „ვასკუს" გოლკიპერმა ელტონმა აუღო ძნელად მოსაგერიებელი დარტყმები, მერე კი რომარიოს გოლის ჯერიც დადგა: სალვადორ კაბრერამ ბურთი მოედნის შუაში დაკარგა და ჟუნინიოს შეტევის განვითარების საშუალება მისცა. ჟუნინიომ რომარიოს მიაწოდა პასი, ხოლო კომბინაცია შორეულ კუთხეში დაბალი და ზუსტი დარტყმით დასრულდა.

„ნეკაქსა", ბუნებრივია, არ დანებდა, 75-ე წუთზე კაბრერამ ძელსაც გაარტყა ბურთი, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა" კი „საუთ მელბურნს" 2:0 სძლია. შეხვედრაში, რომელსაც როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდისთვის აზრი არ ჰქონდა ორივე გოლი, მე-8 და მე-20 წუთებზე, კუინტონ ფორჩუნმა გაიტანა. ინგლისელთა გუნდი შეხვედრის ბოლო მონაკვეთშილა გამოჩნდა საინტერესოდ, დანარჩენმა დრომ კი მაყურებელს არაფერი მისცა.

ავსტრალიელებს მეორე ტაიმში შეეძლოთ გოლის გატანა, ვუგან კოვენიმ ორივე ძელს მოარტყა ბურთი, ხოლო ყბადაღებული დევიდ ბექემი, რომელმაც საზოგადოებრიობას პირველ შეხვედრაში თავი გაგდებით დაამახსოვრა ბოლო 13 წუთში გამოჩნდა მოედანზე და ბურთთან ყოველი შეხებისას ტრიბუნებისგან სტვენა-ყიჟინა მიიღო.

„საუთ მელბურნი" შინ ქულის გარეშე დაბრუნდა.

**ბრაიან ჰოუმვუდი,**
**როიტერი**



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

ნეკაქსა — ვასკუ და გამა 1:2. მექსიკელმა სალვადორ კაბრერამ ბრაზილიელი რომარიო წააქცია



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

მანჩესტერი — საუთ მელბურნი 2:0. ავსტრალიელმა ფაუსტო დე ამიკისმა ინგლისელ კუინტონ ფორჩუნს (მარჯვნივ) გოლის გატანაში ხელი ვერ შეუშალა

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვასკუ და გამა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| ნეკაქსა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| მანჩესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| საუთ მელბურნი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რომარიო (ვასკუ და გამა) | 3 |
| ედმუნდო (ვასკუ და გამა) | 2 |
| მონტესინიოსი (ნეკაქსა) | 2 |
| ფორჩუნი (მანჩესტერი) | 2 |

### მატჩი მესამე ადგილისთვის

14 იანვარი. რიო დე ჟანეირო

**რეალი — ნეკაქსა**

### ფინალი

14 იანვარი. რიო დე ჟანეირო

**კორინთიანსი — ვასკუ და გამა**

# ევროპა ნაგავია

1970 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ბრაზილიელმა ჟერსონმა კლუბთა პირველი ჩემპიონატის შესახებ რომ ჰკითხეს, თქვა, „მანჩესტერ იუნაიტედი" ვისკის სასმელად და მზეზე მისაფიცხებლად იყო ჩამოსულიო. კიდევ, ყურადღება მაყურებლის ინტერესსაც მიაქციეს. შეჯიბრებაზე, რომელიც ბრაზილიაში მიმდინარეობდა, ხალხი მხოლოდ ადგილობრივ გუნდთა თამაშების საცქერლად მიდიოდა სტადიონზე.

„სხვათა თამაშები კარგი რომ ყოფილიყო მაყურებელი ტრიბუნებს შეავსებდა" — დაწერა ჟერსონმა მისთვის გამოყოფილ საგაზეთო სვეტში — „რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედს", იგი ბრაზილიაში მზეზე მისაფიცხებლად და ჩვენებური ვისკის ინგლისურთან შესადარებლად იყო ჩამოსული. რაც მათ ჩაიდინეს მასხარაობა გახლდათ, მათ ფეხბურთს კი მხოლოდ ნაგავს თუ ვუწოდებთ".

ოკეანის გაღმელთა თემას გამოეხმაურა ცნობილი კომენტარტორი ჟუკა კფოურიც, რომელმაც შუა აღმოსავლურ ფეხბურთს „გროტესკი" უწოდა.

კფოურისა და ჟერსონის განცხადებებს დაემატა ჩემპიონატში მონაწილე ბრაზილიური კლუბის, „ვასკუ და გამას" დირექტორის, ეურიკო მირანდას ნათქვამიც, „მანჩესტერ იუნაიტედში" ჩემი გუნდის ღირსი ერთი ფეხბურთელიც არ თამაშობსო. შეგახსენებთ, რომ „ვასკუმ" „იუნაიტედს" 3:1 მოუგო.

როგორც მოგახსენეთ, ბრაზილიელმა ქომაგებმა ინტერესი მხოლოდ საკუთარი გუნდებისადმი გამოიჩინეს. მაგალითად, „კორინთიანსისა" და „რეალის" შეხვედრას სან პაულუში 55 ათასი მაყურებელი დაესწრო, ხოლო როდესაც ეს შეხვედრა დამთავრდა, ტრიბუნები დაცარიელდა, მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე „ალ ნასრისა" და „რაჯა კასაბლანკას" ფეხბურთელები უნდა გასულიყვნენ.

ზუსტად იგივე მოხდა „ვასკუსა" და „იუნაიტედის" შეხვედრის შემდეგ. 70 ათასი მაყურებლიდან „ნეკაქსა" — „საუთ მელბურნის" სანახავად ტრიბუნებს ათასიღა შემორჩა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ავსტრალიური გუნდის მწვრთნელმა ანგე პოსტეკოლლუმ განაცხადა, რომ მისი ფეხბურთელები დუმილის კედელს გადააწყდნენ, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა, სერ ალექს ფერგიუსონმა დაიჩივლა, ცარიელი ტრიბუნების წინაშე არასდროს გვითამაშიო.

დავუბრუნდეთ ჟერსონს, რომელიც მადრიდის „რეალსაც" გადაწვდა და ბრძანა, „რაჯა კასაბლანკასთან" შეხვედრაში ესპანელებს არ ეტყობოდათ ნამდვილად რომ უნდოდათ მოგებაო.

„მადრიდელები სერიოზულად სათამაშოდ არ ჩამოსულან და ეს „რაჯა კასაბლანკასთან" თამაშმაც გვაჩვენა. „რეალი" მასხარაობდა, ხოლო როდესაც შენიშნა, რომ საქმე ცუდად მიდიოდა, ნერვიულობა დაიწყო".

იმავე გაზეთში კფოური, რომელიც „კორინთიანსისა" და „ალ ნასრის" თამაშს არჩევდა წერს შუა აღმოსავლური გუნდები გროტესკულ არაბულ ფეხბურთს თამაშობენო.

ეურიკო მირანდა, „ვასკუს" დირექტორი: „სულ ამბობდნენ, რომ ინგლისელებს მსოფლიოს ჩემპიონატი არ აინტერესებთ, მაგრამ BBC-მ 60 ჟურნალისტი გამოაგზავნა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ასეთ სერიოზულ შეჯიბრებაში ისტორიაში არ უთამაშიათ. მანჩესტერელებს ეგონათ, რომ იოლად გაიმარჯვებდნენ, მაგრამ „ვასკუს" ძალა ვერ გაითვალისწინეს. დღეისათვის „იუნაიტედის" ერთი მოთამაშეც ვერ მოხვდებოდა „ვასკუ და გამაში". ბრაზილიელებს მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელები გვყავს. ევროპელები ახლოსაც ვერ მოვლნენ."

„ვასკუ და გამასა" და „ნეკაქსას" შეხვედრის წინ კი ჟერსონი ამბობდა: „რიოს გუნდი სამ გოლს უპრობლემოდ გაიტანს. შეხვედრა მართლაც „ვასკუს" გამარჯვებით, ოღონდ 2:1 დასრულდა.

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატს ესპანური „ბარსელონას" ცნობილი ჰოლანდიელი მწვრთნელი ლუის ვან გაალიც გამოეხმაურა. მისი ევროპული აზრი ასეთი გახლდათ: „ფიფა ფეხბურთს კლავს".

„როდესაც ერთი შეჯიბრება მიმდინარეობს, მეორეს გამოგონება დაუშვებელია. ეტყობა ამ ხალხს ფეხბურთის მოკვლა აქვს განზრახული. იმისათვის, რომ ამ ტურნირზე ითამაშონ, ესპანურმა და ინგლისურმა კლუბებმა საკუთარ ეროვნულ პირველობებს უნდა ავნონ. ფიფამ ეს ჩემპიონატი ისე მოიგონა, რომ მონაწილე გუნდებისთვის აზრი არ უკითხავს".

**მიხეილ სურგულაძე**



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

მანჩესტერელი დევიდ ბექემი აუზში ჰყუმპალაობს

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**„კროკოს" მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე**
**(კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში)**
**$11^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე მუშაობს**

### ინგლისი. პირველი დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 26 | 16 | 5 | 5 | 48:28 | 53 | 9 | 2 | 2 | 24:11 | 7 | 3 | 3 | 24:17 |
| სიტი | 26 | 16 | 4 | 6 | 40:21 | 52 | 10 | 0 | 3 | 27:10 | 6 | 4 | 3 | 13:11 |
| იფსვიჩი | 26 | 14 | 7 | 5 | 43:27 | 49 | 10 | 1 | 2 | 26:12 | 4 | 6 | 3 | 17:15 |
| ბარნსლი | 26 | 15 | 4 | 7 | 52:38 | 49 | 10 | 1 | 2 | 31:13 | 5 | 3 | 5 | 21:25 |
| ჰადერსფილდი | 26 | 14 | 5 | 7 | 44:27 | 47 | 10 | 2 | 1 | 33:12 | 4 | 3 | 6 | 11:15 |
| სტოკპორტი | 26 | 11 | 7 | 8 | 32:35 | 40 | 7 | 5 | 1 | 23:16 | 4 | 2 | 7 | 9:19 |
| ქუინზ პარკი | 26 | 10 | 9 | 7 | 35:30 | 39 | 6 | 7 | 0 | 20:12 | 4 | 2 | 7 | 15:18 |
| ფულემი | 26 | 9 | 12 | 5 | 25:20 | 39 | 6 | 5 | 2 | 12:7 | 3 | 7 | 3 | 13:13 |
| ნორვიჩი | 26 | 10 | 8 | 8 | 27:25 | 38 | 8 | 2 | 3 | 17:12 | 2 | 6 | 5 | 10:13 |
| ბლექბერნი | 25 | 9 | 10 | 6 | 32:25 | 37 | 6 | 5 | 2 | 19:11 | 3 | 5 | 4 | 13:14 |
| ვულვზი | 26 | 9 | 9 | 8 | 31:28 | 36 | 6 | 4 | 3 | 20:13 | 3 | 5 | 5 | 11:15 |
| ბირმინგემი | 25 | 9 | 8 | 8 | 34:28 | 35 | 7 | 3 | 2 | 22:11 | 2 | 5 | 6 | 12:17 |
| ტრანმერი | 26 | 10 | 5 | 11 | 37:37 | 35 | 7 | 3 | 3 | 23:15 | 3 | 2 | 8 | 14:22 |
| ბოლტონი | 25 | 8 | 8 | 9 | 33:30 | 32 | 6 | 4 | 3 | 22:16 | 2 | 4 | 6 | 11:14 |
| კრ. პალასი | 26 | 8 | 8 | 10 | 36:41 | 32 | 6 | 5 | 2 | 23:12 | 2 | 3 | 8 | 13:29 |
| შეფილდ იუნ. | 26 | 8 | 7 | 11 | 33:41 | 31 | 6 | 3 | 4 | 19:14 | 2 | 4 | 7 | 14:27 |
| ნოტინგემი | 26 | 7 | 7 | 12 | 26:32 | 28 | 6 | 5 | 2 | 18:10 | 1 | 2 | 10 | 8:22 |
| ქრიუ | 26 | 7 | 7 | 12 | 25:33 | 28 | 5 | 5 | 3 | 12:10 | 2 | 2 | 9 | 13:23 |
| ვესტ ბრომი | 26 | 5 | 12 | 9 | 24:32 | 27 | 3 | 7 | 4 | 14:16 | 2 | 5 | 5 | 10:16 |
| გრიმსბი | 26 | 7 | 6 | 13 | 27:45 | 27 | 6 | 4 | 3 | 16:17 | 1 | 2 | 10 | 11:28 |
| პორტველი | 25 | 5 | 8 | 12 | 28:36 | 23 | 4 | 2 | 6 | 12:14 | 1 | 6 | 6 | 16:22 |
| პორტსმუთი | 26 | 5 | 8 | 13 | 28:41 | 23 | 4 | 5 | 4 | 17:13 | 1 | 3 | 9 | 11:28 |
| უოლსოლი | 26 | 5 | 7 | 14 | 26:42 | 22 | 3 | 4 | 6 | 12:16 | 2 | 3 | 8 | 14:26 |
| სუინდონი | 26 | 3 | 9 | 14 | 18:42 | 18 | 2 | 6 | 5 | 12:20 | 1 | 3 | 9 | 6:22 |

### ინგლისი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 25 | 15 | 9 | 1 | 47:21 | 54 | 10 | 2 | 1 | 24:7 | 5 | 7 | 0 | 23:14 |
| პრესტონი | 24 | 15 | 7 | 2 | 42:19 | 52 | 9 | 1 | 2 | 20:10 | 6 | 6 | 0 | 22:9 |
| როვერსი | 25 | 15 | 5 | 5 | 36:20 | 50 | 8 | 3 | 1 | 16:6 | 7 | 2 | 4 | 20:14 |
| მილუოლი | 26 | 13 | 8 | 5 | 41:28 | 47 | 7 | 5 | 1 | 21:11 | 6 | 3 | 4 | 20:17 |
| სტოკი | 25 | 12 | 8 | 5 | 36:22 | 44 | 5 | 5 | 3 | 16:12 | 7 | 3 | 2 | 20:10 |
| ბარნლი | 24 | 12 | 7 | 5 | 33:21 | 43 | 10 | 1 | 1 | 25:9 | 2 | 6 | 4 | 8:12 |
| ნოტსი | 26 | 12 | 7 | 7 | 38:27 | 43 | 6 | 3 | 4 | 20:14 | 6 | 4 | 3 | 18:13 |
| ჯილინგემი | 23 | 12 | 6 | 5 | 42:28 | 42 | 8 | 2 | 2 | 25:12 | 4 | 4 | 3 | 17:16 |
| ბრენტფორდი | 26 | 10 | 7 | 9 | 36:34 | 37 | 7 | 3 | 3 | 21:15 | 3 | 4 | 6 | 15:19 |
| ბორნმუთი | 26 | 10 | 5 | 11 | 36:37 | 35 | 8 | 3 | 2 | 24:9 | 2 | 2 | 9 | 12:28 |
| უიკომბი | 25 | 8 | 9 | 8 | 31:31 | 33 | 6 | 3 | 4 | 20:17 | 2 | 6 | 4 | 11:14 |
| ბრისტოლი | 25 | 6 | 12 | 7 | 28:29 | 30 | 3 | 10 | 0 | 15:8 | 3 | 2 | 7 | 13:21 |
| ლუთონი | 25 | 9 | 6 | 10 | 31:34 | 33 | 7 | 4 | 1 | 25:15 | 2 | 2 | 9 | 6:19 |
| ბერი | 23 | 7 | 10 | 6 | 37:31 | 31 | 5 | 5 | 2 | 26:21 | 2 | 5 | 4 | 11:10 |
| ოლდემი | 25 | 8 | 7 | 10 | 26:29 | 31 | 4 | 3 | 5 | 13:13 | 4 | 4 | 5 | 13:16 |
| კოლჩესტერი | 25 | 6 | 7 | 12 | 32:51 | 25 | 5 | 3 | 4 | 19:24 | 2 | 4 | 7 | 13:27 |
| კარდიფი | 25 | 5 | 9 | 11 | 24:34 | 24 | 3 | 6 | 3 | 12:15 | 2 | 3 | 8 | 12:19 |
| ოქსფორდი | 24 | 6 | 6 | 12 | 23:33 | 24 | 3 | 4 | 5 | 13:14 | 3 | 2 | 7 | 10:19 |
| სკანთორპი | 24 | 6 | 6 | 12 | 24:40 | 24 | 3 | 2 | 7 | 10:19 | 3 | 4 | 5 | 14:21 |
| რექსჰემი | 24 | 4 | 10 | 10 | 21:36 | 22 | 3 | 5 | 4 | 12:13 | 1 | 5 | 6 | 9:23 |
| რედინგი | 24 | 4 | 9 | 11 | 28:43 | 21 | 3 | 7 | 3 | 14:14 | 1 | 2 | 8 | 14:29 |
| ბლექპული | 25 | 3 | 9 | 13 | 24:43 | 18 | 2 | 5 | 5 | 13:20 | 1 | 4 | 8 | 11:23 |
| ჩესტერფილდი | 24 | 3 | 8 | 13 | 14:28 | 17 | 2 | 3 | 6 | 6:11 | 1 | 5 | 7 | 8:17 |
| კემბრიჯი | 24 | 3 | 7 | 14 | 30:41 | 16 | 3 | 4 | 5 | 20:21 | 0 | 3 | 9 | 10:20 |

### თურქეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 15 | 12 | 2 | 1 | 33:13 | 38 | 6 | 0 | 1 | 17:4 | 6 | 2 | 0 | 16:9 |
| ბეშიქთაში | 15 | 8 | 4 | 3 | 28:10 | 28 | 5 | 2 | 1 | 16:4 | 3 | 2 | 2 | 12:6 |
| გაზიანთეფი | 15 | 8 | 4 | 3 | 22:11 | 28 | 5 | 1 | 2 | 17:8 | 3 | 3 | 1 | 5:3 |
| ფენერბაჰჩე | 15 | 6 | 7 | 2 | 26:18 | 25 | 3 | 3 | 1 | 12:8 | 3 | 4 | 1 | 14:10 |
| ანთალია | 15 | 7 | 3 | 5 | 22:26 | 24 | 2 | 3 | 2 | 10:11 | 5 | 0 | 3 | 12:15 |
| დენიზლი | 15 | 6 | 5 | 4 | 24:22 | 23 | 5 | 1 | 3 | 16:14 | 1 | 4 | 1 | 8:8 |
| ალთაი | 15 | 6 | 4 | 5 | 20:16 | 22 | 5 | 3 | 1 | 14:6 | 1 | 1 | 4 | 6:10 |
| ტრაბზონი | 15 | 5 | 6 | 4 | 19:16 | 21 | 3 | 3 | 2 | 9:6 | 2 | 3 | 2 | 10:10 |
| ანკარაგიუჯიუ | 15 | 6 | 3 | 6 | 23:25 | 21 | 4 | 1 | 3 | 12:10 | 2 | 2 | 3 | 11:15 |
| სამსუნი | 15 | 6 | 2 | 7 | 20:21 | 20 | 5 | 1 | 2 | 15:5 | 1 | 1 | 5 | 5:16 |
| გენჩლერი | 15 | 5 | 4 | 6 | 18:22 | 19 | 2 | 4 | 3 | 7:11 | 3 | 0 | 3 | 11:11 |
| ადანა | 15 | 5 | 3 | 7 | 22:24 | 18 | 2 | 1 | 4 | 13:14 | 3 | 2 | 3 | 9:10 |
| ერზურუმი | 15 | 5 | 3 | 7 | 19:26 | 18 | 4 | 3 | 1 | 14:6 | 1 | 0 | 6 | 5:20 |
| გიოზთეფე | 15 | 4 | 5 | 6 | 13:18 | 17 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 2 | 2 | 4 | 6:12 |
| ისთანბული | 15 | 3 | 6 | 6 | 15:23 | 15 | 3 | 2 | 3 | 13:15 | 0 | 4 | 3 | 2:8 |
| ბურსა | 15 | 3 | 4 | 8 | 16:21 | 13 | 2 | 1 | 4 | 9:11 | 1 | 3 | 4 | 7:10 |
| ვანი | 15 | 2 | 4 | 9 | 17:28 | 10 | 1 | 3 | 4 | 10:17 | 1 | 1 | 5 | 7:11 |
| ქოჯაელი | 15 | 2 | 3 | 10 | 15:32 | 9 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 2 | 2 | 9 | 13:29 |

### ინგლისი. მესამე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სუონსი | 26 | 15 | 5 | 6 | 29:17 | 50 | 9 | 2 | 2 | 17:6 | 6 | 3 | 4 | 12:11 |
| ბარნეტი | 26 | 14 | 7 | 5 | 37:26 | 49 | 8 | 3 | 2 | 22:11 | 6 | 4 | 3 | 15:15 |
| როტერჰემი | 26 | 14 | 5 | 7 | 39:19 | 47 | 8 | 1 | 4 | 22:8 | 6 | 4 | 3 | 17:11 |
| დარლინგტონი | 25 | 13 | 7 | 5 | 34:17 | 46 | 8 | 4 | 0 | 22:5 | 5 | 3 | 5 | 12:12 |
| ჰარტლპული | 26 | 13 | 3 | 10 | 36:28 | 42 | 9 | 0 | 4 | 19:9 | 4 | 3 | 6 | 17:19 |
| ნორთჰემპტონი | 26 | 12 | 6 | 8 | 31:24 | 42 | 7 | 2 | 4 | 17:11 | 5 | 4 | 4 | 14:13 |
| ჰალიფაქსი | 26 | 12 | 5 | 9 | 30:27 | 41 | 6 | 3 | 4 | 18:12 | 6 | 2 | 5 | 12:15 |
| ტორკი | 25 | 11 | 6 | 8 | 35:29 | 39 | 6 | 3 | 3 | 18:10 | 5 | 3 | 5 | 17:19 |
| როჩდეილი | 25 | 11 | 6 | 8 | 25:19 | 39 | 4 | 4 | 4 | 7:8 | 7 | 2 | 4 | 18:11 |
| მაკლსფილდი | 26 | 11 | 6 | 9 | 38:35 | 39 | 5 | 3 | 5 | 19:18 | 6 | 3 | 4 | 19:17 |
| პლიმუთი | 24 | 10 | 8 | 6 | 33:27 | 38 | 7 | 5 | 0 | 26:12 | 3 | 3 | 6 | 7:15 |
| პიტერბრო | 24 | 11 | 5 | 8 | 35:34 | 38 | 7 | 2 | 3 | 21:18 | 4 | 3 | 5 | 14:16 |
| ჩელტენემი | 25 | 10 | 5 | 10 | 25:24 | 35 | 6 | 2 | 5 | 15:13 | 4 | 3 | 5 | 10:11 |
| ბრაიტონი | 25 | 9 | 7 | 9 | 38:31 | 34 | 6 | 2 | 5 | 25:17 | 3 | 5 | 4 | 13:14 |
| საუთენდი | 26 | 9 | 6 | 11 | 34:38 | 33 | 5 | 3 | 5 | 21:20 | 4 | 3 | 6 | 13:18 |
| მენსფილდი | 24 | 9 | 5 | 10 | 32:35 | 32 | 5 | 3 | 3 | 23:15 | 4 | 2 | 7 | 9:20 |
| ჰალი | 25 | 8 | 7 | 10 | 24:25 | 31 | 5 | 3 | 5 | 18:13 | 3 | 4 | 5 | 6:12 |
| ლინკოლნი | 24 | 8 | 7 | 9 | 35:37 | 31 | 5 | 3 | 4 | 17:13 | 3 | 4 | 5 | 18:24 |
| ექსეტერი | 25 | 7 | 5 | 13 | 29:39 | 26 | 5 | 3 | 5 | 17:19 | 2 | 2 | 8 | 12:20 |
| იორკი | 24 | 6 | 7 | 11 | 22:32 | 25 | 3 | 5 | 5 | 10:15 | 3 | 2 | 6 | 12:17 |
| შრიუსბერი | 26 | 6 | 5 | 15 | 23:41 | 23 | 3 | 4 | 6 | 13:14 | 3 | 1 | 9 | 10:27 |
| კარლაილი | 26 | 5 | 7 | 14 | 26:44 | 22 | 4 | 4 | 5 | 15:15 | 1 | 3 | 9 | 11:29 |
| ლეიტონი | 25 | 5 | 6 | 14 | 22:34 | 21 | 2 | 4 | 6 | 7:12 | 3 | 2 | 8 | 15:22 |
| ჩესტერი | 26 | 4 | 4 | 18 | 23:53 | 16 | 2 | 2 | 9 | 9:23 | 2 | 2 | 9 | 14:30 |

### იტალია. სერია C1/b

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კროტონე | 18 | 10 | 8 | 0 | 33:13 | 38 | 7 | 2 | 0 | 22:5 | 4 | 5 | 0 | 11:7 |
| არეცო | 18 | 10 | 5 | 3 | 34:22 | 35 | 7 | 2 | 0 | 23:12 | 4 | 2 | 3 | 11:10 |
| ანკონა | 18 | 10 | 4 | 4 | 27:12 | 34 | 6 | 3 | 0 | 20:7 | 4 | 1 | 4 | 7:5 |
| ვიტერბეზე | 18 | 9 | 4 | 5 | 31:25 | 31 | 4 | 4 | 1 | 18:10 | 5 | 0 | 4 | 13:15 |
| პალერმო | 18 | 8 | 7 | 3 | 16:10 | 31 | 4 | 4 | 1 | 9:4 | 4 | 3 | 2 | 7:6 |
| ასკოლი | 18 | 7 | 8 | 3 | 31:15 | 29 | 4 | 3 | 2 | 18:7 | 3 | 5 | 1 | 13:8 |
| კატანია | 18 | 6 | 7 | 5 | 18:16 | 25 | 3 | 4 | 2 | 7:6 | 3 | 2 | 4 | 10:10 |
| ჯულიანოვა | 18 | 6 | 6 | 6 | 21:24 | 24 | 4 | 2 | 3 | 9:9 | 2 | 4 | 3 | 12:15 |
| სტაბია | 18 | 5 | 8 | 5 | 22:19 | 23 | 4 | 3 | 2 | 14:8 | 1 | 5 | 3 | 8:11 |
| ნოჩერინა | 18 | 5 | 8 | 5 | 16:14 | 23 | 4 | 4 | 1 | 10:4 | 1 | 4 | 4 | 6:10 |
| დი სანგრო | 18 | 5 | 5 | 8 | 17:24 | 20 | 3 | 2 | 4 | 10:12 | 2 | 3 | 4 | 7:12 |
| ბენევენტო | 18 | 5 | 5 | 8 | 12:19 | 20 | 5 | 1 | 3 | 9:6 | 0 | 4 | 5 | 3:13 |
| ლოდიჯანი | 17 | 4 | 7 | 6 | 13:22 | 19 | 4 | 2 | 2 | 8:7 | 0 | 5 | 4 | 5:15 |
| გუალდო | 18 | 4 | 6 | 8 | 17:24 | 18 | 3 | 4 | 2 | 9:9 | 1 | 2 | 6 | 8:15 |
| აველინო | 17 | 5 | 3 | 9 | 16:23 | 18 | 5 | 1 | 3 | 12:9 | 0 | 1 | 7 | 3:14 |
| ფ. ანდრია | 18 | 2 | 8 | 8 | 13:23 | 14 | 2 | 6 | 1 | 8:8 | 0 | 2 | 7 | 5:15 |
| მარსალა | 18 | 3 | 5 | 10 | 15:34 | 14 | 2 | 3 | 4 | 8:11 | 1 | 2 | 6 | 7:23 |
| ატლეტიკო | 18 | 1 | 8 | 9 | 10:23 | 11 | 1 | 4 | 4 | 5:10 | 0 | 4 | 5 | 5:13 |

### იტალია. სერია C1/a

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 18 | 11 | 4 | 3 | 25:13 | 37 | 7 | 0 | 2 | 14:6 | 4 | 4 | 1 | 11:7 |
| ჩიტადელა | 18 | 7 | 9 | 2 | 19:13 | 30 | 5 | 4 | 1 | 14:7 | 2 | 5 | 1 | 5:6 |
| ლუკეზე | 18 | 9 | 5 | 4 | 27:21 | 32 | 7 | 2 | 1 | 16:8 | 2 | 3 | 3 | 11:13 |
| სპალ | 18 | 8 | 5 | 5 | 20:15 | 29 | 4 | 3 | 1 | 8:3 | 4 | 2 | 4 | 12:12 |
| პიზა | 18 | 7 | 7 | 4 | 19:14 | 28 | 4 | 3 | 2 | 12:9 | 3 | 4 | 2 | 7:5 |
| ვარეზე | 18 | 6 | 9 | 3 | 22:16 | 27 | 3 | 4 | 2 | 10:8 | 3 | 5 | 1 | 12:8 |
| ალბინოლეფე | 18 | 6 | 7 | 5 | 19:17 | 25 | 4 | 3 | 2 | 11:7 | 2 | 4 | 3 | 8:10 |
| რეჯანა | 18 | 6 | 5 | 7 | 21:20 | 23 | 5 | 1 | 3 | 13:11 | 1 | 4 | 4 | 8:9 |
| ლივორნო | 18 | 5 | 8 | 5 | 20:20 | 23 | 3 | 3 | 3 | 12:11 | 2 | 5 | 2 | 8:9 |
| კარარეზე | 18 | 6 | 5 | 7 | 19:20 | 23 | 3 | 5 | 1 | 12:9 | 3 | 0 | 6 | 7:11 |
| კომო | 18 | 4 | 9 | 5 | 12:15 | 21 | 1 | 6 | 2 | 4:8 | 3 | 3 | 3 | 8:7 |
| მოდენა | 18 | 5 | 6 | 7 | 14:19 | 21 | 3 | 4 | 3 | 7:9 | 2 | 2 | 4 | 7:10 |
| ლუმეცანე | 18 | 4 | 8 | 6 | 15:17 | 20 | 2 | 4 | 3 | 8:8 | 2 | 4 | 3 | 7:9 |
| ლეკო | 18 | 3 | 9 | 6 | 12:19 | 18 | 1 | 5 | 3 | 3:6 | 2 | 4 | 3 | 9:13 |
| კრემონეზე | 18 | 2 | 11 | 5 | 17:21 | 17 | 1 | 7 | 1 | 11:11 | 1 | 4 | 4 | 6:10 |
| ბრეშელო | 18 | 4 | 6 | 8 | 16:23 | 18 | 2 | 4 | 3 | 8:10 | 2 | 2 | 5 | 8:13 |
| სანდონა | 18 | 2 | 10 | 6 | 13:19 | 16 | 2 | 3 | 3 | 7:8 | 0 | 7 | 3 | 6:11 |
| მონტევარკი | 18 | 2 | 7 | 9 | 13:21 | 13 | 1 | 4 | 3 | 7:10 | 1 | 3 | 6 | 6:11 |

### ესპანეთი. მეორე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 21 | 12 | 6 | 3 | 34:18 | 42 | 7 | 2 | 1 | 20:8 | 5 | 4 | 2 | 14:10 |
| ლევანტე | 21 | 10 | 7 | 4 | 36:28 | 37 | 8 | 3 | 0 | 23:7 | 2 | 4 | 4 | 13:21 |
| ლას პალმასი | 21 | 10 | 5 | 6 | 33:22 | 35 | 6 | 2 | 2 | 18:8 | 4 | 3 | 4 | 15:14 |
| ესტრემადურა | 21 | 10 | 5 | 6 | 22:19 | 35 | 8 | 3 | 0 | 17:4 | 2 | 2 | 6 | 5:15 |
| სპორტინგი | 21 | 10 | 3 | 8 | 30:23 | 33 | 6 | 1 | 4 | 18:11 | 4 | 2 | 4 | 12:12 |
| ბადახოსი | 21 | 7 | 12 | 2 | 22:16 | 33 | 4 | 6 | 1 | 14:10 | 3 | 6 | 1 | 8:6 |
| ტენერიფე | 21 | 9 | 5 | 7 | 32:24 | 32 | 6 | 4 | 1 | 19:9 | 3 | 1 | 6 | 13:15 |
| ვილიარეალი | 21 | 8 | 6 | 7 | 29:23 | 30 | 5 | 3 | 3 | 15:12 | 3 | 3 | 4 | 14:11 |
| ხეტაფე | 21 | 8 | 6 | 7 | 22:21 | 30 | 5 | 3 | 3 | 15:12 | 3 | 3 | 4 | 7:9 |
| ეიბარი | 21 | 7 | 8 | 6 | 32:31 | 29 | 5 | 4 | 2 | 18:13 | 2 | 4 | 4 | 14:18 |
| ოსასუნა | 21 | 9 | 2 | 10 | 20:21 | 29 | 6 | 1 | 3 | 13:6 | 3 | 1 | 7 | 7:15 |
| მერიდა | 21 | 7 | 7 | 7 | 22:21 | 28 | 4 | 4 | 2 | 13:7 | 3 | 3 | 5 | 9:14 |
| ლეიდა | 21 | 7 | 6 | 8 | 34:29 | 27 | 3 | 4 | 3 | 16:12 | 4 | 2 | 5 | 18:17 |
| კომპოსტელა | 21 | 6 | 8 | 7 | 29:30 | 26 | 4 | 3 | 3 | 15:11 | 2 | 5 | 4 | 14:19 |
| ლოგრონიესი | 21 | 6 | 7 | 8 | 32:31 | 25 | 5 | 4 | 1 | 21:13 | 1 | 3 | 7 | 11:18 |
| ალბასეტე | 21 | 6 | 7 | 8 | 21:29 | 25 | 2 | 5 | 3 | 10:12 | 4 | 2 | 5 | 11:17 |
| ატლეტიკო B | 21 | 7 | 3 | 11 | 24:31 | 24 | 3 | 1 | 6 | 14:17 | 4 | 2 | 5 | 10:14 |
| კორდობა | 21 | 5 | 8 | 8 | 22:27 | 23 | 4 | 1 | 5 | 13:15 | 1 | 7 | 3 | 9:12 |
| ელჩე | 21 | 5 | 8 | 8 | 23:31 | 23 | 3 | 5 | 3 | 13:16 | 2 | 3 | 5 | 10:15 |
| ლეგანესი | 21 | 5 | 7 | 9 | 19:35 | 22 | 4 | 3 | 3 | 10:10 | 1 | 4 | 6 | 9:25 |
| უელვა | 21 | 6 | 3 | 12 | 17:30 | 21 | 4 | 2 | 5 | 11:12 | 2 | 1 | 7 | 6:18 |
| ტოლედო | 21 | 4 | 5 | 12 | 16:31 | 17 | 3 | 3 | 5 | 9:11 | 1 | 2 | 7 | 7:20 |

### პორტუგალია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 16 | 11 | 4 | 1 | 35:8 | 37 | 7 | 1 | 0 | 21:3 | 4 | 3 | 1 | 14:5 |
| სპორტინგი | 16 | 10 | 4 | 2 | 26:14 | 34 | 7 | 1 | 0 | 16:5 | 3 | 3 | 2 | 10:9 |
| ბენფიკა | 16 | 9 | 4 | 3 | 23:12 | 31 | 6 | 2 | 0 | 14:4 | 3 | 2 | 3 | 9:8 |
| ბოავიშტა | 16 | 9 | 3 | 4 | 19:12 | 30 | 5 | 1 | 2 | 10:6 | 4 | 2 | 2 | 9:6 |
| მარიტიმუ | 16 | 8 | 4 | 4 | 22:14 | 28 | 4 | 3 | 0 | 10:2 | 4 | 1 | 4 | 12:12 |
| გიმარაეში | 16 | 8 | 4 | 4 | 25:18 | 28 | 6 | 1 | 1 | 15:7 | 2 | 3 | 3 | 10:11 |
| ბელენენსეში | 16 | 6 | 6 | 4 | 19:13 | 24 | 4 | 3 | 1 | 11:6 | 2 | 3 | 3 | 8:7 |
| ჟილ ვისენტე | 16 | 7 | 3 | 6 | 22:18 | 24 | 4 | 2 | 2 | 14:7 | 3 | 1 | 4 | 8:11 |
| ამადორა | 16 | 6 | 6 | 4 | 18:16 | 24 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 3 | 4 | 1 | 8:7 |
| ალვერკა | 16 | 6 | 2 | 8 | 17:22 | 20 | 5 | 1 | 2 | 13:8 | 1 | 1 | 6 | 4:14 |
| რიუ ავე | 16 | 4 | 5 | 7 | 18:25 | 17 | 3 | 3 | 3 | 12:14 | 1 | 2 | 4 | 6:11 |
| სალგეირუში | 16 | 5 | 2 | 9 | 13:21 | 17 | 2 | 2 | 4 | 4:9 | 3 | 0 | 5 | 9:12 |
| კამპომაიორ. | 16 | 4 | 4 | 8 | 14:23 | 16 | 3 | 2 | 3 | 8:9 | 1 | 2 | 5 | 6:14 |
| სანტა კლარა | 16 | 3 | 6 | 7 | 19:24 | 15 | 1 | 4 | 3 | 9:13 | 2 | 2 | 4 | 10:11 |
| ბრაგა | 16 | 4 | 3 | 9 | 18:23 | 15 | 2 | 1 | 5 | 8:9 | 2 | 2 | 4 | 10:14 |
| ფარენსე | 16 | 2 | 7 | 7 | 11:30 | 13 | 1 | 4 | 3 | 8:13 | 1 | 3 | 4 | 3:17 |
| ლეირია | 16 | 2 | 5 | 9 | 13:23 | 11 | 2 | 3 | 3 | 7:8 | 0 | 2 | 6 | 6:15 |
| სეტუბალი | 16 | 2 | 4 | 10 | 12:28 | 10 | 2 | 2 | 4 | 9:13 | 0 | 2 | 6 | 3:15 |

### შოტლანდია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 17 | 14 | 2 | 1 | 45:14 | 44 | 9 | 0 | 1 | 25:8 | 5 | 2 | 0 | 20:6 |
| სელტიკი | 18 | 13 | 1 | 4 | 53:16 | 40 | 6 | 1 | 1 | 28:4 | 7 | 0 | 3 | 25:12 |
| დანდი იუნ. | 19 | 9 | 3 | 7 | 25:29 | 30 | 6 | 1 | 2 | 12:8 | 3 | 2 | 5 | 13:21 |
| მოზერუელი | 17 | 7 | 6 | 4 | 28:30 | 27 | 3 | 2 | 3 | 16:20 | 4 | 4 | 1 | 12:10 |
| ჰიბერნიანი | 20 | 6 | 7 | 7 | 32:35 | 25 | 3 | 4 | 4 | 17:18 | 3 | 3 | 3 | 15:17 |
| ჰართსი | 18 | 5 | 5 | 8 | 26:28 | 20 | 3 | 3 | 3 | 15:13 | 2 | 2 | 5 | 11:15 |
| სტ. ჯონსტონი | 18 | 5 | 5 | 8 | 18:23 | 20 | 1 | 3 | 4 | 7:11 | 4 | 2 | 4 | 11:12 |
| დანდი | 17 | 6 | 1 | 10 | 21:28 | 19 | 1 | 1 | 6 | 9:15 | 5 | 0 | 4 | 12:13 |
| კილმარნოკი | 18 | 2 | 7 | 9 | 18:28 | 13 | 1 | 3 | 5 | 7:12 | 1 | 4 | 4 | 11:16 |
| აბერდინი | 18 | 3 | 3 | 12 | 20:55 | 12 | 2 | 2 | 6 | 12:29 | 1 | 1 | 6 | 8:26 |

### იტალია. სერია B

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 18 | 10 | 3 | 5 | 34:21 | 33 | 7 | 1 | 1 | 24:10 | 3 | 2 | 4 | 10:11 |
| ატალანტა | 18 | 10 | 3 | 5 | 26:16 | 33 | 8 | 0 | 1 | 18:6 | 2 | 3 | 4 | 8:10 |
| ბრეშა | 18 | 8 | 8 | 2 | 25:13 | 32 | 5 | 3 | 1 | 17:6 | 3 | 5 | 1 | 8:7 |
| ნაპოლი | 18 | 7 | 7 | 4 | 24:19 | 28 | 5 | 4 | 0 | 14:6 | 2 | 3 | 4 | 10:13 |
| რავენა | 18 | 6 | 8 | 4 | 20:17 | 26 | 5 | 3 | 1 | 11:4 | 1 | 5 | 3 | 9:13 |
| სამპდორია | 18 | 6 | 8 | 4 | 18:15 | 26 | 4 | 5 | 0 | 11:6 | 2 | 3 | 4 | 7:9 |
| ალძანო | 18 | 7 | 5 | 6 | 19:22 | 26 | 6 | 1 | 2 | 14:12 | 1 | 4 | 4 | 5:10 |
| ტრევიზო | 18 | 7 | 4 | 7 | 24:20 | 25 | 7 | 1 | 1 | 19:7 | 0 | 3 | 6 | 5:13 |
| კოზენცა | 18 | 5 | 9 | 4 | 16:14 | 24 | 5 | 3 | 2 | 10:5 | 0 | 6 | 2 | 6:9 |
| ტერნანა | 18 | 5 | 9 | 4 | 19:22 | 24 | 3 | 6 | 0 | 11:8 | 2 | 3 | 4 | 8:14 |
| სალერნიტანა | 18 | 5 | 8 | 5 | 25:25 | 23 | 4 | 4 | 0 | 15:7 | 1 | 4 | 5 | 10:18 |
| კიევო | 18 | 6 | 5 | 7 | 21:22 | 23 | 4 | 4 | 1 | 12:8 | 2 | 1 | 6 | 9:14 |
| ჩეზენა | 18 | 4 | 10 | 4 | 22:19 | 22 | 3 | 6 | 0 | 12:7 | 1 | 4 | 4 | 10:12 |
| ჯენოა | 18 | 6 | 4 | 8 | 19:18 | 22 | 5 | 3 | 1 | 15:6 | 1 | 1 | 7 | 4:12 |
| მონცა | 18 | 4 | 10 | 4 | 19:20 | 22 | 3 | 6 | 0 | 9:6 | 1 | 4 | 4 | 10:14 |
| ემპოლი | 18 | 5 | 5 | 8 | 12:23 | 20 | 5 | 3 | 1 | 9:6 | 0 | 2 | 7 | 3:17 |
| პესკარა | 18 | 3 | 10 | 5 | 22:24 | 19 | 2 | 4 | 3 | 13:13 | 1 | 6 | 2 | 9:11 |
| პისტოიეზე | 18 | 5 | 5 | 8 | 13:21 | 16 | 5 | 2 | 2 | 10:7 | 0 | 3 | 6 | 3:14 |
| სავოია | 18 | 3 | 6 | 9 | 14:27 | 15 | 3 | 4 | 2 | 8:7 | 0 | 2 | 7 | 6:20 |
| ფერმანა | 18 | 2 | 5 | 11 | 13:27 | 11 | 2 | 3 | 4 | 7:9 | 0 | 2 | 7 | 6:18 |

# ალტერნატივა მხოლოდ ესაა: სპორტის სიკვდილი ქვეყნის სიკვდილთან ერთად

**სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს 200 ქვეყნის 10300 სპორტსმენი. თამაშებს გააშუქებს 15 ათასამდე ჟურნალისტი. მას ტელეეკრანებზე თვალყურს მიადევნებს ხუთივე კონტინენტის 6 მილიარდამდე მაყურებელი. ეს თამაშები ჩვეულებისამებრ იქნება არა მარტო სპორტული, არამედ კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაც.**

**სასიდნეოდ როგორ ემზადებიან საქართველოს წარმომადგენლები, რა პრობლემები აწუხებთ მათ? ამ საკითხებზე გუშინწინ იმსჯელეს სეოკ-ის აღმასკომისა და პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ქვეკომიტეტის ერთობლივ სხდომაზე, სადაც მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი. ამ სხდომის თაობაზე გუშინდელ „სარბიელში“ გიამბეთ, დღეს კი გთავაზობთ ზენაიშვილის მოხსენების შემოკლებულ ვარიანტს.**

ატლანტაში ჩვენი 36 სპორტსმენის მიერ მოპოვებული 2 ბრინჯაო წარუმატებლად მივიჩნიეთ. მიზეზებს ღრმად არავინ ჩასძიებია. ბრალდებებს მთავრობის სხდომაზე ატლანტის შედეგების განხილვისას ქვეყნის პრეზიდენტმა სულ ხუთი სიტყვით ბოლო მოუღო:

„რა გავუკეთეთ სპორტსმენებს და რა მოვკითხოთ შედეგებზე?“.

ვშიშობ, ანალოგიური შეკითხვა შეიძლება დაისვას სიდნეის შემდეგაც.

ატლანტაში სუსტი გამოსვლა განპირობებული იყო ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით და აქედან გამომდინარე დიდი პრობლემებით. ამ მხრივ დღესაც თითქმის იგივე ვითარებაა. საქართველოში დღეს არ არის არც ერთი სპორტული დარბაზი ან ნაგებობა, რომელიც თუნდაც საშუალო დონეზე დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, მეტიც, გვიანი შემოდგომის, ზამთრის ან ადრეული გაზაფხულის პერიოდში — დაახლოებით 5-6 თვე — საქართველოში პროფესიული სპორტისთვის აუცილებელი ვარჯიშების შეკრებებისა და შეჯიბრებების ჩატარება შეუძლებელია. მეტიც — მისი ჩატარება დანაშაულია, რადგან საქმე ეხება სპორტსმენის, მწვრთნელის, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ჯანმრთელობას, მათ მომავალს.

აქ ლაპარაკი არაა ევროპის თითქმის ყველა ქვეყნისთვის დამახასიათებელ ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვილ დარბაზებზე, მათ კომპიუტერიზაციაზე, აღდგენით საშუალებებზე, სამეცნიერო-მეთოდურ ვიდეოთეკებსა და ვიდეოაპარატურით შეიარაღებაზე. საუბარია გაყინულ დარბაზებზე, სადაც ორპირი ქარი და ყინვაა, უკეთეს შემთხვევაში, 0-ის ფარგლებში; საუბარია უშუქობაზე, უწყლობაზე, უშხაპობაზე; საუბარია სპორტული ფორმის და ინვენტარის უქონლობაზე. ხშირად ნახავთ ევროპის პირველობაზეც კი, როგორ უცვლიან ჩვენი სპორტსმენები მაისურებს, ხელთათმანებს, კიმონოებს ერთმანეთს. ჰიგიენას რომ თავი დავანებოთ, წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილებას ტოვებს ასეთი სცენები მაყურებელზე, მსაჯზე, ან ოფიციალურ პირზე.

ეს პრობლემები, ცხადია, დაკავშირებულია ფინანსებთან, რომლის არქონაც უკანასკნელი თითქმის ათი წელი იყო და რჩება ქართული სპორტის ქრონიკულ ავადმყოფობად.

სპეციალისტთა გამოთვლით, დღეს ქართულ სპორტს ნორმალური არსებობისთვის ყოველწლიურად დაახლოებით 13-15 მილიონი ლარი ესაჭიროება. აქედან სპორტს ქაღალდზე გამოეყოფა 4-5-ჯერ ნაკლები, რეალურად კი ღებულობს მის 70-75%-ს.

დღეს საქართველოში სახელმწიფო უნდა იყოს სპორტის დაფინანსების ერთადერთი და უმთავრესი წყარო, რადგან ჩვენთან არაა სპორტის სპონსორობის ინსტიტუტი, არაა სპორტული ბიზნესი, არაა ე.წ. სპორტული ბაზარი.

წლეულს სასიდნეოდ ოლიმპიურ პროგრამას 2,5 მილიონი ლარი სჭირდება. ყოველ შემთხვევაში, 2 მილიონი მაინც. შესაბამისი დოკუმენტები საჭირო გათვლებით კარგა ხანია დევს ფინანსთა სამინისტროში. მასალები გაეგზავნა სახელმწიფო მინისტრს, პარლამენტის ხელმძღვანელებს, საქართველოს პრეზიდენტს. ყველა ჩვენ წერილზე ქვეყნის პირველი ხელმძღვანელების მიერ უკვე გაკეთებულია საჭირო რეზოლუციები.

მიგვაჩნია, რომ სახსრები მიზნობრივად პროგრამით „სიდნეი-2000“ უნდა გამოეყოს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, რადგან ასეთი პრაქტიკა მიღებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში — განვითარებულშიც და განვითარებადშიც — სადაც არის მიზნობრივი ბიუჯეტური უზრუნველყოფა.

რაც მთავარია, საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, ეს ნაბიჯი იმითაცაა გამართლებული, რომ სახსრები მოხმარდება მხოლოდ ოლიმპიურ პროგრამას.

გეხსომებათ — სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლების შარშანდელი აქციები — შიმშილობა და კიდევ მრავალი სხვა რამ. ოლიმპიურ კომიტეტში არც ერთი სპორტსმენი, მწვრთნელი თუ ფედერაციის პრეზიდენტი, ბუნებრივია, არ მოვა არაოლიმპიური სახეობის დასაფინანსებლად.

როცა უსახსრობაზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ სერიოზული პრობლემებია სპორტსმენთა და მწვრთნელთა ხელფასებისა და სტიპენდიების მხრივ. მწვრთნელები, სპორტის მუშაკები წლობით ვერ იღებენ კუთვნილ გასამრჯელოს. რის ვაივაგლახით, პირველ რიგში სოკ-ის დახმარებით, ნაწილობრივ მოგვარებულია სპორტსმენთა სტიპენდიების საკითხი. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც სჭირდება ათლეტს, რომელიც ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზებს.

ასეთ პირობებში ჩვენმა ათლეტებმა შარშან სპორტის 11 სახეობაში 19 ლიცენზია მოიპოვეს. აქედან 18 პერსონალურია. დამატებით ერთი ადგილი გვაქვს სროლაში.

შედარებისთვის მოგახსენებთ, რომ მოლდოვას დღეისთვის მოპოვებული აქვს 18 ლიცენზია, სომხეთს — 18, აზერბაიჯანს — 12, ლიტვას — 36, ლატვიას — 28, ესტონეთს — 23, ბელარუსიას — 123.

სამწუხაროდ, საქართველოს არც ერთი სპორტსმენი არ ჰყავს მძლეოსნობასა და ცურვაში, სადაც მედლების ყველაზე დიდი რაოდენობა — საერთო ჯამის 27 პროცენტი ნაწილდება და ეს მაშინ, როცა საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად მძლეოსანი აღიარეს და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველო სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლის გარეშე დარჩენილიყო.

ველოდით, რომ ლიცენზიების რაოდენობა მისი გათამაშების პირველ წელს, ე.ი. შარშან მიაღწევდა 24-26.

მაგრამ 2000 წლის პირველ ნახევარშიც გრძელდება სალიცენზიო ტურნირები. ნაკრები გუნდების ნორმალური მზადების პირობებში, ვფიქრობთ, რომ არის შესაძლებლობა დამატებით 8-12 სპორტსმენმა იასპარეზოს სიდნეიში. ძიუდოისტებს აქვთ პოტენციური შესაძლებლობა, რომ ავსტრალიაში სრული გუნდით გაემგზავრონ — ეს კი არის დამატებით 5 ლიცენზიანტი სპორტსმენი. ჭიდაობაში სავარაუდოა კიდევ 3-4 ლიცენზიის მოპოვება.

კვლავინდებურად ველოდებით 1 ლიცენზიას კრივში, თუ რა თქმა უნდა, საქართველო არ დატოვეს გვასალიამ და ადამაშვილმა. თანამედროვე ხუთჭიდში შანსი აქვს ჭულუხაძეს.

გამოკვეთილია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის დეპარტამენტის, ფედერაციების ხელმძღვანელობის პოზიცია — სპორტსმენი, რომელიც უშუალოდ თვითონ მოიპოვებს საგზურს, სიდნეიში იასპარეზებს.

ვერ ეტყვი უარს სპორტსმენს, რომელმაც მსოფლიოს პირველობაზე 8 საუკეთესოში მოიპოვა ადგილი. აბა, როგორ უნდა უთხრა უარი სპორტსმენს, რომელმაც უწყლო ქვეყანაში დაიმსახურა საგზური წყლის სახეობაში.

ჩვენ დაინტერესებულები უნდა ვიყოთ, რაც შეიძლება მეტმა სპორტსმენმა მოიპოვონ ლიცენზია. ოლიმპიური თამაშები და დიდი სპორტი სიდნეიში როდი მთავრდება.

ამ ოლიმპიურ ციკლში (1996-2000 წწ.) ფაქტობრივად წამყვან სპორტსმენთა მიგრაცია არ ყოფილა. სამწუხაროდ, ჩვენმა სამმა წამყვანმა მოკრივემ, ვისაც ოლიმპიური მედლის მოპოვების შანსი ჰქონდა (კანდელაკი, გოგოლაძე, გაზაშვილი), სამოყვარულო სპორტი დატოვა. გვაქვს ინფორმაცია, რომ ორი მოკრივე კვლავ აპირებს სხვა ქვეყნის პასპორტით გააგრძელოს სპორტული კარიერა.

ახლა პროგნოზებზე.

ჩვენი აზრით, საქართველოს 10-12 სპორტსმენს აქვს შესაძლებლობა ოლიმპიური მედლისთვის იბრძოლოს, მათ შორის ოქროსთვის. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სიდნეიში მედლების ცვენა იქნება. ეს გამორიცხულია ნორმალური მზადების, მაქსიმალური ხელშეწყობის, საშეჯიბრო კონკრეტული სიტუაციის და ვითარების გათვალისწინებით. სპორტული იღბალის თანხლების პირობებში, ვფიქრობ, ოპტიმალურად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ქართველი სპორტსმენები მოიპოვებენ ყველა სინჯის თითო მედალს მაინც.



ემზარ ზენაიშვილი

ოლიმპიური მედალი ძალზე ბევრი სიამოვნებაა — მას სჭირდება ნიჭიერებით და შრომისმოყვარეობით გამორჩეული, გამოცდილი, რკინის ნერვების მქონე სპორტსმენი. მას სჭირდება მაღალკვალიფიციური მწვრთნელი, ექიმი, მასაჟისტი, კარგი ფსიქოლოგიური ფონი, იღბლიანი სატურნირო კენჭისყრა, ობიექტური მსაჯობა და კიდევ მრავალი რამ.

ჩვენნაირ ე.წ. „უპატრონო“ გუნდს ოლიმპიური მედლების მოპოვების გარკვეული შანსი ეძლევა სპორტის ისეთ სახეობაში, როცა შედეგი დამოკიდებული არ არის მსაჯებზე, ე.ი. როცა გამოირიცხება სუბიექტური მომენტი, ანუ როცა სპორტსმენის ბედი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. ასეთ სახეობებს წარმოადგენენ: მძლეოსნობა, ცურვა. ჩვენ აქ მონაწილენი არ გვყავს. ამდენად, ჩვენს დიდ იმედად რჩება ნინო სალუქვაძე, თავისი მაღალი პროფესიონალიზმით, უზარმაზარი გამოცდილებით (სიდნეი მისთვის მე-4 თამაშებია) და შარშან ნაჩვენები ბრწყინვალე შედეგებით.

მედლების ნაკლები შანსი გვაქვს მშვილდოსნობაში.

ჩვენს მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ჯერჯერობით არ გვყავს არც ერთი მსაჯი, რომელიც იმუშავებს სიდნეიში (შანსი მხოლოდ ერთს აქვს). საქართველოს არც ერთი წარმომადგენელი არაა არც ერთი საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობაში, ან მის რომელიმე სტრუქტურაში.

ერთი სიტყვით, საპარლამენტო ტერმინოლოგიას თუ ვიხმართ, სიდნეიში საქართველოს არ ეყოლება ოლიმპიური სამედლო ლობი.

ოლიმპიურ მედალს, სამწუხაროდ, მარტო სპორტსმენი არ მოიპოვებს. მედალს სხვა მრავალი კომპონენტთა ერთობლიობა განაპირობებს.

რაც შეეხება დელეგაციის რაოდენობას, უნდა დავაზუსტოთ — ოფიციალური ოლიმპიური დელეგაციის შემადგენლობა და რაოდენობა განისაზღვრება მხოლოდ თამაშების საორგანიზაციო კომიტეტისა და ოლიმპიური ქარტიის წესების შესაბამისად. რაოდენობის განსაზღვრის ერთადერთი კრიტერიუმი ლიცენზირებულ სპორტსმენთა რაოდენობაა.

ვფიქრობთ, რომ ოლიმპიურ სოფელში იცხოვრებს 55-60 კაცი.

ვვარაუდობთ, რომ დელეგაციაში სულ 75-80 კაცი იქნება.

ჩვენი ოლიმპიელების სპორტულ-სავარჯიშო და საშეჯიბრო ეკიპირების თაობაზე ვმუშაობთ ორ ცნობილ ფირმასთან — იაპონურ „მიზუნოსთან“ და ამერიკული „რიბოკთან“. ვფიქრობ, აქ პრობლემები არ გვექნება. თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალზე საალუმო ფორმის ვარიანტზე ვმუშაობთ ქუთაისის ქართულ-გერმანულ ფირმასთან.

რაც შეეხება სიდნეიში მგზავრობას, ეს საკითხი მოგვარებული არ არის. მარშრუტი რთულია. მარტო ფრენის ხანგრძლივობა 23-25 საათია. ჩვენი ამოცანაა ნაკლები ღამისთევითა და დაჯდომა-აფრენით გადავიყვანოთ სპორტსმენები.

გამგზავრებამდე ერთი წლით და უფრო ადრეც მივმართეთ საქართველოში მოქმედ ყველა ავიაკომპანიას — ბრიტანულს, თურქულს, შვეიცარულს, ავსტრიულს, აეროფლოტს, ბუნებრივია, ეროვნულ ავიაკომპანიასაც. ვმუშაობთ უზბეკეთის ავიაგადამყვანებთან.

სპორტული და პროფესიონალური თვალსაზრისით მიზანშეწონილია დელეგაციის ორ ნაწილად გამგზავრება. მაგალითად, პირველი ჯგუფი უნდა ჩავიდეს 9-10 სექტემბერს (აკლიმატიზაციის ფაქტორის გათვალისწინებით). მაგრამ თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს, მაგალითად, შეჯიბრება ეწყებათ ოცი დღის შემდეგ. სპეციალისტებმა, ფედერაციის ხელმძღვანელებმა, მწვრთნელებმა, მეცნიერებმა უნდა გვითხრან, ღირს კი სპორტსმენები ოცი დღე ელოდონ სტარტებს სიდნეიში თუ უფრო გვიან შემოუერთდნენ დელეგაციას ოლიმპიურ სოფელში. ანალოგიურ მდგომარეობაშია სპორტის კიდევ რამდენიმე სახეობა.

ცხადია, სიდნეიში უნდა იყვნენ ქართველი ჟურნალისტები და იქნებიან კიდეც — 8 კაცი, მაგრამ მათი მივლინება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საქართველოში დიდი შესაძლებლობები არ გააჩნიათ. ქვეყნის ინტერესებში კი უნდა იყოს და არის კიდეც, რომ სიდნეი ყველა ასპექტში კარგად გაშუქდეს. არ გამოვრიცხავთ, რომ რაღაც ეტაპზე და რაღაც ფორმით შეიძლება საჭირო იყოს სახელმწიფოს დახმარებაც — ნაწილობრივად მაინც.

ვსარგებლობ შემთხვევით და ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ჭეშმარიტებას, რომ ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობი ფაქტორი, მძლავრი სტიმული იყო, არის და იქნება ქართული სპორტული ჟურნალისტიკა. დღეს ბევრი იწერება სპორტის თემატიკაზე ობიექტური, მდგომარეობის გამოსწორების სურვილით. მინდა კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ყველა თაობის ჟურნალისტებს ქართული სპორტის მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. აქვე იმედს გამოვთქვამ, რომ ისინი განგაშს ატეხენ დღევანდელ პრობლემებზეც.

ამბობენ, სპორტი ქვეყნის სავიზიტო ბარათიაო. ამიტომაც მზადდება ინგლისურ ენაზე საქართველოს ოლიმპიური გუნდის საპრეზენტაციო ბუკლეტი — წიგნი სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის. ფაქტობრივად მისი შინაარსი ისეა აგებული, რომ წიგნი იქცევა უცხოელებისათვის საქართველოს სავიზიტო ბარათად.

ახლა კი გადაუდებელ პირველი რიგის ამოცანებზე მოგახსენებთ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების საკითხი ფართო ასპექტში განიხილონ მთავრობის ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით მომზადდეს და გამოვიდეს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება.

ხელშეწყობისა და დახმარების თაობაზე მომზადდეს და ეთხოვოს სახელმწიფო მინისტრს ხელი მოაწეროს წერილს იმ რეგიონთა ხელმძღვანელების სახელზე, რომელთა წარმომადგენლებმა მოიპოვეს უფლება იასპარეზონ სიდნეიში.

რაც შეიძლება უახლოეს ხანში გაცხადდეს საზოგადოებისთვის, პირველ რიგში მომპოვებელთათვის და მათი მწვრთნელებისათვის განკუთვნილი საპრიზო ფონდის რაოდენობა, რაც ატლანტაში სპორტსმენთათვის იყო 50, 30, 20 ათასი ამერიკული დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში შესაბამისად ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მოპოვებისთვის, პლუს მწვრთნელთა წახალისება. იქნებ რაღაც ფორმით წავახალისოთ ის სპორტსმენები, რომლებიც ადგილს დაიკავებენ პირველ ექვსეულში.

რაც მთავარია, მწვანე შუქი უნდა ავუნთოთ ოლიმპიური პროგრამის „სიდნეი-2000“-ის შეუფერხებელ დაფინანსებას! სხვა შემთხვევაში, რაც სამი წელი ვიჯახირეთ, რაც უკვე დავხარჯეთ, ყველაფერი წყალში გადაიყრება.

მხოლოდ იანვარ-თებერვალში დაახლოებით 300 ათასამდე ლარია საჭირო. ათ დღეში იწყება სალიცენზიო ტურნირები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და ძიუდოში, 20 დღეში — თავისუფალ ჭიდაობაში. უსახსრობის გამო არ ვიცით რა ვუყოთ იანვარში და თებერვალში დაგეგმილ ვარჯიშებსა და შეჯიბრებებს.

რუსუდან ხოფერია სამი თვეა ბატუტზე არ ასულა, არადა მას გერმანიაში უფასოდ ეპატიჟებიან სავარაჯიშოდ, მაგრამ გამგზავრებაც პრობლემაა. და ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მგონი მართლაც ყველაფერი წყალში გვეყრება, ამიტომ პირდაპირ უნდა გვითხრან— ჩვენი იმედი არ გქონდეთ, როგორც გინდათ ისე მოემზადეთ და წადით სიდნეიშიო. ხალხმა, სპორტის მოყვარულებმა, საზოგადოებამ უნდა იცოდეს სახელმწიფოს დამოკიდებულება ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობა-არმონაწილეობაზე და მის სავარაუდო შედეგზე.

დაბოლოს, იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ ორი მილიონი ლარის თუნდაც დაუყოვნებლივ გამოყოფა ქართულ სპორტში არსებულ პრობლემებს მოხსნის, რომ ჩვენი გუნდი სიდნეიდან მედლებით დახუნძლული დაბრუნდება.

ჯერ ერთი, ოლიმპიური მედალი 9 თვეში არ იბადება. მისი საინკუბაციო პერიოდი მინიმუმ ოთხი წელი მაინცაა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენი უკვე სათანადო კონდიციამდეა მომზადებული, მეორეც, ჩვენს სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში ახლა მარტო დაფინანსების პრობლემა როდი დგას. ჩვენ ვკარგავთ ქართული სპორტის წარსულ დიდებას. ამიტომ დღის წესრიგში დგას ქართული სპორტული სივრცის ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობის ახალი, თანამედროვე მოდელის შემუშავების საკითხის ამოქმედების პრობლემა. სერიოზულადაა მისახედი სპორტული კადრების, მომზადების პრობლემა და მრავალი სხვა.

მაგრამ ეს საკითხები ცალკე სერიოზული მსჯელობის საგანია.

დღეს მთავარი საზრუნავი სიდნეისთვის მზადებაა. მის შედეგებზე ბევრადაა დამოკიდებული ქართული სპორტის პერსპექტივა და საერთოდ ჩვენი ქვეყნის იმიჯი.

მე დავამთავრებ ციტატით ბატონ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლიდან სეოკის საიუბილეო სესიაზე 1999 წლის 19 ოქტომბერს: „მინდა დავპირდე საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, დავპირდე საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ ნაკრებს, რომ სახელმწიფო თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმს გააკეთებს იმისთვის, რათა ჩვენი ოლიმპიელები ღირსეულად წარდგნენ სიდნეიში. სახელმწიფო კიდევ სხვა ღონისძიებებსაც მიიღებს იმათი წარმატების ღირსეული დაფასებისათვის, ვინც ოლიმპიურ ოქროს, ვერცხლსა და ბრინჯაოს მოუპოვებს თავის სამშობლოს. დიახ, არა მარტო თავის თავს, არამედ თავის სამშობლოს, თავის ქვეყანას“.

* * *

*ამ გამოსვლის შემდეგ, სხდომის მერე, ემზარ ზენაიშვილს დიდ თავყრილობაზე თავისი შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ. მან კითხვაზე კითხვითვე მოგვიგო, აბა, რა გითხრათო, მერე კი დასძინა, უცნობის ცნობილი სიმღერის პერიფრაზი რომ ვიხმაროთ, სპორტშია ფერები მუქიო და განაგრძო: „სხდომამ მის მონაწილეებს ოპტიმიზმის საფუძველი არ დაუტოვა, მაგრამ სიდნეისკენ მიმავალ გვირაბში შუქი უთუოდ გამოჩნდება, რადგან სხვა ალტერნატივა არ არსებობს. სხვა, ერთადერთი ალტერნატივა მხოლოდ ესაა — ოლიმპიზმისა და საერთოდ სპორტის სიკვდილი, ქვეყნის სიკვდილთან ერთად.“*

# ამერიკა დაზარალდა


მონიკა სელეში

**მომავალ** ორშაბათს სეზონის პირველი დიდი სლემის ტურნირი, ავსტრალიის ღია პირველობა დიდი დანაკარგებით დაიწყება: ტრავმების გამო მასში ჩემპიონობის პრეტენდენტი ორი მანდილოსანი, მონიკა სელეში და ვინუს უილიამსი ვერ ითამაშებს.

პირველი უსიამოვნო ცნობა მელბურნში სელეშისგან მივიდა. მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ფეხის ტრავმა გასული შემოდგომიდან აწუხებდა და ოქტომბრის შემდეგ არსად ეთამაშა. ჭყვიტინა ექსიუგოსლაველს წესით ერთი კვირის წინ ჰოპმანის თასზეც უნდა ესპარეზა, მაგრამ იქ ჩასვლა იუარა და ორშაბათს, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მეხუთედ, ავსტრალიის ღია პირველობასაც უგანა.

„ყოველთვის იმედგამაცრუებელია, როდესაც მაყურებელთა ისეთ სენტიმენტალურ ფავორიტს კარგავ, როგორც მონიკაა. ჩვენ მას მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ და ვიმედოვნებთ, რომ გაისად მაინც ვიხილავთ“ — განაცხადა „მეიჯორის“ ორგანიზატორმა პოლ მაკნამიმ.

26 წლის სელეში 90-იანებში ავსტრალიის ღია პირველობის ყველაზე წარმატებული და ტიტულიანი ჩოგბურთელი გახლდათ. მან სულ ხუთჯერ მოახერხა მელბურნში ასპარეზობა და ამათგან ოთხჯერ, 1991-93-სა და 1996-ში ჩემპიონიც გახდა. ყველაზე ნაკლებად პრესტიჟულ დიდი სლემის ტურნირზე, კარიერაში პირველი მარცხი მონიკამ ზედიზედ 33 მოგების შემდეგ მხოლოდ შარშან იწვნია, ნახევარფინალში, მარტინა ჰინგისთან.

თუ სელეშის უარი ასე თუ ისე მოსალოდნელი მაინც იყო, ვინუს უილიამსის განცხადება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა.

„მარცხენა ხელის მაჯა ისე მაწუხებს, რომ მელბურნში ასპარეზობას აზრი არა აქვს. ძალიან დამწუხრებული ვარ, რომ საუკუნის პირველ დიდი სლემის ტურნირზე ვერ ვითამაშებ, მოუთმენლად ველოდი და ვემზადებოდი მისთვის, ახლა მძიმე შრომა წყალში გადამეყარა“ — შეატყობინა ორგანიზატორებს ვინუსმა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ მყესი დაუზიანებია.

ეს იმას ნიშნავს, რომ ისეც თავისი უმცროსი დაიკოს ჩრდილში მოქცეულ შავ ვენერას კიდევ უფრო დიდი იმედგაცრუება ელის. შარშან სერენა უილიამსმა მას პირველი დიდი სლემის ტურნირის მოგება დაასწრო და პრეზიდენტ კლინტონთან სტუმრობის პატივიც დაიმსახურა, ახლა კი, სავსებით შესაძლებელია, კლასიფიკაციაშიც გადაასწროს.

დღეისთვის ვინუსი მსოფლიოს მესამე ჩოგანია, სერენა — მეოთხე, მაგრამ მელბურნული ტურნირის შემდეგ ისინი, ალბათ, ადგილებს გაცვლიან.

არადა, ყველაფერი პირიქით უნდა მომხდარიყო: ავსტრალიელები ვინუსის არა, მაგრამ სერენას ჩაუსვლელობისთვის კი ემზადებოდნენ. 18 წლის უმცროსმა უილიამსმა ნოემბერში განაცხადა, ახალი სეზონის დასაწყისში დიზაინის სკოლაში უნდა ვიარო, ბევრი სამეცადინო მაქვს და ჩოგბურთისთვის სულაც არ მცხელაო.

მელბურნში აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი მესამედ, მარტინა ჰინგისისა და ლინდსი დევენპორტის შემდეგ იქნება განთესილი.

# მე გადავდგები

**ბორის ბეკერს** ბევრ ლაპარაკს ყოველთვის საქმის კეთება ერჩია, ამიტომ, როდესაც გერმანული ჩოგბურთის ინტერესებმა მოითხოვა, დაუფიქრებლად გადადგა საჭირო ნაბიჯი: დევისის თასის ეროვნული გუნდის მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა.

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს აგერ უკვე რამდენიმე თვეა, ძალიან გაუფუჭდა ურთიერთობა ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელ ნიკოლას კიფერთან. ერთურთის დადანაშაულებისა და პრესაში ატეხილი სკანდალის შემდეგ კი კიფერმა გუნდში ასპარეზობაც იუარა. ახალგაზრდა გერმანელს ფედერაციისთვის ულტიმატუმები არ წაუყენებია, მაგრამ დავას ისევ თავად ბორისმა მოუღო ბოლო.

„ყველაფერი იმის შემდეგ, რაც ბოლო ხანებში დატრიალდა, ეს სწორი გადაწყვეტილებაა. ჩემს გარშემო ბევრი უსიამოვნო რამ მოხდა, ჩემს სახელს ხან პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ, ხანაც — ალიბად. ახლა ყველას, მოთამაშეებსაც და ჩინოვნიკებსაც, დევისის თასის და გერმანული ჩოგბურთის მხარდაჭერის შანსი მიეცემათ“ — განაცხადა უიმბლდონის სამგზის ჩემპიონმა.

თუმცა ბეკერი გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციასთან კავშირის გაწყვეტას არ აპირებს. იგი მაშინვე დაინიშნა მრჩევლად საერთაშორისო საკითხებში. დევისის თასის გუნდის მწვრთნელის თანამდებობას კი ამიერიდან კაპიტანი კარლ-უვე შტეები შეითავსებს.

საინტერესოა ისიც, რომ ბორისის გადადგომის შემდეგ მასთან უთანხმოების არსებობა თავად კიფერმა იუარა, ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს, პრობლემა სულ სხვა რამეშია და ამას პრესასთან კი არა, თანაგუნდელებთან უნდა გარჩევაო.

ისე, პრობლემას იქნებ თავად კიფერიც წარმოადგენდეს: მარტო გასულ სეზონში მან პატრიკ რაფტერის, გრეგ რუზეცკისა და ევგენი კაფელნიკოვის გადამტერება მოახერხა და არც თანამემამულე ტომი ჰაასთან აქვს ტკბილი ურთიერთობა.

# ანა რაკეტას მოახტა

**ყველას** კარგად მოეხსენება, რომ ანა კურნიკოვას უყვარს ჰოკეი და ჰოკეისტები, ამათგან განსაკუთრებით თანამემამულეები, კონკრეტულად კი „დეტროიტ რედ უინგსის“ თავდამსხმელი სერგეი ფიოდოროვი. მაგრამ, თუ რუსულ პრესას ვენდობით, ეს რამდენიმე კვირაა, ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა ჰოკეი, ჰოკეისტები და თანამემამულეები ძველებურად „ძალაში რჩება“, ეგაა სერგეი ფიოდოროვის ადგილი არანაკლებ ცნობილმა პაველ ბურემ დაიკავა.

რუსული სპორტული გაზეთები ახალი წლის წინ 18 წლის ჩოგბურთის სუპერვარსკვლავისა და „რაკეტად“ წოდებული „ფლორიდა პანტერსის“ სნაიპერის რომანის შესახებ ალაპარაკდნენ.

ჯერ ეს ამბავი ყოველდღიურმა „სოვეტსკი სპორტმა“ აუწყა მკითხველებს, მერე კი პოპულარულმა „სპორტ ექსპრესმა“ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მთელი გვერდი მიუძღვნა ფოტოთი, რომელზეც ბურე კურნიკოვას ვარჯიშს ადევნებს თვალყურს.

როგორც ამბობენ, 28 წლის ჰოკეისტმა მაიამის პრესტიჟულ გარეუბანში სწორედ იმ სახლში იყიდა დიდი ბინა, სადაც კურნიკოვა კარგა ხანია ცხოვრობს და წყვილს მას შემდეგ ძალიან ხშირად ხედავენ ერთად.

თუმცა კურნიკოვას მოსკოველი აგენტი ალექსეი სელივანენკო პრესას ნაადრევი დასკვნების გამოტანას არ ურჩევს.

„ეს სულაც არ ნიშნავს აუცილებლად იმას, რომ მათ რომანი აქვთ. ანა ძალიან მეგობრული პიროვნებაა და სხვა სპორტსმენებს შორის ბევრი მეგობარიც ჰყავს. თუ ორი თანამემამულე უცხო ქვეყანაში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობს, ცხადია, უფრო ხშირადაც ხვდებიან ერთმანეთს. ანას ძალიან უყვარს ჰოკეი და თუ დრო საშუალებას აძლევს, „პანტერსის“ საშინაო მატჩებსაც რეგულარულად ესწრება“.

არადა, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ იგივე რუსულმა პრესამ კურნიკოვა ლამის სერგეი ფიოდოროვის მეუღლედ გამოაცხადა. „რედ უინგზის“ ჰოკეისტი ბოლო წლებში არაერთხელ ადევნებდა თვალყურს დიდი სლემის ტურნირებს კურნიკოვას პირად სტუმართა ლოჟიდან და საზოგადოებაში მასთან ერთადაც ხშირად ჩნდებოდა.

ჩოგბურთელი თავისი პირადი ცხოვრების შესახებ საუბარს თავს არიდებს, მაგრამ როდესაც უიმბლდონზე თითზე მსხვილი ბრილიანტის ბეჭდით გამოცხადდა, ეს მაშინვე ფიოდოროვის საჩუქრად და წყვილის დანიშვნის ნიშნად მიიჩნიეს. როგორც ბოლოდროინდელი ამბები მოწმობს, სულ ტყუილად.


ანა კურნიკოვაზე თვალი პაველ ბურესაც უჭირავს

ავთანდილ სვანიძე




კოლომიე — პონტიპრიდი. მამლების ყოფილი მწვრთნელის ჟან-კლოდ სკრელას ვაჟი დავიდი ამ მატჩის შემდეგ საფრანგეთის ნაკრებში მიიწვიეს

# ლამანშს გაღმა და გამოღმა

**მორაგბეთა** ევროპის თასის გათამაშების ბოლოსწინა ტური გასულ უქმეებზე გაიმართა. მეოთხედფინალში თამაშის უფლება უკვე დაიბევა ოთხმა გუნდმა. ესენი არიან „ტულუზი“, „უოსპსი“, „მანსტერი“ და „ნორტჰემპტონი“. შემდეგ ეტაპზე გამსვლელი დანარჩენი ოთხი გუნდის ვინაობაც ბოლო ტურში გაირკვევა, რომელიც 14, 15 და 16 იანვარს გაიმართება. ამის მერე კლუბები სამი თვით შეისვენებენ, რათა ეროვნულმა ნაკრებებმა ექვსი ერის პირველობების მატჩები ჩაატარონ სხვადასხვა ჯგუფებში და ევროპის თასისთვის ბრძოლა 15 აპრილსღა განახლდება. ნახევარფინალები 6 მაისსაა დანიშნული, ფინალი კი — 27-ში.

ტურნირის დაწყების წინ სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ შეჯიბრი ინგლისური და ფრანგული კლუბების აშკარა უპირატესობით წარიმართებოდა. თუმცა ასე არ მოხდა და ინგლისურ-ფრანგულ დავაში სხვა ბრიტანელებიც აქტიურად ჩაებნენ, რომ არაფერი ვთქვათ იტალიურ „ტრევიზოზე“, რომელსაც ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების შანსი კიდევ აქვს. ერთი სიტყვით, ევროპის მოწინავე ქვეყნების საკლუბო რაგბი საკმაოდ თანაბარი ძალისა გახდა და იმედია, ახლა წინაც წავა, რათა სამხრეთელ ბობოლებს დაეწიოს...

## ევროპის თასი

### V ტური

#### I ჯგუფი

ლენსტერი (ირლანდია) — გლაზგო (შოტლანდია) 44:17; სტად ფრანსე (საფრანგეთი) — ლესტერი (ინგლისი) 38:16

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტად ფრანსე | 5 | 3 | 0 | 2 | 162:94 | 6 |
| ლენსტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 118:128 | 6 |
| ლესტერი | 5 | 2 | 0 | 3 | 117:141 | 4 |
| გლაზგო | 5 | 2 | 0 | 3 | 115:149 | 4 |

#### II ჯგუფი

სუონსი (უელსი) — ტულუზი (საფრანგეთი) 9:18; ბათი (ინგლისი) — პადოვა (იტალია) 41:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 5 | 5 | 0 | 0 | 186:54 | 10 |
| ბათი | 4 | 2 | 0 | 2 | 131:57 | 4 |
| სუონსი | 4 | 2 | 0 | 2 | 88:92 | 4 |
| პადოვა | 5 | 0 | 0 | 5 | 51:253 | 0 |

#### III ჯგუფი

ბურგუენი (საფრანგეთი) — ლიანელი (უელსი) 30:36; უოსპსი (ინგლისი) — ოლსტერი (ირლანდია) 49:17

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოსპსი | 5 | 5 | 0 | 0 | 148:74 | 10 |
| ლიანელი | 5 | 4 | 0 | 1 | 127:71 | 8 |
| ბურგუენი | 5 | 1 | 0 | 4 | 104:135 | 2 |
| ოლსტერი | 5 | 0 | 0 | 5 | 44:143 | 0 |

#### IV ჯგუფი

კოლომიე (საფრანგეთი) — პონტიპრიდი (უელსი) 38:21; მანსტერი (ირლანდია) — სარასენსი (ინგლისი) 31:30

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანსტერი | 5 | 5 | 0 | 0 | 152:94 | 10 |
| სარასენსი | 5 | 2 | 0 | 3 | 154:138 | 4 |
| კოლომიე | 5 | 2 | 0 | 3 | 91:113 | 4 |
| პონტიპრიდი | 5 | 1 | 0 | 4 | 106:158 | 2 |

#### V ჯგუფი

კარდიფი (უელსი) — მონფერანი (საფრანგეთი) 30:5; ტრევიზო (იტალია) — ჰარლიქვინზი (ინგლისი) 24:23

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარდიფი | 5 | 3 | 1 | 1 | 138:115 | 7 |
| მონფერანი | 5 | 3 | 0 | 2 | 113:78 | 6 |
| ტრევიზო | 5 | 2 | 0 | 3 | 93:126 | 4 |
| ჰარლიქვინზი | 5 | 1 | 1 | 3 | 94:119 | 3 |

#### VI ჯგუფი

ნორტჰემპტონი (ინგლისი) — გრენობლი (საფრანგეთი) 27:16; ედინბურგი (შოტლანდია) — ნითი (უელსი) 23:20

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორტჰემპტონი | 5 | 4 | 0 | 1 | 145:64 | 8 |
| ედინბურგი | 5 | 3 | 0 | 2 | 93:137 | 6 |
| გრენობლი | 5 | 2 | 0 | 3 | 89:121 | 4 |
| ნითი | 5 | 1 | 0 | 4 | 105:110 | 2 |

ვყიდი
„ფიშერის“ უხმარ თხილამურებს
და „იუვექსის“ სათვალეს
☎ 69 19 39

# ბიძინა გეგიძე: საქართველოში ყველაზე დეფიციტური პროფესიონალიზმია

# კლოდ სორელი: რატომ ვერ უნდა მოვუგოთ რუმინეთს?!

**საქართველოს რაგბის კავშირის გუშინწინდელ ყრილობაზე შეპირებულ გუშინდელ პრესკონფერენციაზე მისულებს რაგბის კავშირის კვლავარჩეულ პრეზიდენტ ბიძინა გეგიძის გარდა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელიც დაგვხვდა.**

**პრესკონფერენცია, ყრილობის მსგავსად, საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, თუმცა ამაზე არავის დაუჩივლია, რადგან პირველი პირისგან ინფორმაციის მიღება გველირსა, თან ისიც გვხიბლავდა, რომ ამ შეხვედრას საქართველოს ნაკრების ფრანგი მწვრთნელიც ესწრებოდა და, აბა, მასთან საუბარზე რომელი ჭკუათმყოფელი ჟურნალისტი იტყოდა უარს**

პრესკონფერენცია პრეზიდენტმა გახსნა. მან ჯერ შობა-ახალი წელი მოგვილოცა და მერე ბოდიში მოგვიხადა იმის გამო, რომ ყრილობისას ჟურნალისტები დერეფანში დაგვტოვეს. ბიძინა გეგიძემ სიტყვა ყრილობის მიმდინარეობის შესახებ მოკლე ინფორმაციის გასაკეთებლად კავშირის პრესმდივანს გია კუბლაშვილს დაუთმო.

— ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ ყრილობაზე დასწრება სრული ყოფილიყო. სამწუხაროდ, ზესტაფონელმა და რუსთაველმა დელეგატებმა ვერ შეძლეს ჩამოსვლა, თუმცა ამას ყრილობის მსვლელობაზე და კვორუმზე გავლენა არ მოუხდენია. დანარჩენი რეგიონები სრულად იყვნენ წარმოდგენილნი. თავიდან მოვისმინეთ პრეზიდენტის საანგარიშო მოხსენება, შემდეგ იყო შეკითხვები და გამოსვლები. მთავარი ოპონენტი გახლდათ „ლოკომოტივის" მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილი, რომელიც თვლიდა, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში მიღწეული წარმატებები არ იყო საკმარისი და უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა. ძნელია, ამაში არ დაეთანხმო ბატონ თემურს, რადგან ყოველთვის შეიძლება უკეთ გაისარჯო, მაგრამ პრეზიდენტმა და პრეზიდიუმმა ჩათვალა, რომ იმ პირობებში, რომელშიც გვიხდება მუშაობა, მეტის მიღწევა თითქმის შეუძლებელი იყო. ყრილობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი გახლდათ საპრეზიდენტო არჩევნები. აქ დადგა პრეზიდენტობის კანდიდატების საკითხი. კავშირის ნამდვილმა წევრებმა ორი კანდიდატურა წამოაყენეს. ბიძინა გეგიძე „უნივერსიტეტმა" წარადგინა, თამაზ ანდღულაძე „ლოკომოტივმა". მაგრამ ვინაიდან ბატონი ანდღულაძე უცხოეთში მიემგზავრება სამუშაოდ, ყრილობამდე წერილობით განაცხადა თავისი კანდიდატურის მოხსნის შესახებ. თემურ ბენდიაშვილმა დააყენა მეორე კანდიდატურა — ზურაბ ჩაჩანიძე, რომელიც ყრილობამ კენჭისყრით არ მიიღო. დარჩა ერთი კაცი, ბიძინა გეგიძე. აქვე დიდი კამათი გაჩაღდა იმის შესახებ, თუ ვის უნდა მიეღო კენჭისყრაში მონაწილეობა და როგორი უნდა ყოფილიყო ხმათა განაწილების სისტემა. ჩვენი აზრით, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ნებისმიერ გუნდს ჰქონდა ამის თანაბარი უფლება, ბატონი თემური კი თვლიდა, რომ უმაღლესი ლიგის გუნდებს მეტი ხმის უფლება უნდა მინიჭებოდათ. საბოლოოდ, რაკი ყრილობამ მისი მოსაზრება არ გაიზიარა, თემურ ბენდიაშვილი გაგვინაწყენდა და საერთოდ დატოვა დარბაზი. მისი წასვლა გულდასაწყვეტი იყო, მაგრამ რას იზამ, მან ასე ჩათვალა საჭიროდ. ამას კვორუმზე გავლენა არ მოუხდენია და ყრილობამ მუშაობა გააგრძელა. მერე ბატონმა ბიძინამ დელეგატებს თავისი სამომავლო პროგრამა გააცნო, რა თქმა უნდა, იყო შეკითხვები, რის შემდეგაც ღია კენჭისყრით ავირჩიეთ პრეზიდენტი.

*ალექსანდრე ქურდობაძე, რაგბის კავშირის საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე* — ყრილობაზე სულ 30 დელეგატი იყო მოწვეული. მხოლოდ ზესტაფონისა და რუსთავის წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ. უშუალოდ პრეზიდენტის არჩევისას დარბაზში არ იმყოფებოდნენ „ლოკომოტივის" (2 ხმა), „აიას" წარმომადგენლები, აგრეთვე „ზორდას" მწვრთნელი რევაზ ჯაფარაშვილი, მაგრამ ესწრებოდა ამ კლუბის პრეზიდენტი. ყრილობის დატოვებამდე ქუთაისელებმა თავიანთი ხმები ბიძინა გეგიძეს „დაუტოვეს", მაგრამ ეს არ მიიღეს. ასე რომ, არჩევნებში მონაწილეობდა 24 კაცი. პრეზიდენტი ერთხმად აირჩიეს.

ამის შემდეგ ახლადარჩეულ პრეზიდენტს მოვუსმინეთ.

*ბიძინა გეგიძე* — ნებისმიერ პროგრამაში, ჩემი აზრით, პრიორიტეტული მიმართულებანი უნდა არსებობდეს. სწორედ ამაზე ვისაუბროთ. მათ შორის პირველია სარაგბო მოედნების მშენებლობა თბილისში და რეგიონებში, სადაც გაცილებით იოლია ამის გაკეთება. ეს პროცესი უკვე დაიწყო. ჩოხატაურში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. სენაკში მოიძებნა ადგილი ტეხურის პირას და დაიწყო მშენებლობა. ფოთში რაგბის კავშირის ჩარევის გარეშე შეძლეს სარაგბო მოედნის მოწყობა. დარჩა ერთი თბილისი. ჩვენთან „მზიურში" და დიდ დიღომში დაიწყება მოედნების მშენებლობა.

მეორე პრიორიტეტული მიმართულება იქნება ბავშვთა და მოზარდთა კომიტეტის პროექტების მხარდაჭერა. ამ კომიტეტმა გასულ პერიოდში ჩინებულად იმუშავა. შეიქმნა ჭაბუკთა სამი ლიგა, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მომავალი თაობების აღზრდაში და ნაკრებსაც დიდად წაადგება.

მესამე პრიორიტეტული მიმართულება არის ახალი წერტილების გაჩენა საქართველოს სარაგბო რუკაზე. ეს ძირითადად რეგიონებს ეხება, თუმც თბილისშიც უამრავი ბავშვი მოდის. ჩვენმა ბოლოდროინდელმა წარმატებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა რაგბის პოპულარობა საქართველოში. ამას გარდა ლეგიონერების საზღვარგარეთ თამაშიც დიდი სტიმულია ბავშვებისთვის. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს და ამას რაგბის კავშირი ყოველნაირად ხელს შეუწყობს. რა თქმა უნდა, მასმედიაც დიდად დაგვეხმარება.

რაც შეეხება სხვა საკითხებს. კლუბებს უამრავი პრობლემები აქვთ. საქართველოში სულ სამი გუნდია ნორმალური სტრუქტურით ჩამოყალიბებული. „დათვები", „ყოჩები" და ასკ. მარტო კლუბის ბიუჯეტზე არ ვლაპარაკობ. სადაც არის მენეჯერი, მწვრთნელი, მათი დამხმარეები და ყველაფერი ის, რასაც გუნდის სტრუქტურა ითვალისწინებს, იქ არის წარმატებაც. მაგალითისთვის ისევ „დათვებს" მოვიყვან.

მწვრთნელებზეც ვთქვათ. პროფესიონალიზმის უზარმაზარი დეფიციტია და ამის აღმოფხვრის საკითხიც დგას ჩემს პროგრამაში. პირველ რიგში ეს მიიღწევა სტაჟირებით, ამას ერიდებიან ჩვენი მწვრთნელები და ძირითადი მიზეზი ენის უცოდინრობაა. მსაჯებშიც იგივე პრობლემაა. საჭიროა მათი რაოდენობრივად და ხარისხობრივად ზრდა. სემინარებსაც ვატარებთ, მაგრამ მხოლოდ თბილისში. ამასაც აუცილებლად მივხედავთ, თუმც ძირითადი სიძნელე მაინც კლუბების მომზადებაშია. ყოველდღიური საზრუნავით გაბეზრებული გუნდები წაგების შემთხვევაში მთელ ბოღმას მსაჯებზე ანთხევენ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რაგბის მიმართ დაინტერესების ფონი შექმნილია და ამას გამოყენება სჭირდება.

**— იყო თუ არა ყრილობაზე ნაკრების ხელმძღვანელობაზე საუბარი?**

— არა, არ ყოფილა. ნაკრების მწვრთნელია კლოდ სორელი, რომელიც ესწრებოდა კიდეც ყრილობას. არავითარი პრეტენზია არ გამოთქმულა მის მიმართ. მხოლოდ დაუსვეს კითხვა, აიყვანს თუ არა ქართველ თანაშემწეს. ბატონმა კლოდმა უპასუხა, რომ აუცილებლად აიყვანს და რაც მეტი ეყოლება, მით უკეთესი. ნაკრების მომზადებას რაც შეეხება, მისი შემადგენლობის 90 პროცენტი საზღვარგარეთ თამაშობს და იქ ემზადება. ძირითადად შეკრებები საფრანგეთის ქალაქ გრან დე მოტის სპორტულ კომპლექსში ეწყობა, რომელთანაც 1994 წლიდან ვთანამშრომლობთ და რომელსაც ხუმრობით საქართველოს ნაკრების საწვრთნელი ბაზა დავარქვით. გარდა ამისა, მომზადებაში შედის ტესტ-მატჩები, რომელთაგან პირველი უახლოეს მომავალში იტალიის ნაკრებთან გაიმართება.

**— გურამ მოდებაძე საერთოდ ჩამოშორდა ნაკრებს?**

— როგორც მწვრთნელი, ჩამოშორდა. თუმცა იგი ცნობილია, როგორც ბრწყინვალე სელექციონერი და ამ მხრივ გააგრძელებს ნაკრებში მუშაობას.

**— თუ შეიძლება, გაგვაცანით მომავალი ჩემპიონატის ფორმულა.**

— მგონი, იგივე პრინციპით გავაგრძელებთ მუშაობას, საბოლოო ვარიანტი წესდების შესწორების შემდეგ ჩამოყალიბდება. კლუბებს შევთავაზებთ რამდენიმე ვარიანტს და ყველა წინადადებას გავითვალისწინებთ.

*ჩვენ, რა თქმა უნდა, ვისარგებლეთ ნაკრების მწვრთნელის, კლოდ სორელის იქ ყოფნით და რამდენიმე კითხვით მასაც მივმართეთ.*

**— დღეს თქვენ ავარჯიშეთ ეროვნული ნაკრების კანდიდატები, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატში თამაშობენ, როგორია მათი მომზადების დონე იტალიასთან გასამართი მატჩის წინ?**

— უნდა გითხრათ, რომ ბევრმა იმედი გამიცრუა. მორაგბეები მოიკოჭლებენ ფიზიკურად, ძალიან მცირე ნაწილმა შეძლო დამაკმაყოფილებელი შედეგის ჩვენება. ეს ბუნებრივიცაა, საქართველოში ხომ არ არსებობს ნორმალური სავარჯიშო მოედანი. ამიტომ ნაკრებს ძირითადად საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერებით დავაკომპლექტებთ. საქართველოში მობურთალთაგან მხოლოდ ათ მორაგბეს შევარჩევ, ეს რიცხვი შეიძლება გაიზარდოს და ან იქნებ შემცირდეს კიდეც.

**— საქართველოს ნაკრებს ძლიერი შერკინება ჰყავს, მაგრამ რუსეთთან და ტონგასთან გამართულ მატჩებში ნათლად ჩანდა, რომ ბურთის ხელით გათამაშება მორაგბეებს უჭირთ. რა კეთდება ამის გამოსასწორებლად?**

— გეთანხმებით, მაგრამ აქვე გეტყვით, რომ საკმაოდ ბევრი ვიმუშავეთ ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. ძალიან შეგვიწყო ხელი საშვიდკაცო ტურნირებმა, სადაც მორაგბეს საშუალება ეძლევა, სრულად გამოავლინოს თავისი ოსტატობა. შვიდკაცა რაგბიში აქცენტი ძირითადად ხელით თამაშზე კეთდება, ჩვენი მიღწეული შედეგი კი ცხადყოფს, რომ ქართველ მორაგბეებს ძალუძთ, კომბინაციები ხელით გაითამაშონ.

**— როგორ შეაფასებდით საქართველოს ნაკრების დონეს სხვა ქვეყნების ნაკრებებთან შედარებით?**

— ევროპელი ბობოლების შემდეგ ჩვენზე წინ ესპანეთი და რუმინეთია. ეს იმიტომ, რომ ორივე გუნდმა მსოფლიოს თასზე იასპარეზა. მათთან რაგბი სწრაფად ვითარდება, საქართველოში კი ელემენტალური პირობებიც არ არის გუნდის მოსამზადებლად. პორტუგალიაც დიდ პროგრესს განიცდის, რუმინეთი და ესპანეთის ნაკრებები რეგულარულად მონაწილეობენ კონფედერაციის თასზე, საქართველოში ჩამოსვლა კი არავის სურს, ეს ყოველთვის პრობლემა იქნება, სანამ ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისს არ დაძლევს.

**— მსოფლიოს თასზე რა სიახლეები შენიშნეთ?**

— შევამჩნიე, რომ გუნდები დიდ ყურადღებას უთმობენ დაცვას, ამას ჩვენს ნაკრებშიც დავნერგავ. გარდა ამისა, არის ცვლილებები თამაშის წესებშიც. ოფიციალურ მატჩებში იქნება გაძევება ათი წუთით. მოთამაშე, რომელიც რამდენჯერმე აღმოჩნდება თამაშგარე მდგომარეობაში, ათწუთიანი გაძევებით დაისჯება. ასევე დატოვებს მინდორს მორაგბე, რომელიც განზრახ იუხეშებს. შერკინებიდან ბურთის გამოტანა უნდა მოხდეს სწრაფად. გუნდი, რომლის გამოც შერკინება ჩაიშლება, დაჯარიმდება და ბურთი მეტოქეს გადაეცემა.

**— არცთუ შორეულ წარსულში ქართველები რუმინეთთან და ჰოლანდიასთან დამარცხდნენ, ამჯერად შეძლებენ „ბორჯღალოსნები" რევანშის აღებას?**

— ვფიქრობ, რომ მათი დამარცხება საქართველოს ნაკრებს შეუძლია. რუმინეთს ახალზელანდიელი მწვრთნელი ჰყავს, მაგრამ ხომ ნახეთ, მსოფლიოს თასზე ფრანგმა სძლია ზელანდიელს, ეს მე სტიმულს მმატებს. რატომ ვერ შევძლებ რუმინელების თავკაცის დამარცხებას?

**— როგორ მოემზადება ნაკრები საერთაშორისო მატჩებისთვის? ოფიციალური შეხვედრების გარდა გაქვთ თუ არა შესაძლებლობა, რომელიმე ქვეყნის გუნდს ამხანაგურად გაეჯიბროთ?**

— თქვენ იცით, რომ იტალიასთან ამხანაგური შეხვედრის მერე გვიწევს თამაში მაროკოს ნაკრებთან, რომელიც უკონკურსოდ მონაწილეობს ექვსი ერის B ჯგუფში. გარდა ამისა, მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვა ქვეყნების რაგბის კავშირებთან, რათა ოფიციალურ მატჩებს შორის გამოვნახოთ დრო და ამხანაგურად გავეჯიბროთ ერთმანეთს. რაც შეეხება ნაკრების კანდიდატების მომზადებას, ზემოთ გითხარით, რომ ეროვნული გუნდის ძირითადი ბირთვის წევრები საფრანგეთის კლუბებში გამოდიან, იქ კი იდეალური პირობებია შექმნილი მორაგბის მოსამზადებლად, როგორც ფიზიკურად, ასევე ტაქტიკურად. აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას შვიდკაცას ტურნირში, რომელიც ჰონკონგში ჩატარდება. თუ იქნება მოწვევა სხვა ტურნირებიდან, ჩვენ სათამაშოდ მზად ვართ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არა ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი საქართველოში, შესაძლებელი იქნებოდა უცხოური გუნდების ჩამოყვანა. მათთან პაექრობა კი ძალიან წაადგებოდა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

**— ჩვენ ვნახეთ თქვენი რეაქცია, როდესაც ქართველებმა თბილისში რუსეთის ძლიერ გუნდს სძლიეს, ასევე ვიხილეთ თქვენი გამომეტყველება, როდესაც „ბორჯღალოსნები" ტონგასთან დამარცხდნენ. რას ნიშნავს თქვენთვის საქართველოს ეროვნული ნაკრები?**

— მწვრთნელი ვარ და აქედან გამომდინარე საქართველოს ნაკრების მიმართ ჩემი დამოკიდებულება პროფესიულია. რაც შეეხება ურთიერთობას მორაგბეებთან, ჩათვალეთ, რომ ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. საფრანგეთში ერთად დავდივართ მატჩების საყურებლად, რაც მთავარია, მე მათ მუდმივად ვადევნებ თვალყურს და მათი ავ-კარგი კარგად ვიცი.

ზაზა ბენიძე
ბაჩო სვანიძე
გაიოზ თალაქვაძე



ბიძინა გეგიძე



კლოდ სორელი

ბაჩო კორინთელის ფოტოები

# ოლე და ალიონა: სწრაფად დარბიან, ზუსტად ისვრიან


ოლე ბიორნდალენი

ამ დღეებში გერმანიამ ბიატლონისტთა და ორჭიდელთა მსოფლიოს თასის გათამაშების ეტაპებს უმასპინძლა. ობერხოფში ბიატლონისტმა ქალებმა და კაცებმა მოიყარეს თავი და ერთმანეთს რამდენიმე დისციპლინაში გაეჯიბრნენ.

კაცებმა ჯერ 10-კილომეტრიან სპრინტში, მერე კი 12,5 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში სცადეს ძალა. ორჯერვე ნორვეგიელმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა იმარჯვა. მსოფლიოს თასის ლიდერმა გერმანელმა სვენ ფიშერმა წარუმატებლად იასპარეზა, სპრინტში მხოლოდ მეთხუთმეტე იყო, გამოდევნებით რბოლაში კი მეთერთმეტე ადგილს დასჯერდა, მაგრამ საერთო ჩათვლაში 170 ქულით კვლავ იგი პირველობს, ოღონდ ეგაა, ახლა ბიორნდალენს ოთხი ქულითღა უსწრებს.

ბიატლონისტი ქალები კი 10 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მსოფლიოს თასის დაუფლების ყველაზე კარგი შანსი შვედ მაგდალენა ფორსბერგსა და უკრაინელ ალიონა ზუბრილოვას აქვთ. სწორედ ისინი ლიდერობდნენ საერთო ჩათვლაში და ობერხოფშიც ტოლი არაფერში დაუდეს ერთმანეთს. უფრო სწრაფი და ზუსტი უკრაინელი აღმოჩნდა და ზუბრილოვამ მეტოქე მხოლოდ მეორე ადგილს დააჯერა. ალიონამ საერთო ჩათვლაში 204 ქულა დააგროვა და ფორსბერგს ექვსი ქულით ჩამორჩება.

4X7,5 კმ. ესტაფეტაში ქალებში რუსთა ოთხეულმა იმარჯვა, კაცებში კი — ნორვეგიელებმა.

ახლა ორჭიდელებზეც ვთქვათ, რომლებიც გერმანულ შონახში ასპარეზობდნენ. პირველობისთვის ბრძოლა ისევ ნორვეგიელ ბიარნე ვიკსა და ფინელ სამპა ლაუინენს შორის გაჩაღდა. ოლიმპიური ჩემპიონების პაექრობა, ამჯერად მსოფლიოს თასის შარშანდელი ტრიუმფატორის ვიკის გამარჯვებით დასრულდა.

**ბიატლონი**

**საერთო ჩათვლა**

კაცები
1 სვენ ფიშერი (გერმანია) — 170 ქულა
2 ოლე ბიორნდალენი (ნორვეგია) — 166
3 ფრენკ ლუკი (გერმანია) — 154

ქალები
1 მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) — 210 ქულა
2 ალიონა ზუბრილოვა (უკრაინა) — 204
3 უშლი დიზლი (გერმანია) — 167

**4X7,5 კმ ესტაფეტა**

**საერთო ჩათვლა**

ქალები
1 რუსეთი — 84 ქულა
2 გერმანია — 72
3 უკრაინა — 68

კაცები
1 ნორვეგია — 86 ქულა
2 გერმანია — 74
3 რუსეთი — 69

**ორჭიდი**

(15 კმ + ტრამპლინიდან ხტომა)

**საერთო ჩათვლა**

1 სამპა ლაიუნენი (ფინეთი) — 920 ქულა
2 ბიარნე ვიკი (ნორვეგია) — 875
3 რადისლავ რიგლი (ჩეხეთი) — 547


ალიონა ზუბრილოვა



# კარიდან კარშიც რომ გასულიყო...

11 იანვარი

**ბოსტონი — ტორონტო 2:3**

0:2 1:0 1:1

0:1 კოროლიოვი 11'17 (9); 0:2 სუნდინი 13'00 (19); 1:2 ჰაინცი 23'04 (7); 2:2 კარტერი 40'25 (18); 2:3 კოროლიოვი 48'31 (10)

**კაროლინა — ფილადელფია 3:4**

0:1 2:1 1:2

0:1 ზელეპუკინი 1'09 (5); 1:1 ჟელინა 22'08 (5); 1:2 ლეკლერი 22'54 (24); 2:2 კოვალენკო 25'55 (9); 3:2 რობერტსი 47'17 (9); 3:3 ბრინდამორი 50'18 (5); 3:4 განი 58'41 (8)

**მონრეალი — დეტროიტი 3:0**

0:0 2:0 1:0

1:0 ჟოლტოკი 28'01 (13); 2:0 ბრიუნე 39'53 (5); 3:0 ზუბრუსი 52'31 (9)

**ტამპა — ნიუჯერსი 5:6**

3:2 0:2 2:2

0:1 გომესი 3'51 (12); 1:1 პეტროვიცკი 11'13 (5); 2:1 გარდინერი 11'34 (2); 2:2 ლემიე 15'32 (16); 3:2 სილინჯერი 18'55 (12); 3:3 ელიაში 35'11 (14); 3:4 ბომბარდირი 35'36 (3); 3:5 ჰოლიკი 48'56 (13); 4:5 ურინერი 49'27 (5); 5:5 მარა 51'34 (3); 5:6 ბრილინი 52'13 (6)

**კოლორადო — ნეშვილი 4:2**

1:0 1:1 2:1

1:0 დინგმანი 6'22 (7); 1:1 რობიტაილი 35'15 (8); 2:1 ოზოლინში 37'42 (11); 2:2 ჩელბერგი 45'25 (12); 3:2 რეიდი 46'14 (4); 4:2 ფორსბერგი 56'45 (6)

**ედმონტონი — დალასი 2:3**

2:1 0:1 0:1

1:0 ჯ. სმიტი 12'53 (2); 2:0 მორო 14'15 (8); 2:1 გეივი 17'42 (1); 2:2 მიულერი 29'27 (3); 2:3 მოდანო 58'37 (16)

**ლოს ანჯელესი — ოტავა 3:4**

2:2 0:2 1:0

0:1 ჟიუნო 10'38 (6); 0:2 ჟიუნო 13'29 (7); 1:2 ბილსმა 15'36 (2); 2:2 რობიტაილი 18'51 (17); 2:3 მაკიჩერნი 20'48 (17); 2:4 ალფრედსონი 23'26 (13); 3:4 ნორსტრიომი 47'19 (1)

**სან ხოსე — სენტ ლუისი 2:5**

1:2 0:3 1:0

1:0 მატო 0'08 (5); 1:1 იეიკი 1'23 (4); 1:2 იანგი 4'38 (13); 1:3 პრონგერი 20'18 (7); 1:4 კონროი 23'35 (7); 1:5 ჰანდზუსი 32'43 (12); 2:5 კოროლიუკი 53'12 (12)


ორი ერთზე — ლოსანჯელესელებმა ზიგმუნდ პალფმა და რობ ბლეიკმა ოტაველი მაგნუს არვედსონი მოიხელთეს

„რაღა მეთქმის, პეტერი უდიდესი მოთამაშეა, ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო. თუ კოლორადოს დამარცხება გინდა, ფორსბერგი უნდა შეაჩერო“ — ნეშვილის ფორვარდმა პატრიკ ჩელბერგმა სრულიად სამართლიანად თქვა ეს სიტყვები. „ეველანშის“ გამოჯანმრთელებული ვარსკვლავი მართლაც საუცხოო ფორმაშია და ეს თანამემამულის გუნდთან შეხვედრაში კიდევ ერთხელ დაამტკიცა. ჯერ იყო და მისი სამი ზუსტი პასი პარტნიორებმა გამოიყენეს, მერე კი შვედმა თავად დასვა საბოლოო წერტილი. თუმცა ფორსბერგის თანაკლუბელი პატრიკ რუა ოდნავ ზუსტი რომ ყოფილიყო, ეგებ მატჩის გმირად სწორედ იგი მოეხსენიებინათ — მეკარემ ნეშვილის ცარიელ კარში დარტყმული შაიბა ძელს მილიმეტრებში ააცილა.

ისე, უნდა ითქვას, რომ დეკემბერში ყინულზე დაბრუნებული ფორსბერგი მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა, მაგრამ კოლორადოს თავკაცმა ბობ ჰარტლიმ ნაცად ხერხს მიმართა — პეტერი და მასსავით ახლახან გამოჯანმრთელებული ჯო საკიკი ერთ სამეულში გააერთიანა.

ცენტრფორვადებიც ჩინებულად ათამაშდნენ: ფორსბერგმა ბოლო 9 შეხვედრაში 17 (4+13) ქულა დააგროვა, საკიკმაც იღბლიანად ჩაატარა თავისი შვიდივე მატჩი (1 გოლი და 12 პასი).

დალასი ამ სეზონში პირველად აღზევდა დივიზიონის სათავეში. თუმცა ჩემპიონს არც ერთი წლევანდელი მატჩი ოპტიმალური შემადგენლობით არ ჩაუტარებია. გამონაკლისი არც ედმონტონთან შეხვედრა იყო — სამ დაშავებულ ჰოკეისტს, მათ შორის ჯო ნუინდაიკს, „მენავთობეებთან“ პაექრობამდე ჯემი ლანგენბრუნერიც დაემატა. დალასელებს უხერხულ მეტოქესთან ბრძოლა ტრადიციულად გაუჭირდათ. მოდანომ გადამწყვეტი გოლი ბოლოსწინა წუთზეღა გაიტანა, ხოლო მანამდე მეკარე ედ ბელფორმა ზედიზედ სამჯერ იხსნა კარი.

კვლავ შეუჩერებელნი არიან ფილადელფია და ნიუ ჯერსი. ატლანტის დივიზიონის გრანდებმა მორიგი მატჩები, მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგეს. „მფრინავთა“ რიცხვმრავლობის ბრიგადებმა, რომლებიც ლიგაში საუკეთესონი არიან (27,2 პროცენტი), კვლავ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი კლასი. მათ მესამე პერიოდში ორივე ცდა გამოიყენეს, ხოლო გადამწყვეტი გოლი რიცხვმრავლობაში თამაშს უკვე შეჩვეულმა, ახალბედა სიმონ განმა გაიტანა. რაც შეეხება ნიუ ჯერსის, მისი წაუგებელი სერია 9 მატჩამდე გაგრძელდა. „ეშმაკებმა“ სერგეი ბრილინის წყალობით იმარჯვეს. მას საგოლე პასი რენდი მაკეიმ მიაწოდა, ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე შედეგიანმა პოლიციელმა, რომლისთვისაც ეს მატჩი ნჰლ-ში მე-600 იყო.

ყველაზე დიდი სენსაცია სამშაბათს მონრეალმა მოახდინა. ძირითადი შემადგენლობის ხუთი ჰოკეისტის გარეშე მოთამაშე კანადელებმა დეტროიტს უგოლოდ დაატოვებინეს ყინული, რაც „წითელფრთიანებს“ 11 აპრილის შემდეგ არ დამართვიათ. თუმცა თავიდან მასპინძლებმა მძიმე წუთები გადაიტანეს — სერგეი ჟოლტოკი უხეშობის გამო ოთხი წუთით გააძევეს. ქების ღირსია მონრეალის მეკარე ჟოზე თეოდორი, რომელმაც თავის გუნდს არაფერი გაუჭირვა და სტუმართა ათივე (!) დარტყმა მოიგერია, დასჯილმა ლატვიელმაც სულ მალე გამოისყიდა დანაშაული.

თუმცა მონრეალი, ალბათ, მაინც პლეი ოფს მიღმა დარჩება. აი, ბოსტონს კი, რომელიც ფინალში გასასვლელად კვლავ იბრძვის, ყოველი ქულის დაკარგვა შეიძლება ძვირად დაუჯდეს. ამ ტურში „დათვებს“ შავი დღე დაადგათ. ისინი უკვე მატჩის დაწყებამდე გატყდნენ, როცა შეიტყვეს, რომ გუნდის წამყვანი გამთამაშებელი ჯეისონ ელისონი ისევ დაშავდა — მარჯვენა მაჯის ტრავმას თითის მოტეხვაც დაემატა და ახლა ჰოკეისტს ორი ოპერაცია ელის. ყურაბჩამოყრილმა ბოსტონელებმა ტორონტოსთან ვერაფერი გააწყვეს, მით უმეტეს, რომ მედგრად ებრძოდათ იგორ კოროლიოვისა და მათი ყოფილი თანაგუნდელის, დმიტრი ხრისტიჩის დუეტი. „დათვებმა“ ზედიზედ მესამედ წააგეს.

გუშინწინ არც კალიფორნიულ გუნდებს დაჰყრიათ ხეირი. სანხოსელმა სტეფან მატომ მე-8 წამზე შაიბა კი გაიტანა (სეზონის რეკორდი), მაგრამ მასპინძლები მაინც დიდი ანგარიშით დამარცხდნენ, თანაც, მათ მეხუთე გოლი საკუთარ კარში შეაგდეს. ეს ასე მოხდა: სენტლუისელებმა წესი დაარღვიეს და რადგან შაიბა „ზვიგენებს“ ჰქონდათ, მსაჯმა თამაში არ შეაჩერა. მასპინძელთა მეკარე ევგენი ნაბოკოვი სათადარიგოთა სკამისკენ გაეშურა, რათა ყინულზე კიდევ ერთი სანხოსელი გასულიყო, ამასობაში კი ზემოხსენებულმა მატომ სრულიად შემთხვევით საკუთარი კარი დალაშქრა.

**სამველ ლარიბიანი**

## ის, რაც უნდა კალეს

ვაშინგტონელ მცველ კალე იუჰანსონს მისივე რეკორდის გაუმჯობესების საშუალება მიეცა. დედაქალაქელთა წამყვანმა მოთამაშემ, რომელსაც ვაშინგტონის რიგებში მცველთა შორის ყველაზე მეტი მატჩი ჩაუტარებია, გუნდთან კონტრაქტი 2003 წლამდე გააგრძელა. იგი ამ ხნის მანძილზე 6,3 მილიონ დოლარს მიიღებს. „კალესთან შეთანხმება ჩვენი დაცვის საიმედოობისა და სტაბილურობის ერთ-ერთი წინაპირობაა“ — განაცხადა ვაშინგტონის გენერალურმა მენეჯერმა ჯორჯ მაკფიმ. იუჰანსონი მართლაც ძვირფასი შენაძენია. გარდა იმისა, რომ პირად მოვალეობას ჩინებულად ასრულებს, იგი თავდასხმასაც ეხმარება. მარჯვე მცველი 98 გოლითა და 310 პასით კლუბის ისტორიაში მეორეა, ხოლო ლიდერისგან, ამჟამად ნიუ ჯერსიში მოთამაშე სკოტ სტივენსისგან სულ 21 ქულა აშორებს.

საქართველოს ჩემპიონატი

# 12 ტური

*პირველ წრეში „ვითასთან" ცხრა ქულით (84:93) დამარცხების შემდეგ სდასუ-მ მეორე წრეში საქართველოს შვიდგზის ჩემპიონებს თორმეტი ქულის სხვაობით (91:79) მოუგო და სრულფასოვანი რევანშის აღება შეძლო.*

*სტუდენტების შემადგენლობაში საუკეთესო იყო გუნდის ლიდერი და კაპიტანი ირაკლი ხოშტარია. ირაკლიმ მოედანზე გასაქანი არ მისცა ასევე უკანახაზელსა და „ვითას" კაპიტანს მამუკა ტურაშვილს. დაცვაში კარგ თამაშთან ერთად სდასუ-ს ლიდერი შეტევაშიც შესანიშნავი იყო, მან თავის გუნდს 35 ქულა შეჰმატა.*

## საუკეთესო მოთამაშე

### ირაკლი ხოშტარია

### -სდასუ-



**— ირაკლი, თქვენი თამაშით კმაყოფილი დარჩით?**

— ცუდად არ მითამაშია, მაგრამ მეტის გაკეთებაც შემეძლო.

**— როდესაც სპორტსმენმა იცის, რომ თავის შესაძლებლობებს სრულად ვერ ავლენს, მიზეზიც გაცნობიერებული ექნება. ახალშექმნილმა ოჯახმა ან პირველ წრეში, „ვითასთან" მიღებულმა ფეხის ტრავმამ შეგიშალათ ხელი?**

— პირველ წრეში ოჯახური პირობების გამო რამდენიმე თვე სრული დატვირთვით ვარჯიში მართლაც ვერ მოვახერხე. ფეხის ტრავმა აღარ მაწუხებს. ნორმალურად ვვარჯიშობ, მაგრამ დანაკარგის უცბად ანაზღაურება არ ხერხდება, გარკვეული დროა საჭირო.

**— „ვითასთან" შეხვედრამ დაადასტურა, რომ სდასუ-ს პირველი წრის დამთავრების შემდეგ დრო უქმად არ დაუკარგავს...**

— სდასუ-ს მიზანი ოთხეულში მოხვედრაა და ჩემპიონთან შეხვედრას, რომელსაც ერთი ქულით ჩამოვრჩებოდით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მიჭირს რომელიმე თანაგუნდელის გამოყოფა. ყველამ კარგად ითამაშა და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ.

**— თუ გავიხსენებთ „ვითას" მიერ „მაკაბისთან" და „გორთან" წაგებულ შეხვედრებს და ამავე დროს პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ გუნდებთან დიდებულად ჩატარებულ მატჩებს, გამოდის, მიმდინარე გათამაშებაში ჩემპიონი არასტაბილურად თამაშობს. თქვენი აზრით, „ვითამ" კიდევ ერთხელ ვერ შეაფასა მეტოქე თუ...**

— დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ, მგონი, „ვითა" ამჯერად უვარჯიშებელია და ამიტომაც ვერ ითამაშა ჩემპიონისათვის დამახასიათებელი ჩვეული შემართებით.

**— ვითელი ირაკლი ბაქრაძე „ბასკოში" რომ არ გადასულიყო და მას დავალებოდა თქვენი მეურვეობა, სდასუ-სა და ხოშტარიას კარგი თამაში სათუო ხომ არ გახდებოდა?**

— ბაქრაძე ქართველ კალათბურთელთა შორის საუკეთესოა დაცვაში. ჯერჯერობით ისიც შორსაა ჩვეული სათამაშო ფორმისაგან. თუ „ვითას" ბაქრაძე ვერ დაეხმარა, ჩვენ გიგი ნაცვლიშვილი მოვისაკლისეთ. ამიტომ შემადგენლობის მხრივ ორივე გუნდი თანაბარ სიტუაციაში ვიმყოფებოდით.

**— პლეი ოფის დროს ეროვნული ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი ხშირად დახმარებია თავისი ძმის — გიგის გუნდს. წლეულსაც ხომ არ არის ეს მოსალოდნელი?**

— სამწუხაროდ, ვატოც კარგა ხანია, ფეხს მკურნალობს და არ ვიცი, ექნება თუ არა იგი სეზონის ბოლოსათვის ფორმაში.

**— ადვილი წარმოსადგენია, რამდენად გახარებულები იქნებიან „ვითასთან" გამარჯვების შემდეგ სდასუ-ს პრეზიდენტი თემურ ქორიძე და მთავარი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი. კალათბურთელებს ამის გამო განსაკუთრებული პრემიები ხომ არ მიგიღიათ?**

— ყოველი მოგებული მატჩის შემდეგ სდასუ-ს კალათბურთელებს განსაზღვრული პრემიები ურიგდებათ.

**— თქვენ ნამდვილად გეხერხებათ მეტოქის დაცვის გარღვევა და ბურთის კალათში მოთავსება. თქვენი სიმაღლის კალათბურთელისთვის ფარქვეშ ბურთისათვის ბრძოლა კი არა მგონია, ადვილი საქმე იყოს. მიუხედავად ამისა, მოსეშვილმა პირველ წრეში მაინც გათამაშათ თავდამსხმელად. მთავარი მწვრთნელის ასეთი გადაწყვეტილება სათამაშო სიტუაციამ განაპირობა, თუ უახლოეს მომავალში ირაკლი ხოშტარიას ამპლუის სავარაუდო შეცვლამ?**

— მე გამოკვეთილი უკანახაზელი ვარ და რომც მოვისურვო, ჩემი სიმაღლის გამო ამპლუას მაინც ვერ შევიცვლი. როდესაც თავდასხმაში ვითამაშე, ყველაფერი სიტუაციამ განაპირობა. გიგის დისკვალიფიკაცია ჰქონდა, მაჭარაძემ მოედანზე სულ რამდენიმე წუთი დაჰყო და 5 ჯარიმის გამო სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. მწვრთნელს ისღა დარჩენოდა, თავდასხმაში მე დავეყენებინე.

**— მაჭარაძის გარდა ხომ გყავთ კიდევ ერთი ცენტრი? ლადო სუხიშვილს ვგულისხმობ.**

— სუხიშვილი ახალგაზრდაა და გამოუცდელი. თანაც იგი ცენტრში თამაშობდა, მე კი — წინ წაწეულ თავდამსხმელად.

**— „ვითასთან" შეხვედრაში თქვენი ამპლუის კალათბურთელისთვის ძალიან ცოტა, ერთადერთი სამქულიანი ჩააგდეთ.**

— შორიდან სროლები ჩემი ყველაზე სუსტი წერტილია. ამჟამად ძალიან ბევრს ვმუშაობ ამ ნაკლის გამოსწორებაზე.

**— სდასუ-ს ხარვეზებზე რას გვეტყვით?**

— უკანა ხაზს არა უშავს, ყველაზე მეტი სირთულე კი ცენტრში გვაქვს. მხოლოდ მაჭარაძის იმედად ვართ. როგორც უკვე აღვნიშნე, გიგი ნაცვლიშვილი დიდი ხნით გამოგვაკლდა, ხოლო სუხიშვილს გამოცდილება აკლია. არადა, თუ ცენტრში კარგად არ ითამაშე, წარმატებაზე ფიქრი ოცნებაა და მეტი არაფერი.

**— ახლოვდება მაისი, როდესაც ჩვენს ნაკრებს კიდევ ერთი საკვალიფიკაციო შეჯიბრება ელოდება, ევროპის მომდევნო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე თამაშის უფლება რომ მოიპოვოს. თქვენი ამპლუის რამდენ კალათბურთელს აქვს ნაკრებში მოხვედრის შანსი?**

— დაახლოებით 5-6 სპორტსმენს.

**— კერძოდ, ვის?**

— არ ვიცი, მაგრამ რომც ვიცოდე, მაინც ვერ გეტყვით, უხერხულია ვინმეს გამოყოფა. ისინი ხომ ყველანი ჩემი მეგობრები არიან.

**— ახალგაზრდა უკანახაზელთაგან თუ შეძლებს ვინმე ნაკრებში მოხვედრაში შეგეცილოთ?**

— არა მგონია.

**როლანდ ლაგუჩიძე**

რეგულარული ჩემპიონატი

# ეს რა გვიყო ამ ბებერმა?!

11 იანვარი

**სიეტლი 101:88 ფინიქსი**

სიეტლი: პეიტონი (23 ქულა, 13 პასი), ბერი (21), პატერსონი (17), ბეიკერი (7), გრანტი (3 ქულა, 11 მოხსნა); ლუისი (12); ფოსტერი (10); დევისი (2); სტეფანია, მაკკოი, პერსონი, ვილიამსი

ფინიქსი: კიდი (12 ქულა, 15 პასი, 7 მოხსნა), ჩეპმენი (13), რობინსონი (17), გულიოტა (12), ლონგლი (12); როჯერსი (10), დეი (4), ბეილი (4), ბლაუნტი (2), ლივინგსტონი (2), ვესტი

არცთუ კარგი დღეები უდგას „სიეტლ სუპერსონიქსის" ქართველ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიას. ამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში მისმა გუნდმა წაგებებს უხშირა, თან შინ ზედიზედ სამჯერ დათმო შეხვედრა და, ცხადია, ასეთ რთულ სიტუაციაში სტეფანიასთვის ბევრს არ სცხელა. ვოვამაც ბოლო მატჩები სკამზე გაატარა და ერთხელაც არ მისცემია თავისი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. აი, „ფინიქს სანზთან" კი ნავსი გატყდა. სტეფანიამ ითამაშა, თუმც მხოლოდ ერთი წუთი და კვლავ თავის ჩვეულ ადგილს, სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდა.

სტეფანიას გუნდმა კი მისთვის მეტად პრინციპულ მატჩში გამარჯვებას მიაღწია, როგორც ვთქვით, პირველად ბოლო ოთხ საშინაო თამაშში. ეს მატჩი კი პრინციპული იყო უპირველეს ყოვლისა „სუპერსონიქსის" დამრიგებელ პოლ ვესტფოლისთვის. იგი მეორე სეზონია, „სიეტლში" მუშაობს, მანამდე კი სწორედ „ფინიქსს" წვრთნიდა და 1993 წელს ფინალშიც გაიყვანა, მაგრამ ის სხვა დრო იყო. როგორც „სიეტლის" თავკაცმა, ვესტფოლმა თავის ყოფილ გუნდთან ყველა შეხვედრა წააგო და ეს მაშინ, როცა მისი ძველი და ახალი გუნდები დაახლოებით ერთი დონისანი არიან. ამ გამარჯვებამ დიდად გაახარა ვესტფოლი და ამას უმთავრესად შეგირდთა ლიდერ გერი პეიტონს უნდა უმადლოდეს.

ამ გუნდების შეხვედრისას ყოველთვის ბევრს სწყვეტს ლიდერების — გერი პეიტონისა და ჯეისონ კიდის შერკინება. ორივე გამთამაშებელია და ორივე ცდილობს ლიგაში ამ ამპლუაში პირველობას. გასულ სეზონში ფინიქსელი უფრო მძლავრობდა და უპირატესობაც მას მიენიჭა. მიმდინარე სეზონში ორივე სანაქებოდ ირჯება და მათი შანსებიც თანაბარია. ამ მატჩში კი მასპინძელმა აშკარად აჯობა სტუმარს. პეიტონმა კარგად გააუვნებლა კიდი და, მართალია, ამ უკანასკნელმა თანაგუნდელებს ბლომად პასები ჩამოურიგა, მაგრამ თვითონ ნაკლებად ივარგა, 15 სროლიდან ათი ააცილა, თან რამდენჯერმე დაჯარიმდა.

პეიტონის გარჯა უფრო ნათლად წარმოჩნდა, ვინაიდან გუნდის მეორე ლიდერი ვინ ბეიკერი იმ დღეს ნამდვილად არ წყვეტდა ციდან ვარსკვლავებს. იგი ხშირად ცდებოდა მატჩის პირველ ნახევარში, რაც ნათლად ჩანდა მის თანაგუნდელთა რიგიანი თამაშის ფონზე.

**საკრამენტო 110:93 ჰიუსტონი**

საკრამენტო: ვებერი (26 ქულა, 12 მოხსნა)

ჰიუსტონი: ფრენსისი (16)

**გოლდენ სტეიტი 102:109 დალასი**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (28 ქულა, 14 მოხსნა), მარშალი (21 ქულა, 16 მოხსნა)

დალასი: სებალოსი (29 ქულა, 12 მოხსნა), ფინლი (21 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა)

**მინესოტა 106:116 მაიამი**

მინესოტა: გარნეტი (35)

მაიამი: მარლი (33)

**ნიუ იორკი 95:88 ჩიკაგო**

ნიუ იორკი: ჯონსონი (19)

ჩიკაგო: არტესტი (24), ბრენდი (22)

**ვაშინგტონი 117:89 ტორონტო**

ვაშინგტონი: ვილიამსი (17 ქულა, 10 მოხსნა)

ტორონტო: კარტერი (19)

ხანგრძლივი ჩავარდნების შემდეგ საგრძნობლად მოყოჩაღდა „მინესოტა ტიმბერვულვზი". „მგლებმა" ზედიზედ ხუთი თამაში წარმატებით დაასრულეს და შუა დასავლეთის დივიზიონში „კუთვნილი" მესამე ადგილი დაიბრუნეს. თავის თავში დარწმუნებული „მინესოტა" შინ მხოლოდ გამარჯვებას გეგმავდა, მიუხედავად იმისა, რომ „მაიამი" იმის ჩიტი არაა, სტუმრად ვინმეს იოლად ჩაბარდეს. „მაიამი" დღესდღეობით დიდ გასაჭირშია: ტიმ ჰარდევეი ჯერაც ტრავმას იშუშებს, ასე რომ, გუნდის ლიდერ ალონზო მურნინგს მეტოქეებთან ეულად ბრძოლამ ქანცი გაუწყვიტა. მურნინგი ნამდვილად გადაიღალა. იმ დღეს მის ანგარიშზე მხოლოდ 11 ქულა და 7 მოხსნა იყო, მაგრამ დაქანცულ ალონზოს მაშველი იქიდან მოევლინა, საიდანაც ნაკლებად ელოდა. „მაიამის" ხსნა ამ რთულ სიტუაცია მსროლელმა დენ მარლიმ ითავა და შეიძლება ითქვას, მან ბრწყინვალედ გაართვა საქმეს თავი. მარლი თორმეტი წელია, ლიგაში თამაშობს და ერთ დროს სამქულიანების დიდოსტატად ითვლებოდა, მაგრამ... „მახსოვს, ერთხელ, რომელღაც გუნდს რვა სამქულიანი ჩავუგდე, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო" — თქვა მარლიმ. ამ შეხვედრაში ვეტერანმა ახალგაზრდობა გაიხსენა, მეტოქეს სამქულიანების ქარიშხალი დაატეხა თავს, სულ ცხრა მოაგროვა და პირადი რეკორდიც გაიუმჯობესა. ცხრა სამქულიანის ჩასაგდებად მარლის სულ ათი სროლა დასჭირდა. ბოლოს მაიამელი ისე „გათავხედდა", რომ თამაშის მიწურულს ცხრა-ათი მეტრიდანაც ისროლა და ისიც ჩააგდო.

გაოგნებული „მინესოტა" ამაოდ ცდილობდა გაქცეულ მეტოქის დაწევას, კევინ გარნეტი, რომელმაც სეზონში ყველაზე მეტი ქულა მიითვალა, შეტევაში სასწაულებს სჩადიოდა, არც მისი თანაგუნდელები იყვნენ ჯაბანნი და საერთოდ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მასპინძლები სჯობდნენ მეტოქეს, მაგრამ მხოლოდ მარცხს გამორჩნენ. ოლიმპიური ნაკრების წევრმა კევინ გარნეტმა რომ ველარაფერი გააწყო, მატჩის შემდეგ ისღა დაიჩივლა, რაც მაგ ბებერმა გვიყო, ამას კარგა ხანს ვერ დავივიწყებთო.

**ირაკლი ფირაშვილი**



AP მინეაპოლისიდან

მინესოტა — მაიამი. მაიამელი დენ მარლი (მარცხნივ) მალიკ სილის უფარებს

## საპორტას თასი

მერვედფინალი. პირველი მატჩები. 11 იანვარი

შალონ-საონი (საფრანგეთი) — პეკაესი (პოლონეთი) 76:57

სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — ცეპტერი (პოლონეთი) 79:86

რადნიჩკი (იუგოსლავია) — დარუშაფაკა (თურქეთი) 77:66

საკალაი (ლიტვა) — სპლიტი (ხორვატია) 86:97

ადეკო (იტალია) — კრკა (სლოვენია) 62:55

ტაუ (ესპანეთი) — მაკაბი (რაანანა, ისრაელი) 68:62

აქილეასი (კვიპროსი) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 67:93

რიკო (ჰოლანდია) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 60:61

ტელეკომი (გერმანია) — კინდერი (იტალია) 56:67

სავინსკი (სლოვენია) — აეკ (საბერძნეთი) 51:86

შარლერუა (ბელგია) — პამესა (ესპანეთი) 74:81

ნორჩიოპინგი (შვედეთი) — ირაკლისი (საბერძნეთი) 64:87

პლანია (შვედეთი) — ტატამი (გერმანია) 63:74

ვენტსპილსი (ლატვია) — პორტუ (პორტუგალია) 47:77

ჩერნო მორე (ბულგარეთი) — ზადარი (ხორვატია) 63:73

ბოსნა (ბოსნია) — ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) 65:71

*საპასუხო მატჩები 18 იანვარს გაიმართება.*

## ევროლიგა

EURO LEAGUE

II ჯგუფური ეტაპი. II ტური. 12 იანვარი

**E ჯგუფი**

ბარსელონა 68:65 თოფაში

**G ჯგუფი**

ოლიმპიაკოსი 89:61 ბუდუჩნოსტი

**H ჯგუფი**

ციბონა 64:81 ულქერი

ფორტიტუდო 81:63 პივოვარნა

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08


REUTERS ჰონგკონგიდან

# ჰინგისი ჩინურად

ჩოგბურთელ ქალთა კლასიფიკაციის ამჟამინდელი ლიდერი, შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი ჰონგკონგს ჩაფრენილა, რათა იქაურ ათასწლეულის თასში მიიღოს მონაწილეობა. ჩინურ სამოსში გამოწყობილ მარტინას, ჩინურადვე გამოწყობილი იაპონელი გულშემატკივრები ადევნებიან. ჩვენ კი ძნელად გავარჩევთ ჩინურად ჩაცმულ იაპონელს ჩინურად ჩაცმული ჩინელისგან, მაგრამ მაინც... ჩვენ ჰინგისს გამოვარჩევთ და ალბათ, ასევე ჩინურად გადაცმულ ამერიკელებს, მერე ჯო ფერნანდესს, ჩანდა რუბინსა და ჯენიფერ კაპრიატის, რომლებიც იგივე მიზნით სწვევიან ჰონგკონგს.


REUTERS ჰონგკონგიდან

# მაინც სხვაა

*წითელ დედაჩინეთს კი შეუერთდა ჰონგკონგი, მაგრამ ბურჟუაზიულ ადათებს მაინც ვერ ელევა. კატარღაზე ამხედრებული წყვილი ესესაა შეუღლდა და ეს ამბავიც საყვარელ ადგილას, მდიდრულ საწყლოსნო კლუბ საი კუნგში აღნიშნა.*


REUTERS ჰონგკონგიდან

# კავურის ხიდთან

ახალი წლის ამბავში ხიდიდან გადმოხტომა დიახაც რომ სპორტია. მანამდე ერთი ქიქა შუმხუნა ღვინით გამხნევებაც არ გამოიყურება არასპორტულ საქციელად. ამბავი კი რომში ხდება, კავურის ხიდზე, საიდანაც ვინმე მარკო ფოისი ტიბრში დასასველებლად ემზადება. ძველი ტრადიციააო, გვამცნობენ, 1946 წლიდან ვინმე ლომგული ხტებაო.


REUTERS რომიდან




# ბექემის დალოცვა

*„მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთადერთი მოგება კლუბთა პირველ მსოფლიოს ჩემპიონატზე ალბათ, არავის დაამახსოვრდება. კუთხურის ჩასაწოდებლად დაძრული დევიდ ბექემი შეჯიბრზე კი არა, შვებულებაში უფრო გრძნობს თავს. ეს რიოელი გოგოები კი მაინც არა ცხრებიან — „მარაკანას“ ტერასებზე პლაკატები გამოუფენიათ, დევიდ ბექემ, გაიხარე შენს ცოლ-შვილში, ვიქტორიასთან და ბრუკლინთან ერთადო.*



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

# მარტოხელა ჯოგერი

კანადაში, კოლუმბიის პროვინციაში იმგვარი ამინდი დაიჭირა, რომ ერთ დღეს მზეც იყო, თოვლიც, წვიმაც და ბურუსიც. ერთი ვანკუვერელი მოჯანსაღე იმედით შეხვედრია 11 იანვრის დილას, მზე დიდხანს იქნებაო და ჩვეული ძუნძულით შეჰყოლია ოკეანისპირა აღმართს — ჯოგინგი ჯანმრთელობის საწინდარიაო.


REUTERS ვანკუვერიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli